

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი



ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტი

მარიამ ცეცხლაძე

ეთნიკური უმცირესობების როლი პოსტსაბჭოთა პერიოდის  
საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში

წარმოდგენილია ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი  
პროფესორი ჯემალ კარალიძე

ბათუმი

2022

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ ცეცხლაძე

10/01/2022

ეთნიკური უმცირესობების როლი პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოს  
საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში

შესავალი -----	4
თავი I. საქართველო და ეთნიკური მრავალფეროვნება -----	12
1.1 ეთნიკურ უმცირესობათა საქართველოში მოხვედრის წანამძღვრები -- -----	15
1.2 ეთნიკური უმცირესობების მდგომარეობა საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდში -----	31
1.3 მრავალფეროვანი ბათუმის ისტორია -----	40
თავი II. ქართული სახელმწიფოებრიობა და ეთნიკური უმცირესობები ---- -----	47
2.1 საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება საქართველოში XX საუკუნის 90-იან წლებში -----	51
2.2 ეთნიკური ნაციონალიზმის ტრანსფორმაცია სამოქალაქო ნაციონალიზმისკენ -----	68
2.3 საქართველოს ხელისუფლებათა დამოკიდებულება ეთნიკური უმცირესობების მიმართ პოსტსაბჭოთა პერიოდში -----	86
თავი III. ეთნიკურ უმცირესობათა მდგომარეობა თანამედროვე საქართველოში -----	105
3.1 ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაციის ინსტიტუციური ჩარჩოს ფორმირება -----	111
3.2 ეთნიკური უმცირესობების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა -----	118
3.3 განათლება და სახელმწიფო ენა -----	129
დასკვნები -----	140
გამოყენებული ლიტერატურა -----	146

## შესავალი

საქართველო თავისი მნიშვნელოვანი და სტრატეგიულად მიმზიდველი მდებარეობის გამო, ოდითგანვე მოქცეული იყო ინტენსიური მიგრაციების არეალში. ქვეყანა საყოველთაოდ ცნობილი „აბრეშუმის გზის“ ერთ-ერთ საკვანძო მიმართულებასაც წარმოადგენდა. ბუნებრივია, რომ მიგრაციული პროცესები განსაკუთრებით აქტიურად საქართველოსა და მეზობელ რეგიონებს შორის მიმდინარეობდა. შემოდინდნენ და მკვიდრდებოდნენ როგორც კავკასიის სხვადასხვა ეთნოსთა წარმომადგენლები, ასევე, ცალკეული ჯგუფები ახლო აღმოსავლეთიდან. დროთა განმავლობაში შემოსულთა გარკვეული ჯგუფები ადგილობრივ მოსახლეობას ან სხვა ეთნიკურ ერთეულებს შეერწყა, სხვებმა კი ბოლომდე შეინარჩუნეს თავიანთი ეროვნული თვითმყოფადობა.

საქართველოში ძირძველი, ქართველი მოსახლეობის გარდა, ქართულ მიწაზე თავიანთი ტერიტორიული ავტონომიებით მკვიდრობდნენ აფხაზები და ოსები. გარდა ამისა, ჩვენს ქვეყანაში ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონებიც გვაქვს, რომლებიც უშუალოდ, თავიანთი ისტორიული სამშობლოს საზღვრებთან არიან განსახლებულნი - მაგალითად, სამცხე-ჯავახეთში - სომხები, ქვემო ქართლში - აზერბაიჯანელები, პანკისის ხეობაში - ქისტები. დანარჩენი ეთნიკური უმცირესობები კი დისპერსიულად არიან მიმოფანტული საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში და რაოდენობრივადაც შედარებით ნაკლები არიან, მაგალითად - ბერძნები, რუსები, ებრაელები, უკრაინელები, ქურთები. დღეს საქართველოს მოსახლეობას საგრძნობლად ემატებიან თურქები, ჩინელები, ინდოელები, აფროამერიკელები და სხვები.

საქართველოში, სადაც საუკუნეების მანძილზე და დღემდეც სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფები მშვიდობიანად თანაარსებობდნენ და თანაარსებობენ, ცხადია, რომ კულტურული ჯგუფები ერთმანეთის ღირებულებებსა და მონაპოვარს სუსტად იცნობენ.

ახალგაზრდა ქართული სახელმწიფოსა და ქართული დემოკრატიის განვითარების ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა სამოქალაქო, სოციალურ და პოლიტიკურ სივრცეში ეთნიკური უმცირესობების სრულყოფილი ინტეგრაცია. მართალია, ბოლო ათწლეულში ბევრი ახალი ინიციატივა გამოიკვეთა, პროექტებიც

დაიგეგმა ამ მიმართულებით, მაგრამ მნიშვნელოვანი წინსვლა ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაციისა და პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი მონაწილეობის ამდლების კუთხით არ მომხდარა. პოსტსაბჭოთა საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის დონე ძალიან დაბალია. განსაკუთრებით თვალშისაცემია ეს, როცა საქმე ეხება უმცირესობათა მონაწილეობას პოლიტიკურ ცხოვრებაში, მათ წარმომადგენლობას არჩევით ორგანოებსა და სამთავრობო უწყებებში. მაშინ, როცა საქართველოს სახელმწიფოს ინტერესი ლიბერალური დემოკრატიის მშენებლობაა, ყველა პირობა უნდა შეიქმნას იმისათვის, რომ ქვეყანაში განსხვავებულ ჯგუფთა მშვიდობიანი თანაარსებობა იქნას უზრუნველყოფილი, იმგვარად რომ არ დაირღვეს რომელიმე ჯგუფის უფლებები. საერთაშორისო სტანდარტების, დემოკრატიული და სტაბილური სახელმწიფოს მშენებლობის ერთ-ერთი ხელშემშლელი ფაქტორია სამოქალაქო და პოლიტიკური ცხოვრებიდან ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის დაბალი დონე.

ერთი შეხედვითაც კარგად ჩანს, რომ საქართველოში მცხოვრებმა ეთნიკურმა უმცირესობებმა და განსაკუთრებულად მათ, რომლებიც მჭიდროდ ცხოვრობენ ერთად, ჯერ კიდევ ვერ მოახერხეს ქართულ სახელმწიფოსთან სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრირება. მათი უმეტესობა იზოლირებულია ქართული საზოგადოებისაგან. სხვადასხვა მიზეზთა შორის წამყვანია ენობრივი ბარიერი. ეთნიკურად არაქართველი მოსახლეობის უმრავლესობამ, რომლებიც კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში ცხოვრობენ არ იციან სახელმწიფო ენა. საბჭოთა პერიოდში კომუნიკაციის ძირითადი საშუალება რუსული ენა იყო, რომელმაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად დაკარგა პოზიციები. აქედან გამომდინარე, ეთნიკური უმცირესობები ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებზე სრულყოფილად ინფორმირებულებიც არ არიან. თვით უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოშიც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლის ყოფნას ფორმალური ხასიათი უფრო აქვს, ვიდრე საქმიანი. სუსტი პოლიტიკური ჩართულობის კიდევ ერთი განმაპირობებელი ფაქტორია პოლიტიკური პარტიების პასიურობა. პოლიტიკური სუბიექტების ინტერესის სფეროს ნაკლებად წარმოადგენენ ეთნიკური უმცირესობები და მათი ინტეგრაციის ხელშეწყობა. აღსანიშნავია, რომ ისინი თავიანთ პარტიულ

პროგრამებში ეთნიკური უმცირესობებისათვის მნიშვნელოვან საკითხებს ზედაპირულად განიხილავენ ან ყურადღებას საერთოდ არ უთმობენ.

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოს ხელისუფლება ეთნიკური უმცირესობების მიმართ საჭირო და სათანადო პოლიტიკას არ ან ვერ ატარებს. აუცილებელია რეაგირება მოახდინოს ისეთ რეგიონებში, სადაც ეთნიკურად არაქართველი მოსახლეობა დიდი რაოდენობითაა დამკვიდრებული. განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს მსგავსი კომპაქტური დასახლებები საზღვრისპირა რეგიონებში. ეთნიკური უმცირესობების მჭიდრო განსახლება შესაძლოა გახდეს ეთნიკურ სამშობლოსთან შეერთების, სეპარატისტული განწყობების შექმნის და შესაბამისი პოლიტიკური მოძრაობების ჩამოყალიბების წინაპირობა. მსგავსი რეგიონები, ხშირ შემთხვევაში, პოტენციური კონფლიქტების კერებად განიხილება. საუბარია, მხოლოდ კონფლიქტების გამიზნული წაქეზების შესაძლებლობებზე და არა ნამდვილად მოსალოდნელ გარდაუვალობაზე.

ეთნიკურად სომხებითა და აზერბაიჯანელებით დასახლებულ სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში, ისევე, როგორც საქართველოს დანარჩენ რეგიონებში ყოველი გოჯი მიწა ქართულია, ჩვენი წინაპრების სისხლით მორწყული. ეს არის ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის ის ნაწილი სადაც დაირწა ისტორიულად ქართული კულტურის აკვანი, სადაც შეიქმნა ჩვენი ქვეყნის მატთანე.

საქართველოს მთავრობისა და თითოეული ქართველის მოვალეობა და პასუხისმგებლობა წინაპართა სისხლით შეღებილი ამ ტერიტორიების სათანადოდ მოვლა, გაფრთხილება და დაცვა. იმყოფებოდე საქართველოს ამ ნაწილში და თავს საკუთარ სამშობლოში არ გრძნობდე, პროტესტის და შიშის გრძნობას იწვევს, ვაითუ გარე ძალა ხელსაყრელ მომენტს ელოდება ეთნოკონფლიქტის გასაღვივებლად. ქართველთა და ეროვნულ უმცირესობათა გაუცხოებას აღრმავებს თუნდაც, ქართული ენისა და დამწერლობის ყოფიერების ყველა დონეზე უგულებელყოფა (ენობრივი ბარიერი; აბრებზე გაკეთებული ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი წარწერები; მასობრივი საინფორმაციო საშუალებები მხოლოდ მშობლიურ ან რუსულ ენებზე);. სამწუხარო რეალობაა, მაგრამ ცხადია, რომ კომპაქტურად მცხოვრებ უმცირესობებს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ იმ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე, რომლის მოქალაქეებიც არიან.

**თემის აქტუალობა:** საქართველო მულტიკულტურული სახელმწიფოა, სადაც საუკუნეების განმავლობაში ერთმანეთის გვერდიგვერდ მშვიდობიანად ახერხებდნენ ცხოვრებას სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფები. გასული საუკუნის ბოლოს მომხდარი ეთნოკონფლიქტები სამართლიანად შეგვიძლია მივიჩნიოთ, როგორც გარე ძალის მიერ პროვოცირებული პოლიტიკური მოვლენები. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში აფხაზებისა და ოსების გარდა სხვა ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფებთან არ მომხდარა შეიარაღებული კონფლიქტები, კომპაქტურად დასახლებული ეთნიკური უმცირესობების ჯგუფების სრულყოფილი და მშვიდობიანი ინტეგრაცია ქართულ საზოგადოებაში თანამედროვე ქართული სახელმწიფოსთვის დღემდე ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება.

პოსტსაბჭოთა საქართველოში განვითარებულმა პროცესებმა უფრო საჭირო გახადა ეთნიკური უმცირესობების საკითხების კომპლექსური კვლევა, ვიდრე მათი მხოლოდ ისტორიულ კონტექსტში შესწავლა.

თანამედროვე ეპოქაში, როდესაც ბევრს საუბრობენ გლობალიზაციის შესახებ, ჩნდება შიში იმის გამო, რომ მცირერიცხოვან ერთა კულტურებს გადაშენების საფრთხე დაემუქრებათ. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ამ კულტურებმა ვერ მოახერხეს მათზე მოქმედ მრავალგვარ ფაქტორებზე ადეკვატური რეაგირება.

კვლევის აქტუალობას განაპირობებს სწორედ ამ ფაქტორების ანალიზი და მათზე ადეკვატური რეაგირების გზების ძიება, მიმდინარე სამართლებრივი პროცესების შესწავლის, არსებული სამეცნიერო ლიტერატურისა და სახელმწიფო პოლიტიკის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე.

ამ ხასიათის პრობლემებზე სწორედ ადეკვატური რეაგირების შედეგია, რომ მრავალი საუკუნის განმავლობაში ქართველმა ერმა შეინარჩუნა თვითმყოფადობა - საკუთარი ენა, რელიგია, ტრადიციები, კულტურა, სულიერი ფასეულობები. დღესაც, XXI საუკუნეში, საჭიროა რეაგირების ამ მექანიზმების შენარჩუნება. საქართველოსთვის აქტუალურია სწორი სტრატეგიის შემუშავება, რადგან შობადობისა და მიგრაციის სხვადასხვა ტემპი, დემოგრაფიული სიტუაციის ცვალებადობა, სრულყოფილი სახელმწიფო პოლიტიკის არ არსებობა თუ სხვა ფაქტორები ბევრ პრობლემას გაუჩენს ჩვენს ქვეყანას. ამდენად, რეაგირების დროული მექანიზმების შემუშავება და მისი რეალური ამოქმედება უმნიშვნელოვანესია.

საქართველოსთვის პრინციპულად მნიშვნელოვანი საკითხებია ეთნიკური უმცირესობები და სამოქალაქო ინტეგრაცია. მართალია ამ თემის განსაკუთრებულ მნიშვნელობას არავინ უარყოფს, მაგრამ ცხადია, რომ მასზე საჯარო მსჯელობა და დებატები საკმარისად არ ეწყობა. საკითხის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება და პოლიტიკური ინტერესი ყოველთვის არაა ადეკვატური, რაც ასევე მნიშვნელოვნად განაპირობებს თემის აქტუალობას.

ეთნიკური უმცირესობების მიმართ ასეთი დამოკიდებულება და ნაკლები ინტერესი შესაძლოა საკითხის მიმართ მგრძობელობიდან გამომდინარეობდეს, რადგან ჯერ კიდევ სახეზეა 1990-იანი წლების ეთნო-ტერიტორიული კონფლიქტების გამოცდილება და ამ კონფლიქტების უარყოფითი შედეგები. სწორედ ამ მიზეზების გამო უმრავლესობა ერთგვარი მოწიწებით, რიდით და სიფრთხილით ეკიდება საკითხს. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უკანასკნელ წლებში ეთნიკური უმცირესობებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემისადმი ინტერესი თანდათანობით იზრდება.

**კვლევის მიზანი და ძირითადი ამოცანები:** წარმოვაჩინოთ ეთნიკური უმცირესობების როლი ქართული სახელმწიფოს ისტორიაში - საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდში; რამდენად უწყობს ხელს სახელმწიფო ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციას ქართულ საზოგადოებაში; რა როლის შესრულება შეუძლიათ თანამედროვე ქართულ სახელმწიფოში ეთნიკურ უმცირესობებს; რამდენად თანმიმდევრულია ხელისუფლების მხრიდან ინტეგრაციის ხელშემწყობი ღონისძიებები და აქვთ თუ არა მათ შესაბამისი შედეგი; რა ვალდებულებები აქვს აღებული საქართველოს საერთაშორისო საზოგადოების წინაშე, რათა დაიცვას ეთნიკურ უმცირესობათა უფლებები; რამდენად თანხვედრაშია ქართული კანონმდებლობა საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებთან;

**კვლევის მეთოდები:** ნაშრომში გამოყენებულია კვლევის შემდეგი მეთოდები - **დოკუმენტის ანალიზის მეთოდი**, რომელიც დაგვეხმარა დოკუმენტური წყაროებიდან ინფორმაციის მიღებაში. ეს იყო საარქივო მასალები, საკანონმდებლო აქტები, ჟურნალ-გაზეთების სტატიები თუ სატელევიზიო სიუჟეტები. კვლევის ეს მეთოდი საშუალებას გვაძლევს გავაანალიზოთ ეროვნული უმცირესობების როლი ჩვენთვის საინტერესო პერიოდში. **შედარებით-ისტორიული მეთოდი**, ამ მეთოდის გამოყენებით დავინახეთ



როგორ პირობებში უხდებოდათ ეროვნულ უმცირესობებს ცხოვრება საბჭოთა საქართველოში, რა იყო განმასხვავებელი ძირითადი ეთნიკური ჯგუფისგან. ასევე დავინახეთ ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებრივ-პოლიტიკური როლი მაშინდელ და ახლანდელ პერიოდში. რა შედეგებით სარგებლობდნენ ან რა ეზღუდებოდათ ახლა თუ ადრე. **სტატისტიკური მეთოდის** გამოყენებით, ციფრებში შევძელით ზუსტი მონაცემების დანახვა. სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით მიღებული ინფორმაციის დაჯგუფების, ანალიზისა და სინთეზის საფუძველზე საშუალება გვაქვს გავაკეთოთ შესაბამისი დასკვნები. **შეჯამება და ანალიზი** თუ რამდენად ასრულებს პრაქტიკაში ქვეყანა იმ ვალდებულებებს რაც კანონმდებლობით აქვს აღებული. ასევე საინტერესო ინფორმაცია მოგვცა კვლევისას შესაბამის საკითხებზე მომუშავე სამინისტროების მონაცემების ბოლო წლების ანალიზმაც.

**საკითხის შესწავლის ისტორია:** ეთნიკური უმცირესობების საკითხი, უდავოდ, ახალი რეალობაა ქართული სახელმწიფოსთვის და შესაბამისად, ღრმა აკადემიური და სამეცნიერო ლიტერატურა, არც თუ ისე უხვია. თუმცა, უკანასკნელ პერიოდში გამოიკვეთა ინტერესი აღნიშნული პრობლემის მიმართ - სხვადასხვა საკითხზე ქვეყნდება სტატიები, მუშავდება დისერტაციები. საზოგადოების სხვადასხვა ნაწილის გაუცხოებისა და სოციალური დაქსაქსულობის შესახებ იწერება კიდევ სამეცნიერო გამოცემაში. დაკვირვებასა და აქტიურ შესწავლას მოითხოვს ის სამწუხარო რეალობა, რომ საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ იმ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე, რომლის მოქალაქეებიც არიან.

ნაშრომში წარმოდგენილია ეთნიკურ უმცირესობათა საქართველოში მოხვედრის წანამძღვრები. ასევე ხელმისაწვდომია აკადემიური ინფორმაცია XX საუკუნის 90-იანი წლების მოვლენებთან დაკავშირებით, თუ როგორი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება იყო ქვეყანაში საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების გარიჟრაჟზე, როგორ ფორმირდება ეთნიკური ნაციონალიზმი სამოქალაქო ნაციონალიზმისაკენ, როგორი იყო ხელისუფლებათა დამოკიდებულება ეთნიკური უმცირესობების მიმართ.

ჩვენს საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებით შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი ნაშრომები: ვახტანგ ჯაოშვილის 1984 წელს გამოქვეყნებული - „საქართველოს

მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში“ - სადაც საფუძვლიანადაა შესწავლილი საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკა აღნიშნული პერიოდის განმავლობაში - საქართველოს ეთნიკური რუკა. ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციით მდიდარია, პროფესორ როლანდ თოფჩიშვილის 2007 წელს გამოქვეყნებული მონოგრაფია „კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია“. წიგნი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის ვისაც კავკასიელი ხალხების ეთნიკური ისტორია და ეთნიკური კულტურა (ყოფა, ტრადიციები, წეს-ჩვეულებები) აინტერესებს; ღრმა ექსპერტული შეხედულებებითაა შესწავლილი ეთნიკური მრავალფეროვნება და სამოქალაქო ინტეგრაცია საქართველოში გაი ნოდისა და დავით ზურაბიშვილის მიერ - მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების ცენტრის 2003 წელს გამოქვეყნებულ კრებულში - „ერთი საზოგადოება, მრავალი ეთნოსი“. XX საუკუნის 90-იანი წლების მოვლენებთან, სახელმწიფო მართვის სისტემებთან და ეთნიკურიდან სამოქალაქო ნაციონალიზმის მიმართულებით ტრანსფორმაციასთან დაკავშირებით არაერთი სამეცნიერო პუბლიკაციაა ხელმისაწვდომი.

**ჰიპოთეზა:** პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოში ეთნიკური იზოლაცია და სამოქალაქო გახლეჩილობა უპირველესად მსხვილი ეთნიკური ჯგუფების - აზერბაიჯანელებისა და სომხების შემთხვევაში არსებობს. ქართული სახელმწიფოს მიერ წარმოებული ინტეგრაციული პოლიტიკა სწორედ მათ მხარეს არის მიმართული. დისპერსიულად განსახლებულ ეთნიკურ უმცირესობებს, ძირითადად შემთხვევაში არ აწუხებთ ინტეგრაციასთან დაკავშირებული პრობლემები, რადგან ისინი მეტნაკლებად ადაპტირებული არიან იმ გარემოში სადაც ქართველებთან ერთად ცხოვრობენ.

**კვლევის მეცნიერული სიახლე და პრაქტიკული მნიშვნელობა:** ქართული საზოგადოების კონსოლიდაცია და განსხვავებული ჯგუფების ერთიან სახელმწიფო ორგანიზმში ინტეგრაცია სახელმწიფოს ეთნიკური პოლიტიკის კარგად გააზრებულ, მეცნიერულად დასაბუთებულ პროგრამაზე დაყრდნობას მოითხოვს, რაც შეუძლებელია სწორად შემუშავებული და წარმართული სახელმწიფო პოლიტიკის გარეშე. სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება მნიშვნელოვანი გამოწვევაა დღევანდელი საქართველოსთვის. ქართულ საზოგადოებას ერთგვარად ეშინია საკუთარი ინიციატივით წამოჭრას მიძინებული საკითხები, თუმცა არც იმის იმედად

შეიძლება ყოფნა, რომ თავისთავად მოგვარდება ეს პრობლემები. ეთნიკური საკითხები მგრძობიარე და სახიფათოა, თუმცა როცა არსებობს ქვეყნის სამოქალაქო ცხოვრებისგან აშკარად იზოლირებული უმცირესობათა ჯგუფები მოსალოდნელია, რომ ეს ადრე თუ გვიან პრობლემებს წამოჭრის. ეთნიკური უმცირესობების საკითხის კომპლექსური კვლევა სიახლეს წარმოადგენს საქართველოსთვის, ასეთი კვლევის და ღრმა მეცნიერული ანალიზის საჭიროება მხოლოდ ბოლო ათწლეულში დადგა დღის წესრიგში. მიგვაჩნია, რომ წარმოდგენილ ნაშრომს ექნება პრაქტიკული მნიშვნელობაც, რადგან საკითხი აქტუალურია და საინტერესო, როგორც დარგის სპეციალისტებისთვის, ასევე ფართო საზოგადოებისთვის.

ნაშრომის სტრუქტურა: ნაშრომი მოიცავს შესავალს, სამ ძირითად თავს, ცხრა ქვეთავს, დასკვნებსა და ბიბლიოგრაფიას.

## თავი I

### საქართველო და ეთნიკური მრავალფეროვნება

მსოფლიო მემკვიდრეობად აღიარებული კულტურული მრავალფეროვნება ჩვენი სამშობლოს ღირსეული შემადგენელი ნაწილია. საქართველო ოდითგანვე გამოირჩეოდა ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნებით, ამ მრავალფეროვნების მიმღებლობით, ტოლერანტობით და შემწყნარებლური ბუნებით.

დღესდღეობით საერთაშორისო სამართალში არ არსებობს ტერმინის - „ეროვნული უმცირესობა“ - ზუსტი განმარტება, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1992 წელს მიღებული უმცირესობათა დეკლარაციის პირველი მუხლი ეროვნულ უმცირესობად მიიჩნევს ეთნიკურ, რელიგიურ, კულტურულ და ლინგვისტურ უმცირესობებს, თუმცა არ განმარტავს, რას ნიშნავს „უმცირესობა“. ასევე, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის 27-ე მუხლის მიხედვით, რომელშიც საუბარია ეთნიკური, რელიგიური და ლინგვისტური უმცირესობების უფლებაზე, შეინარჩუნონ და ისარგებლონ თავიანთი კულტურით, აღმსარებლობით და ენით, არ არის განმარტებული, ვინ არიან ეთნიკური უმცირესობები. დამატებით განმარტებას არ იძლევა არც გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის ამ მუხლთან დაკავშირებული კომენტარი. იგივე შეიძლება ითქვას ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენციაზე, ერთადერთ სავალდებულო ძალის მქონე საერთაშორისო დოკუმენტზე, რომელიც მხოლოდ ეროვნული უმცირესობების უფლებების თემას ეხება (ფირანიშვილი, 2019: 9-10).

ეთნიკურ/ეროვნულ უმცირესობებთან მიმართებაში მეცნიერთა და სპეციალისტთა უმრავლესობა თანხმდება შემდეგ განსაზღვრებზე: ეროვნული უმცირესობა არის მოცემულ ქვეყანაში მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის არადომინირებული ნაწილი, რომელიც უმრავლესობისგან განსხვავდება თავისი ეთნიკური, რელიგიური თუ ლინგვისტური მახასიათებლებით და სურს შეინარჩუნოს საკუთარი თვითმყოფადობა. საქართველოს კონსტიტუცია და სხვა საკანონმდებლო აქტები განასხვავებს ერთმანეთისგან ეროვნულ და ეთნიკურ კუთვნილებას, თუმცა სამწუხაროდ ზუსტ დეფინიციას არ იძლევა. ეროვნულ კანონმდებლობაში არ არსებობს ეროვნული და ეთნიკური უმცირესობების ზუსტი განმარტება.

გამომდინარე აქედან, ჩვენს ნაშრომში აღნიშნული ტერმინები მოიაზრება, როგორც ერთმანეთის ეკვივალენტი.

თავის მხრივ, ტერმინი „უმცირესობა“ სხვადასხვა მნიშვნელობით შეიძლება გამოვიყენოთ: ენის, რელიგიისადმი კუთვნილების ნიშნით, მაგრამ ყველაზე ხშირად მასში მოიაზრება ადამიანთა გარკვეული ჯგუფი, რომელიც განსხვავებულ კულტურულ არეალში დიდი ხნის, ხშირად საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობს.

მსოფლიო საზოგადოებები სწორედ კულტურული მახასიათებლებით განსხვავდებიან ერთმანეთისგან. კულტურა არის ქმედებების, რწმენის, ხელოვნების, საზოგადოებრივი ინსტიტუტების მთლიანობა, რომელიც შექმნილია ადამიანთა გარკვეული ჯგუფების შრომისა და ფიქრის შედეგად. კულტურის მთავარ შემადგენელ ელემენტებად მოიაზრება ეთნიკური კუთვნილება, ენა, რელიგია და ისტორია. აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, ეთნიკური უმცირესობა საკუთარი თვითმყოფადობის შენარჩუნებას სწორედ საერთო კულტურის საშუალებით ახერხებს. ეთნიკური კუთვნილება და კულტურა შეგვიძლია გავიგოთ როგორც ერთი მთლიანობა.

ინტერესი კულტურული მრავალფეროვნებისადმი სულ უფრო აქტუალური ხდება. კულტურული მრავალფეროვნება თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი და თანამედროვე ცხოვრების რეალობაა. დღეს პრაქტიკულად ძნელად მოიძებნება ქვეყანა, სადაც თუნდაც ერთი კულტურული უმცირესობა არ არსებობდეს. კაცობრიობა არასოდეს ყოფილა ერთგვაროვანი, დღეს კი გლობალიზაციის პროცესმა მჭიდროდ დააკავშირა ერთმანეთთან მსოფლიოს ცალკეული ნაწილები და ეს მრავალფეროვნება უფრო თვალსაჩინო გახადა.

საქართველოში არსებული კულტურული მრავალფეროვნება პირველ რიგში საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობითაა განპირობებული. კავკასიის რეგიონი საუკუნეების განმავლობაში წარმოადგენდა სხვადასხვა ძლიერი სახელმწიფოებისათვის მიმზიდველ არეალს თავისი სტრატეგიული მდებარეობის გამო, რადგან ეს იყო ევროპა-აზიის დამაკავშირებელი სავაჭრო გზების მიმართულება. უძველესი აბრეშუმის გზის ერთ-ერთი განშტოება საქართველოზე გადიოდა, რაც სხვადასხვა კულტურათა თავმოყრას იწვევდა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე. ამიერკავკასიელ ხალხებს და მათ შორის ქართველებს, ძირითადად, სამხრეთიდან მოსული დამპყრობლებისაგან უხდებოდათ თავის დაცვა, რადგან სამხრეთით ვრცელ

და გაშლილ დაბლობებზე არსებული საზღვრების კონტროლი გაცილებით რთული იყო, ვიდრე კავკასიონის მაღალმთიანი ქედით შემოსაზღვრული ჩრდილოეთის ვიწრო გადმოსასვლელებისა და უღელტეხილების. ქართულ სახელმწიფოში სხვადასხვა კულტურათა თავმოყრამ ქართველებს შემწყნარებლური და ტოლერანტული ხასიათი თავიდანვე ჩამოუყალიბა. დღეს რომ ერთმანეთის გვერდიგვერდ შეხვდებით მართლმადიდებლურ ტაძრებს, კათოლიკურ თუ გრიგორიანულ ეკლესიებს, სინაგოგას და მეჩეთებს ცხადი გახდება მიზეზი რის საფუძველზეც საქართველოში მცხოვრები სომხები, აზერბაიჯანელები, რუსები, უკრაინელები, ბერძნები, ებრაელები, იეზიდები და სხვები საუკუნეზე მეტია ინარჩუნებენ კულტურულ თვითმყოფადობას და მშვიდობიანად თანაარსებობენ - ეს ყველაფერი სამართლიანად იწვევს სიამაყის შეგრძნებას.

მრავალეთნიკურობა მხოლოდ თანამედროვე ქართული სახელმწიფოს წინაშე შექმნილი ახალი რეალობა არ არის, იგი მსოფლიოს გლობალური მახასიათებელიცაა.

ტრადიციულად საქართველოში მცხოვრებ თითოეულ ეთნიკურ ჯგუფს აქვს მშობლიური ენა, რელიგია, ტრადიციები, ისტორიული მეხსიერება და ისეთი იდენტური მახასიათებლები, რომელიც მხოლოდ მათი კულტურული ერთობისთვისაა დამახასიათებელი და რომელთა შენარჩუნებაზე დამოკიდებულია ამ ეთნოსების, როგორც განსხვავებული ეთნოკულტურული ერთობების არსებობა. სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლები სხვადასხვა მიზეზით საუკუნეების განმავლობაში სახლდებოდნენ და ცხოვრობდნენ საქართველოში. ყველა მათგანს აქვს ქართულ ეთნოსთან ერთ სახელმწიფოში თანაცხოვრების გარკვეული ისტორიული გამოცდილება.

გარდა ეთნიკურისა, საქართველო რელიგიური და ლინგვისტური კუთხითაც მრავალფეროვანია. დომინანტი ენაც სხვადასხვა დიალექტური ნიშნებით ხასიათდება.

რაც შეეხება რელიგიურ მრავალფეროვნებას, ეთნიკური ქართველების უმრავლესობა მართლმადიდებელია. თუმცა სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებში გვხვდება კათოლიკეები, გრიგორიანელები, იუდეველები, მაჰმადიანები და სხვა რელიგიური მრწამსის ადმსარებლები. განსხვავებულია რელიგიის მიმდევართა განსახლებაც და იგი ძირითადად კომპაქტურია. აღნიშვნის ღირსია აჭარის რეგიონი,

სადაც რელიგიური მრავალფეროვნება გამოხატულია ოჯახებშიც კი, სადაც თაობები სხვადასხვა აღმსარებლობისაა.

ყველა აღნიშნულთან ერთად საქართველოს ლინგვისტური მრავალფეროვნებაც ახასიათებს, რადგან ეთნიკური ჯგუფები წარმოადგენენ სხვადასხვა ლინგვისტურ ჯგუფს. ქართული, ასევე მეგრულ-ლაზური და სვანური, მიეკუთვნება ქართველურ ენათა ოჯახს. აფხაზური მიეკუთვნება იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახს. ინდოევროპული ენების სხვადასხვა ჯგუფს მიეკუთვნება საქართველოში არსებული ენები: რუსული, სომხური და ბერძნული შედის ინდოევროპულ ენათა ოჯახში, ოსური მიეკუთვნება ირანულ ენათა ჯგუფს. აზერბაიჯანული - თურქულ ენობრივ ჯგუფს. საქართველოში არიან აგრეთვე ჩრდილო-კავკასიურ ენათა წარმომადგენლები: ქისტები, ჩეჩნები, ლეკები. (ტაბატაძე, გაბუნია, 2008: 9)

არც ერთ ადამიანს არ შეუძლია არსებობა თავისი კულტურული ფასეულობების გარეშე. წარმატებული კულტურათმორისი ურთიერთობა ნიშნავს, რომ ადამიანებს სწამთ საკუთარი ფასეულობების და პატივს სცემენ სხვისას.

## 1.1 ეთნიკური უმცირესობების საქართველოში მოხვედრის წანამძღვრები

ყოველი ეთნოსი კულტურული მთლიანობაა, რომლის თვითცნობიერება და თვითშემეცნება წინაპართა ერთობლივი ისტორიული გამოცდილების საფუძველზე საერთო წარმომავლობის შესახებ წარმოდგენებს მოიცავს. საქართველოს ტერიტორიაზე საუკუნეების განმავლობაში სახლდებოდნენ სხვადასხვა ეთნოსების წარმომადგენლები, რომლებიც ეკონომიკური თუ პოლიტიკური მიზეზების გამო იძულებულები იყვნენ დაეტოვებინათ საკუთარი ეთნიკური და ისტორიული სამშობლო. ცალკეულ შემთხვევებში კი, უცხოელთა ჩამოსახლების ინიციატორი ქართული პოლიტიკური ერთეულების მმართველები იყვნენ, რომელთაც გამუდმებული საგარეო თავდასხმების გამო „ჩამოსახლებულთა“ მხარდაჭერა სჭირდებოდათ, ან ეკონომიკური ინტერესი ამოძრავებდათ, ზოგჯერ კი ომიანობის შედეგად დაცარიელებული ქართული სოფლების აღორძინების მოტივი.

ავტოქტონური ქართველი მოსახლეობის გარდა ათწლეულების და ხშირ შემთხვევაში საუკუნეების მანძილზე საქართველოში სხვადასხვა ეთნოსების წარმომადგენლები ცხოვრობდნენ და აქედან გამომდინარე ჩვენს ქვეყანას სხვა კულტურებთან თანაარსებობის დიდი გამოცდილება აქვს. ჯერ კიდევ, ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ქართლში ერთმანეთის გვერდიგვერდ ქართველები, ებრაელები, სომხები, ხაზარები, ასურელები, ბერძნები ცხოვრობდნენ. ყველაზე ადრე კი, საქართველოს არაქართველ მოსახლეობას შორის ებრაელები მკვიდრობდნენ. ლეონტი მროველი ებრაელთა პირველ ჩამოსახლებას ძვ.წ. VI საუკუნეში ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის აღებას უკავშირებს: „მაშინ ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმოსტყუენა იერუსალიმი, და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს ქართლს, და მოითხოვეს მცხეთელთა მამასახლისისაგან ქუეყანა ხარკითა. მისცა და დასხნა არაგუსა ზედა, წყაროსა, რომელსა ჰქვან ზანავი“ (ლეონტი მროველი, 1955: 15-16). მრავალსაუკუნოვანმა მშვიდობიანმა თანაარსებობამ გააჩინა და დაამკვიდრა კიდევ ქართველი ებრაელების ტერმინი.

ბერძნების პირველი გამოჩენა და დასახლება კი, შავი ზღვის სანაპიროების ბერძნულ კოლონიზაციას უკავშირდება. რის უტყუარობასაც ადასტურებს ქობულეთში - ფიჭვნარის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ელინისტური ხანის არტეფაქტები.

ისტორიის განმავლობაში ქართულ კულტურას ერწყმოდა სხვადასხვა კულტურები. ეს ყველაფერი ზოგჯერ საქართველოს დაპყრობით იყო განპირობებული, როდესაც დამპყრობლები ძალით ცდილობდნენ ქართული კულტურის მოსპობას, საქართველოს ანექსიას და ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე თავიანთ ხალხს ასახლებდნენ. ჩამოსახლებული მოსახლეობის ადათები ეთვისებოდა ადგილობრივ კულტურას და დროთა განმავლობაში ყალიბდებოდა სახეცვლილი წეს-ჩვეულებები.

საქართველოს დემოგრაფიულ რუკაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები XIX-XX საუკუნეებში განხორციელდა. ქვეყანაში წლების მანძილზე მიმდინარეობდა სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების მასშტაბური და კომპაქტური ჩამოსახლება. პროცესები გააქტიურდა XIX საუკუნეში, საქართველოს რუსეთის იმპერიის



შემადგენლობაში მოქცევის შემდეგ და განსაკუთრებით ინტენსიური ხასიათი მიიღო XX საუკუნეში, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში.

1801 წელს რუსეთის იმპერიამ საქართველოს ანექსია მოახდინა. უპირველესად რელიგიათა თანხვედრამ განაპირობა ქართველი მეფე-მთავრების ორიენტაცია ამ ქვეყანასთან დაახლოებაზე. მაგრამ, რეალურად რუსეთის ხელისუფლებამ დაივიწყა ერთმორწმუნეობა და საქართველოში კოლონიალური პოლიტიკის გატარება დაიწყო. ანექსირებულ საქართველოში შეიცვალა მართვის ტრადიციული სისტემა. სამეფო ხელისუფლება გაუქმდა და ქვეყანა დაიყო თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებად. ქვეყანაში შემოიღეს რუსული კანონები. ამ პირობებში დაიწყო საქართველოს ტერიტორიაზე, როგორც ქალაქებში, ასევე რეგიონებში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების მასობრივი ჩამოსახლების პროცესი. ქრისტიანული რუსეთის ხელისუფლება მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდა და საქართველოს სხვადასხვა მხარეში განსხვავებული ეთნიკური კუთვნილების ხალხის პერმანენტული ჩამოსახლებით ჯიუტად ცდილობდა ქართველი ხალხის ეთნიკურად და სულიერად გათიშვას. 1801 წლის შემდეგ ოფიციალურად აღარ იხსენიება ქვეყნის სახელი „საქართველო“. 1811 წელს გაუქმდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია და აიკრძალა ქართულ ენაზე წერა-კითხვა, ქართული მართლმადიდებლური ეკლესია რუსული ეკლესიის ნაწილი გახდა. სკოლებიდან განიდევნა ქართული ენა, ქართველი მაჰმადიანები ცხადდებოდნენ არაქართველებად (თოფჩიშვილი, 2008: 83).

1800 წელს საქართველოში ცხოვრობდა 784,7 ათასი კაცი, რომელთაგან ქართველი იყო 622,6 ათასი (79,4%); აფხაზი - 52 ათასი (6,6%); სომეხი - 47 ათასი (6,0%); თათარ-თურქი - 30 ათასი (3,8%); ოსი - 29,3 ათასი (3,7%); ებრაელი 3,3 ათასი (0,4%); ბერძნები 0,5 ათასი (0,1%) (ჯაოშვილი, 1984: 79)

XIX საუკუნის I მესამედში ყველაზე მეტი ზრდა დაფიქსირდა ბერძნული და სომხური მოსახლეობის, რაც გამოიწვია რუსეთსა და თურქეთს შორის 1828-1829 წლების ომმა და ბერძნული და სომხური მოსახლეობის თურქეთიდან საქართველოში მასობრივმა ჩამოსახლებამ.

XIX საუკუნეში სომხების მასობრივი ჩამოსახლების შედეგად მკვეთრად შეიცვალა ეთნიკური სურათი სამცხე-ჯავახეთში (თოფჩიშვილი, 2013: 47). 1829-1831 წლებში რუსეთის ხელისუფლებამ 25 ათასამდე სომეხი დაასახლა ძირითადად მესხეთ

ჯავახეთის რეგიონში (ჯაოშვილი, 1984: 80). მსგავსი ტენდენციები გრძელდებოდა XIX საუკუნის II ნახევარშიც. საქართველოში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ჩამოსახლების პარალელურად მცირდებოდა ქართული ეთნიკური ჯგუფის ხვედრითი წილი მთელს მოსახლეობაში. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ 1886 წლის აღწერის დავთრებში ქართველ მაჰმადიანებს თურქებად მოიხსენიებენ (თოფჩიშვილი, 2013: 28). თითქმის განახევრებულია აფხაზთა რაოდენობა, რისი მიზეზიც XIX საუკუნის 60-70-იან წლებში ე.წ. მუჰაჯირობა იყო, როდესაც აფხაზები რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ მასობრივად გადაასახლა ოსმალეთში.

XIX საუკუნის დასაწყისში ქართული საზოგადოება ეროვნული ინტერესების დაცვას შეიარაღებული ამბოხების გზით ცდილობდა. 1804 წლის მთიულეთის აჯანყება, 1810 წლის იმერეთის, 1812 წლის კახეთის აჯანყებები დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენის მიზნით მოწყობილი წარუმატებელი მცდელობები აღმოჩნდა, 1819-1820 წლების იმერეთის, გურია-სამეგრელოს, რაჭის - მცდელობების კულმინაცია იყო 1832 წლის შეთქმულება, რომელშიც ფაქტიურად ქართველი საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელი მონაწილეობდა. მიუხედავად წარუმატებელი გამოსვლებისა შეთქმულების მიზანს წარმოადგენდა საქართველოს განთავისუფლება რუსეთის ბატონობისგან და ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა. სამწუხაროდ ყველა ეს მცდელობა მარცხით დასრულდა.

XIX საუკუნის II ნახევარში ქართული საზოგადოება ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების განსხვავებულ გზას დაადგა. ამ პერიოდის ქართულმა ინტელიგენციამ დიდი როლი შეასრულა ქართველი ხალხის ერთი იდეის გარშემო გაერთიანების საქმეში. ამ პროცესში განსაკუთრებულ როლს ასრულებდნენ ქართველი მწერლები, პოეტები, ისტორიკოსები და საზოგადო მოღვაწეები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა, გრიგოლ ორბელიანი და სხვ. მათი მეშვეობით მოსახლეობაში ვრცელდებოდა ის ძირითადი იდეები, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებდა არსებული კოლონიური რეალობიდან განთავისუფლებისთვის. ქართველი საზოგადო მოღვაწეები ქმნიდნენ ეროვნული განთავისუფლების პროგრამის ისეთ სტრუქტურას, რომელიც რუსეთის იმპერიის პერიოდშივე იძლეოდა შესაძლებლობას ქართველთა კონსოლიდაციისთვის.

1918 წლის 26 მაისს საქართველო გამოცხადდა დამოუკიდებელ რესპუბლიკად. დამოუკიდებლობის აქტის შესავალში, პირველ პუნქტში აღნიშნულია „ამერიიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა“. ფრაზაში - „საქართველოს ხალხი“ იგულისხმება არა მარტო ქართველი, არამედ ნებისმიერი ეროვნების წარმომადგენელი, რომელიც იმდროინდელ საქართველოში ცხოვრობდა. ასევე, ქვეყანა იღებდა ვალდებულებას დაეცვა ყველა მისი მოქალაქის უფლებები და ინტერესები, რაც აღნიშნული იყო დამოუკიდებლობის აქტის შესავალშივე - „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანაბრად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა და სქესისა“. (საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, 1918)

1921 წლის 21 თებერვალს ბოლშევიკურმა რუსეთმა მოახდინა საქართველოს ხელახალი ანექსია. ქვეყანამ დაკარგა 3 წლიანი დამოუკიდებლობა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ნაცვლად შეიქმნა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, რომელიც 1922 წლის 12 მარტს გაერთიანდა ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტურ-ფედერაციულ რესპუბლიკაში, ხოლო ეს უკანასკნელი ამავე წლის 30 დეკემბერს გახდა საბჭოთა კავშირის წევრი. ამგვარად, საქართველომ კვლავ დაკარგა დამოუკიდებლობა და ქვეყანაში მიმდინარე პროცესები, მათ შორის მიგრაციული პროცესები, კვლავ კრემლის მიერ იმართებოდა. გასაბჭოების შემდეგ საქართველოში დიდი რაოდენობით ჩამოსახლეს რუსები, უკრაინელები და ბელორუსები, რისი ერთ-ერთი მიზეზიც იყო საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რეგიონში XX საუკუნის 30-იან წლებში მომხდარი შიმშილობა (ჯაოშვილი, 1996: 313).

საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელთა მასობრივი ჩამოსახლება გაგრძელდა XX საუკუნეში და უკვე საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ამ პროცესებმა ახალი მასშტაბები შეიძინა.

საქართველოში ინტეგრაციული პროცესების შესწავლისთვის უპირველესად საჭიროა ქართველთა ეთნიკური იდენტობის ძირითადი მარკერების გააზრება, რადგან ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია ქართულ სახელმწიფოში

მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული თავად ქართული ეთნოსის პოზიციაზე ამ საკითხის მიმართ.

საქართველოს ძირითად მოსახლეობას ქართველები შეადგენენ. ქართველები ითვლებიან საქართველოს ავტოქტონურ მოსახლეობად, რასაც ადასტურებს ქვეყნის ტერიტორიაზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა, რომლის საფუძველზე „შეინიშნება უძველესი დროიდან უწყვეტი განვითარების ადგილობრივი კულტურა“ (თოფჩიშვილი, 2008: 28) ქართველთა ეთნოგენეზი სამხრეთ კავკასიის დასავლეთ და ცენტრალურ ნაწილში და მის მიმდებარე სამხრეთ ტერიტორიაზე განხორციელდა (თოფჩიშვილი, 2008: 45)

აფხაზები საქართველოში - აფხაზების საქართველოს ტერიტორიაზე დამკვიდრებასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა დღემდე აქტუალური საკითხია. მკვლევართა ერთი ნაწილი თვლის, რომ საქმე გვაქვს არა ადგილობრივი წარმოშობის ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებულ ეთნიკურ ჯგუფთან, რომელმაც შეავიწროა ადგილობრივი მოსახლეობა და დაიკავა აფხაზეთის ტერიტორია. მეორე ჯგუფის აზრით აფხაზები წარმოადგენენ ქართული ეთნოსის ისეთივე ნაწილს როგორც ქართლები, კახელები და სხვა მხარეების ქართველები და მათ ეთნიკური სახე იცვალეს XVII საუკუნეში ჩრდილოკავკასიელი ტომების - „აფსუების“ ჩამოსახლების შედეგად, ქართული სახელმწიფოს სისუსტით ისარგებლეს დაიმორჩილეს ადგილობრივი მოსახლეობა და მოახდინეს მათი ასიმილაცია.

საქართველოში, კერძოდ დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზების წინაპრების (აფსილები და აბაზგები) შემოსვლა ივარაუდება ახ.წ. I-II საუკუნეში. (ანჩაბაძე, 2008: 48)

VIII საუკუნის ბოლოს აფხაზთა მთავარმა ლეონ II-მ დაიკავა მთელი დასავლეთ საქართველო და საფუძველი ჩაუყარა აფხაზთა სამეფოს. ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი წერს „ძმისწულმან ლეონ აფხაზთა ერისთავმან მეორემან ლეონ დაიპყრა სრულად ეგრისი და იწოდა მეფედ აფხაზთა“ ( ბატონიშვილი, 1973: 127). ასე შეიქმნა აფხაზთა სამეფო, რომელიც მოიცავდა მთელ დასავლეთ საქართველოს. სამეფოს დედაქალაქი იყო ქუთაისი, ხოლო მოსახლეობის უმრავლესობას შესაბამისად

ქართველები შეადგენდნენ. ამ გარემოებამ განაპირობა აფხაზთა სამეფოს აქტიურობა ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნის პროცესში (Анчабадзе, 1959: 108)

დასავლეთ საქართველოს გაერთიანების შემდეგ გაფართოვდა ტერმინ „აფხაზი“-ს და „აფხაზეთი“-ს მნიშვნელობა. „ამ დროიდან ქართულ წერილობით წყაროებში აფხაზეთი და აფხაზი, როგორც წესი ნიშნავს ზოგადად საქართველოს და ქართველებს.“ (ლორთქიფანიძე, 1990: 10).

ერთიანი აფხაზეთის სამეფოში, აფხაზურ და ქართულ მოსახლეობას შორის ინტენსიური თანაცხოვრების შედეგად კულტურული ზღვარი მცირდება და საერთო სოციალურ-ეკონომიკურ გარემოს, ერთიანი სახელმწიფო იდეოლოგიის პირობებში, ქართული ქრისტიანული კულტურის ფართოდ გავრცელების გათვალისწინებით (იგულისხმება წირვა-ლოცვა ქართულად, რაც ქართული ენის გავრცელებას უწყობდა ხელს) აფხაზებსა და ქართველებს შორის „იშლებოდა რელიგიური და სოციალური ზღვარი“ (ბახია-ოქრუაშვილი, 2000:15).

აფხაზურ-ქართული ერთიანობა ნ.ბერძენიშვილის აზრით იყო არა ურთიერთ დაპყრობის და დაპირისპირების, არამედ ქართულ კულტურულ სამყაროში აფხაზთა თანდათანობითი მშვიდობიანი შემოსვლის შედეგი (ანჩაბაძე, 2008: 50).

XV საუკუნის II ნახევარში საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ აფხაზეთი ჯერ იმერეთის სამეფოში, ხოლო შემდეგ მხოლოდ ოდიშის სამთავროს შემადგენლობაში აღმოჩნდა. მოგვიანებით კი, XVII საუკუნიდან გამოეყო ოდიშის სამთავროს. მიუხედავად ამისა, აფხაზეთში ქართულ ენასა და კულტურას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. „ეკლესიურად აფხაზეთი მთელს დასავლეთ საქართველოსთან ერთად (იმერეთი, სამეგრელო, გურია) ერთ მთლიან ერთეულს წარმოადგენდა ერთი საეკლესიო ენით. ქართული ენა იყო სამთავრობო დაწესებულებათა და მწიგნობრობის ენა“ (თოფჩიშვილი, 2008: 62).

საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ აფხაზეთის ტერიტორიაზე მოიმატა ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსახლებულთა რიცხვმაც, რომლებიც მართალია ენათესავებოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, მაგრამ განსხვავდებოდნენ კულტურით, ტრადიციებით. XVII საუკუნის 20-იანი წლებიდან იწყება ადიღური მოდგმის ჩრდილოკავკასიელი ტომების პერმანენტული თავდასხმები ოდიშის სამთავროზე. მომხდურები თანდათან იკავებდნენ აფხაზეთის

ტერიტორიას. ჩამოსახლებულთა მოძალების შედეგად ოდიშის სამთავროს საზღვრებმა სამხრეთისკენ გადაინაცვლა მდ.ენგურამდე ( Анчабадзе, 1976: 69).

„აფხაზეთის ძველ და ახალ მკვიდრებს შორის ზღვარი იმიტომ ევლება, რომ ძველი აფხაზები ქრისტიანები, მიწათმოქმედები და ქართული ფეოდალური საზოგადოების, სოციალური სფეროს, კულტურის განუყოფელი ნაწილი იყვნენ. მაშინ, როდესაც ახალი აფხაზები (გვიანი შუასაუკუნეები XV საუკუნის შემდეგ უწოდებს მათ ახლებს) წარმართები (ქრისტიანობიდან მიქცეულები), მეჯოგეები და თემური ცხოვრების მიმდევრები იყვნენ“ (თოფჩიშვილი, 2007: 375)

დროთა განმავლობაში ქართულ-აფხაზურ ეთნოსში, რომელიც ამ ტერიტორიაზე დარჩა იმძლავრა ადიღეურ-უბიხურ-აბაზურმა ელემენტმა. „მოხდა ჩამოსახლებული და დამხვდური ეთნიკური აფხაზური მოსახლეობის ყოფითი კულტურის სინთეზი (ბახია-ოქრუაშვილი, 2000: 19). 1810 წელს აფხაზთა სამთავრო შედის რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, ხოლო 1864 წელს სამთავრო გაუქმდა და შეიქმნა სოხუმის ოლქი (Паичадзе, 1999: 217).

აფხაზებთან დაკავშირებით გარკვეული ცვლილებები განხორციელდა კულტურული თვალსაზრისით. XIX საუკუნემდე აფხაზებს არ ჰქონდათ საკუთარი დამწერლობა და ურთიერთობისთვის იყენებდნენ ქართულ ანბანს (Ахаладзе, 1999: 372). ქართული, როგორც სალიტერატურო ენა აფხაზეთში IX-XIX საუკუნეებში გამოიყენებოდა (Бгазна, 1967: 34).

თანამედროვე აფხაზური ანბანის შექმნა უკავშირდება რუსი მეცნიერის პ. უსლარის მოღვაწეობას. მეცნიერი ქართულ ანბანს სხვა დამწერლობებთან შედარებით ყველაზე სრულყოფილად და კავკასიელი ხალხებისთვის მოსახერხებლად თვლიდა, მაგრამ განმარტავდა, რომ ქართული ანბანის დამწერლობის გავრცელებას შეიძლება სირთულეები გამოეწვია, რადგან მისივე აზრით ამ ხალხების დიდ ნაწილს ქართველებთან თითქმის არავითარი შეხება არ ჰქონდათ და მჭიდრო კავშირში იყვნენ რუსებთან. იგი რუსული ანბანის შრიფტის გავრცელების აუცილებლობას ჩრდილო კავკასიელ ხალხებში მათი რუსული ენისადმი დიდი მოთხოვნილებით ხსნიდა (Бгазна, 1976: 41) საბოლოოდ რუსულ შრიფტზე დაფუძნებული თანამედროვე აფხაზური ანბანი 1865 წელს გამოიცა თბილისში (Паичадзе, 1999: 231)

გასაბჭოების შემდეგ, 1921 წელს, რუსეთის მიერ აფხაზეთისთვის ეთნიკურ ნიადაგზე ავტონომიის სტატუსის მინიჭება შორსგამიზნული პოლიტიკის ნაწილი იყო. 1991 წელს, საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ სწორედ ეთნიკურ ნიადაგზე დაიწყო დაპირისპირება ქართველებსა და აფხაზებს შორის. კონფლიქტი ომში გადაიზარდა და 1993 წელს ქართული სამხედრო შენაერთების მარცხით დასრულდა. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის შემდეგ კი რუსეთის ფედერაციამ აფხაზეთის „დამოუკიდებლობის“ აღიარება მოახდინა.

ოსები საქართველოში - საქართველოში ოსთა მასობრივი დასახლების პერიოდად ზოგიერთი მეცნიერი მონღოლთა შემოსევების ხანას - XIII-XIV საუკუნეებს ან მის შემდგომ პერიოდს მიიჩნევს. ზოგიერთი რუსი და ქართველი მეცნიერის აზრით, ოსები საქართველოში XVI-XVII საუკუნეებში დასახლდნენ. ცნობილ ქართველ მეცნიერთა კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ ქართლის მთიანეთში ოსები XVII საუკუნეში დასახლდნენ, მათი ინტენსიური გადმოსახლება კი XVIII საუკუნეში ხდებოდა. (ეთნოსები საქართველოში, 2008: 63)

„არცერთი საისტორიო წყაროთი არ მტკიცდება, რომ ირანულენოვანი ტომები პირველი ათასწლეულის I ნახევარში კავკასიის მთიანეთში ცხოვრობდნენ. ცნობილია, რომ დღევანდელ ოსთა წინაპრებად მიჩნეული ალანები მხოლოდ ძვ.წ. I-საუკუნიდან დასახლდნენ აზოვისპირეთსა და სამხრეთ ურალს შორის. ასე, რომ არა მარტო I ათასწლეულის I ნახევარში, არამედ ძვ.წ. I საუკუნეშიც კი გამორიცხულია ოსთა წინაპარი ე.წ. ალანების ჩრდილოეთ კავკასიის მთა-მთისწინეთში მკვიდრობა“ (თოფჩიშვილი, 1997: 123-124).

კავკასიაში ოსების თავდაპირველი განსახლების ადგილს წარმოადგენდა მთავარი გამყოფი ქედის ცენტრალური მონაკვეთის ჩრდილოეთი ნაწილი. ფაქტობრივად ალან-ოსების მუდმივი განსახლების ადგილი ჩრდილოეთ კავკასია იყო. ამ კუთხით ოსების შესახებ საინტერესო ცნობები აქვს ჯუანშერს, რომლის მიხედვით ვახტანგ გორგასლის ბავშვობაში ოსებმა დაარბიეს ქართლი, რანი, მოვაკანი და „ განვლეს კარი დარუბანდისა, რამეთუ თვით გზა სცეს დარუბანდელთა და შევიდეს ოვსეთს გამარჯვებულნი“ (ოსეთი ჩრდილოეთ კავკასიაში იხსენიება, ანუ ყოველთვის ჩრდილოეთ კავკასიაში დარუბანდს იქით მდებარეობდა). ოსებმა ამ

ლაშქრობისას ვახტანგის და დაატყვევეს. მოგვიანებით ვახტანგმა აღკვეთა ოსთა თარეში, „განვლო კარნი დარიალისანი“ და დაიმორჩილა ისინი (ჯუანშერი, 1955: 151).

თითქმის გვიან შუასაუკუნეებამდე, მცირე მასშტაბით, მაგრამ მაინც ადგილი ჰქონდა ქართლში ოსთა ჩამოსახლების შემთხვევებს. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით 853 წელს ბუღა თურქმა „დარიალანით გამოიყვანა ოვსნი ვითარ სახლი სამი ათასი, და დასხნა იგინი დმანისს, და ენება ზაფხულს შესვლა ოვსეთად“ (ბატონიშვილი, 1973: 256). ამის შემდეგ ოსები ისტორიულ წყაროებში ძირითადად ჩანან, როგორც რომელიმე ქართველი მეფე-მთავრის მოკავშირეები. დიდგორის ომში ოსები ქართველების მხარდამხარ იბრძოდნენ სელჩუკების წინააღმდეგ.

ხშირად იყო დინასტიური ქორწინებებიც ქართველ და ოს მმართველთა ოჯახებს შორის. გიორგი III-ის მეუღლე და თამარის დედა ბურდუხან დედოფალი „ოვსთა მეფის ქალი იყო“. თამარის მეუღლეს დავით სოსლანი ოსთა უფლისწული იყო. ამ დროს მთელი კავკასია, მათ შორის ოსეთიც, საქართველოს გავლენის ქვეშ იყო მოქცეული.

ოსები ყველა ისტორიული დოკუმენტის მიხედვით არიან საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოსახლებული ეთნოსი ჩრდილოეთ კავკასიიდან (სონლულაშვილი, 2002:198).

საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარე პროვინცია დვალეთში ოსური დასახლებები XV საუკუნიდან ჩნდება, რასაც დროთა განმავლობაში (XVI-XVIIIსს.) ადგილობრივი ქართული ტომის - დვალეების ასიმილაცია მოყვა (თოფჩიშვილი, 2007: 54).

ვახუშტი ბატონიშვილი არ თვლის დვალეებს ოსებად და განმარტავს, რომ ეს სახელი ამ მხარეს მოგვიანებით ეწოდა. იგი ამბობს „დუალთა და აწ ოსეთად წოდებულსა“ (ბატონიშვილი, 1973: 370). XVII საუკუნეში დვალეების ასიმილაცია ფაქტობრივად დასრულდა, თუმცა ზახას ხეობაში საკმაოდ დიდხანს შემორჩა ორეროვნება. ზახელები კარგად ფლობდნენ ქართულს რისი მიზეზიც უნდა იყოს მათი საქართველოსთან ხანგრძლივი ეთნოკულტურული კავშირები და ქართველი სასულიერო პირების მოღვაწეობა ზახის ეკლესიებში, სადაც წირვა-ლოცვა ქართულად მიმდინარეობდა (თოფჩიშვილი, 2007: 94).



ვახუშტის დროს (XVIII საუკუნის I ნახევარი) დვალეთი უკვე ოსებით არის დასახლებული. აქ „მსახლობელნი არიან ოსნი“ წერს ავტორი (ბატონიშვილი, 1973: 363). რაც შეეხება ქართულ მოსახლეობას - დვალეებს, ოსების მხრიდან თავდასხმების და ქართული სახელმწიფოს სისუსტის შედეგად იძულებულნი გახდნენ საქართველოს სხვა კუთხეებში ჩასახლებულიყვნენ, (რაჭაში, იმერეთში, შიდა ქართლში, ქვემო ქართლში), ხოლო, ის მცირე ნაწილი, რომელიც დარჩა დვალეთში აითქვიფა ოს მოსახლეობაში - გაოსდა ( თოფჩიშვილი, 2007: 95). სწორედ ამის შემდეგ დაიწყო ოსთა ჩამოსახლება შიდა ქართლში. მათი გამუდმებული თავდასხმების გამო ქართლის მთიელები ტოვებდნენ სოფლებს და ბარში მოდიოდნენ, სადაც მოსახლეობა შემცირებული იყო მტრის შემოსევების შედეგად (თოფჩიშვილი. 2007: 98).

რაც შეეხება დღევანდელი საქართველოს ტერიტორიას აქ ოსური დასახლებები უკვე XVII საუკუნეში ჩნდება. კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე, კერძოდ მთიან ქართლში (XVII-XVIIIსს.), ვინაიდან ამ პერიოდში დასუსტებული ქვეყანა ვეღარ აკონტროლებდა ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოსასვლელებს - კასრის კარს და დარიალს (თოფჩიშვილი, 2007: 99)

პირველი ოსური ანბანი ქართული გრაფიკის საფუძველზე XIX საუკუნეში შეიქმნა. მისი ავტორი იოანე იაღლუზიძე (გაბარათი) (1775-1830) იყო, რომელიც 1820 წლიდან თბილისის სასულიერო სემინარიაში მოსწავლე ოს ბავშვებს ქართულ და ოსურ ენებს ასწავლიდა. რუსულ გრაფიკაზე დაფუძნებული ოსური ანბანი კი პირველად რუსმა მეცნიერმა ანდრია შეგრენამ შეადგინა (თოფჩიშვილი, 2007: 57).

ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“ ჩნდება XIX საუკუნეში, როდესაც საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო. 1830 წელს გაზეთ „Тифлиские Ведомости“-ში გაჩნდა ეს სახელწოდება, ხოლო მოგვიანებით უკვე იგი გამოიყენებოდა ე.წ. პოლიტიკურ ლექსიკონში, ანუ კავკასიის რუს მმართველთა ოფიციალურ დოკუმენტებში (თოთაძე, 2006: 34). ამ ტერმინის დამკვიდრებაც რუსულ მიზანს ემსახურებოდა, თითქოს აღნიშნული მხარე იყო ოსური მიწა და არა ქართული.

XX საუკუნის პირველ მეოთხედში განსაკუთრებით გამწვავდა ქართულ-ოსური ურთიერთობები. საქართველოს პირველ რესპუბლიკასთან ბრძოლაში (1918-1921 წწ.) შიდა ქართლის ოსები იქცნენ ამჯერად უკვე ბოლშევიკური რუსეთის დასაყრდენ ძალად. 1918-1920 წლებში შიდა ქართლში მოხდა რამდენიმე სასტიკი აჯანყება,

რომელშიც სეპარატისტებთან ერთად ზოგჯერ ქართული მოსახლეობაც მონაწილეობდა (თოიძე, 1991: 25)

მართალია, საქართველოს მაშინდელმა მთავრობამ მოახერხა და ჩაახშო ეს ამბოხებები, მაგრამ ქართველებსა და ოსებს შორის დაპირისპირება ამით არ ამოწურულა. საქართველოს ანექსიის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ შექმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, სადაც საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული კუთხეების ტერიტორიები იქნა შეყვანილი (ეთნოსები საქართველოში, 2008: 62).

სამწუხაროა, ის ფაქტი, რომ ისტორიული საქართველოს ძირძველ ტერიტორიაზე შეიქმნა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ოლქი და არა როგორც ცხინვალის ოლქი. სახელწოდებიდანაც კი ნათლად ჩანს, რომ სამომავლოდ დადგებოდა დრო, როცა სამხრეთისა და ჩრდილოეთის ოსებს გაერთიანების ინტერესი გაუჩნდებოდათ და საქართველოს საზღვრების ურღვევობის სუვერენული უფლება ადრე თუ გვიან შეილახებოდა.

1926-1989 წლებში გახშირდა ოსების მთიდან გადმოსახლების შემთხვევები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. ამ პერიოდში ცხინვალში ოსების რაოდენობა გაიზარდა 30-ჯერ, ხოლო ქართველების 3-ჯერ. ოსური სოფლები დაარსდა თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ ხეობებში, ბორჯომის, ქარელის, ხაშურის და გორის რაიონებში (ჯაოშვილი, 1996: 316).

1990-იან წლების დასაწყისში ადგილო ჰქონდა ქართულ-ოსურ დაპირისპირებას ეთნიკურ ნიადაგზე, რაც შეიარაღებულ კონფლიქტში გადაიზარდა. 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს შორის ომის შემდეგ რუსეთის ფედერაციამ მოახდინა ცხინვალის რეგიონის, ე.წ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ სრულ მასშტაბიანი ოკუპაცია და მისი ე.წ. „დამოუკიდებლობის“ აღიარებაც.

აზერბაიჯანელები საქართველოში - აზერბაიჯანელების საქართველოში ჩამოსახლების ისტორია იწყება XVII საუკუნის დამდეგს, როდესაც შაჰ-აბას პირველმა ქართლის მეფე გიორგის საჩუქარი მოსთხოვა, სანაცვლოდ კი ირანში რამდენიმე სოფელი და 300 თუმანი შესთავაზა. შაჰმა „ნაჩუქარ“ მიწაზე ლორეს სახანო შექმნა, იქ ბორჩალოს მუსლიმი ტომები ჩამოსახლდა. შაჰ-აბასმა ქართლის ანალოგიური პოლიტიკა გაატარა კახეთშიც. მან კახეთის მეფისგან კაკ-ენისელი „იჩუქა“ და ამ

რეგიონში მომთაბარეთა ჩასახლება დაიწყო. ადგილობრივი მოსახლეობა აყარა და ირანში გადაასახლა, ხოლო კაკ-ენისელის სასულთნოში კი წახურელმა ლეკებმა დაიწყეს ჩამოსახლება (ჯანიაშვილი, 2008: 112).

მოსახლეობისგან დაცლილი ტერიტორიების ასათვისებლად ადგილობრივი ფეოდალი მმართველები ხშირად თავად ასახლებდნენ თურქული მოდემის ტომებს საქართველოს ტერიტორიაზე და აღარ აძლევდნენ ქვეყნიდან წასვლის საშუალებას (ჯანიაშვილი, 2008: 113). ჩამოსახლებულები ქართველი მეფეების მორჩილებაში რჩებოდნენ და დაწესებულ ხარკსაც იხდიდნენ. ვახუშტის ცნობით „ალგეთს შესართავს ჩრდილოეთ იალღუჯამდე, მტკურის პირას სახლობდნენ ელნი მოჰმადიანნი, მთესველნი ბრინჯისა, ბამბისა და ყოველი თესლ-მარცვლეულისა, აკეთებენ აბრეშუმსა, მოხარკენი არიან მეფისა, სავსენი ყოვლითა პირუტყვითა“ (ბატონიშვილი, 1973: 328).

მუსლიმანური რელიგია წარმოადგენდა საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების მნიშვნელოვან ეთნოკულტურულ მახასიათებელს. საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა კულტურა და ტრადიციები დღემდე შეუზღუდავად და შეუფერხებლად ვითარდება.

სომხები საქართველოში - უძველესი დროიდან სომხეთი საქართველოს სამხრეთი მეზობელი იყო და შესაბამისად სამხრეთიდან მომავალი დამპყრობლები ჯერ სომხეთში შედიოდნენ, რის გამოც საქართველო სომხებისათვის ბუნებრივ თავშესაფარს წარმოადგენდა. სრულებით ბუნებრივია, რომ ისინი სახლდებოდნენ განსაკუთრებით იმ მხარეში, რომელიც სომხეთის მოსაზღვრე იყო და სადაც თავისუფალი სამოსახლო ადგილი მოიპოვებოდა, კერძოდ, ქვემო-ქართლში.

საქართველოს ტერიტორიაზე შემოსული სომეხი ლტოლვილები ხშირ შემთხვევაში რჩებოდნენ საცხოვრებლად და ქართული სახელმწიფოს, თუ სახელმწიფოების ქვეშევრდომები ხდებოდნენ. სომხების ჩამოსახლებას ხელს უწყობდნენ ქართველი ხელისუფალნიც, განსაკუთრებით ქალაქებში, მათ შორის თბილისში, სადაც სომეხ ვაჭარ-ხელოსანთა სიმრავლე ქვეყნის ეკონომიკისთვის იყო მნიშვნელოვანი. ფეოდალური საქართველოს ქალაქებისთვის აუცილებელი იყო ებრაელ და სომეხ ვაჭარ-ხელოსანთა არსებობა, რაც განაპირობებდა ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარებას (ლომსაძე, 1975: 342). მაჰმადიანური სახელმწიფოების

მხრიდან არსებული საფრთხეების პირობებში ქართველი მეფეები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სომეხთა ჩამოსახლებას, რომელთა შრომისმოყვარეობა და ქართველებთან კულტურულ-რელიგიური სიახლოვე ქართული სახელმწიფოებრიობისათვის აუცილებელ ფაქტორს წარმოადგენდა (მაისურაძე, 1999: 113)

ჩამორჩენილ და მათთვის უცხო ყიზილბაშურ, თუ ოსმალურ კულტურასთან მეზობლობის პირობებში, ქართულ კულტურულ გარემოში მოხვედრილი სომხები ადვილად ქართველდებოდნენ, თუმცა ძირითად შემთხვევაში ინარჩუნებდნენ საკუთარ რელიგიას. „გაქართველებული სომხისთვის კი ცალკე სომხური კოლონია მიუღებელი იყო: პირიქით, ის ძირითადი სომხური კოლექტივისგანაც განსხვავდებოდა და ქართული სამყაროს შვილად მიიჩნევდა თავს. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიური კუთვნილება მას ყოველთვის ახსენებდა თავის ეთნიკურ წარმომავლობას“ (მაისურაძე, 1999: 205-206).

XVIII საუკუნის II ნახევარში ერეკლე II-მ ერევნიდან (1780 წელს) და ყარაბაღიდან (1787 წელს) 7000-მდე სომეხი შემოასახლა, რომელთა ნაწილი მერე განჯას გადასახლდა (ლომსაძე 1975: 342).

XVIII საუკუნეში მცხოვრები სომხები, როგორც ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს „ქცევა-ზნით“ უკვე გაქართველებულნი იყვნენ. ეს განსაკუთრებით შეეხება ქვემო ქართლის და თბილისის სომხობას. ქვემო ქართლში მცხოვრები სომხების დიდი ნაწილის სასაუბრო და სამწერლობო ენა ძირითადად ქართული იყო (მაისურაძე, 1999: 312).

XIX საუკუნის საქართველოში სომხების პერმანენტული და კომპაქტური ჩამოსახლების პროცესი ქვეყანაში რუსეთის ხელისუფლების დამკვიდრებისთანავე დაიწყო და მას თავად ხელისუფლება ახორციელებდა. საქართველოში მცხოვრები სომხების დასახლების მიზეზად სახელდებოდა მათი ლოიალური დამოკიდებულება ხელისუფლების მიმართ, ხელისუფლებას ისინი საიმედოდ მიაჩნდათ და ამასთანავე ამ პროცესს ვაჭრობის განვითარებისთვის უნდა შეეწყო ხელი (ჯავახიშვილი, 1998 :10).

სომხები სახლდებოდნენ საქართველოს ქალაქებსა და რეგიონებში, XIX საუკუნის I ნახევარში საქართველოში იქმნებოდა კომპაქტური დასახლებები. 1826-1828 წლებში რუსეთ-ირანის ომის დროს სომხების დიდი რაოდენობა შემოასახლეს საქართველოში ირანიდან, მათი ნაწილი ქვემო ქართლში დასახლდა (ლომსაძე, 1975:

344). რეგიონში იქმნებოდა სომხების კომპაქტური დასახლებები, როცა 1828-1829 წლებში რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად მოხდა მოსახლეობის ერთგვარი, გაცვლითი გადასახლება. ადგილობრივი მაჰმადიანი ქართველები ხელისუფლებამ აიძულა თურქეთში გადასახლებულიყვნენ, ხოლო, მათ მაგივრად კი არზრუმიდან 30000 სომეხი ჩამოსახლეს (ჯავახიშვილი, 1998:8). სამცხე-ჯავახეთში სომხების ჩამოსახლებით ხელისუფლებას სურდა ოსმალეთის საზღვართან ერთგული მოსახლეობა ჰყოლოდა, რომელიც საზღვარს დაიცავდა და ამასთან შეძლებდა მხარეში ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას (ლომსაძე, 1975: 347).

XX საუკუნის დასაწყისში თურქეთში სომხური მოსახლეობის დევნის შედეგად დაიწყო ახალი ლტოლვილების მიგრაცია საქართველოსკენ. I მსოფლიო ომის დროს რუსეთისადმი სომხების მხარდაჭერის გამო ოსმალეთის იმპერიაში განხორციელდა სომხური მოსახლეობის მასშტაბური დევნა, რასაც დიდი მსხვერპლი მოყვა სომხურ მოსახლეობაში. შესაბამისად, ამიერკავკასიასა და კერძოდ საქართველოში სომეხი ლტოლვილების ახალი ნაკადი შემოვიდა (ჯავახიშვილი, 1998:15). მომდევნო პერიოდში სომხების ასეთ მასშტაბურ ჩამოსახლებებს საქართველოში ადგილი აღარ ჰქონია.

კომპაქტურად ჩამოსახლებული სომეხი მოსახლეობა ადრე ჩამოსახლებულებისგან (იგულისხმება XIX საუკუნემდე ჩამოსახლებულები) განსხვავებით ქართულ ენას არ ფლობდა და ქართული ენის შესწავლის საჭიროებასაც ნაკლებად გრძნობდა.

წარმოდგენილ დიდ ეთნიკურ ჯგუფებთან ერთად საქართველოში ცხოვრობენ ასევე ბერძნები, ებრაელები, რუსები, უკრაინელები, ასურელები, ქურთი იეზიდები და სხვები.

სწორი ეთნიკური პოლიტიკის წარმართვა თანამედროვე საქართველოს სახელმწიფოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. რადგან ეთნიკურ ნიადაგზე წამოჭრილი კონფლიქტების შედეგად სახეზე გვაქვს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ჩამოჭრილი ტერიტორიები - ე.წ. გაყინული კონფლიქტების ზონა. გარდა ამისა, დღეს საქართველოში ორი კომპაქტურად და მჭიდროდ განსახლებული რეგიონი არსებობს, სადაც მკვიდრობენ ეთნიკურად არაქართველები. არ უნდა

გაიზარდოს გაუცხოება უმრავლესობასა და უმცირესობას შორის და პირიქით, საზოგადოების მეტი ინტეგრაცია უნდა მოხდეს.

ახალ ეთნოკონფლიქტებზე საუბარი დღევანდელ საქართველოში გადაჭარბებულია. საგარეო პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე, ამ კუთხით ჯერჯერობით გარკვეული წონასწორობაა დამყარებული. პოტენციური საფრთხის შემცველი რეგიონები ქვემო ქართლი და სამცხე-ჯავახეთი დასახლებულია აზერბაიჯანული და სომხური ეთნიკური ჯგუფებით. სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის კი მძაფრი დაპირისპირება არსებობს. ამის გამო ორივე მათგანი დაინტერესებულია საქართველოსთან ნორმალური ურთიერთობის შენარჩუნებით, რათა თავიდან აიცილოს „მეორე ფრონტის“ გახსნა: თუ ჯავახეთში სომხები აჯანყდებიან, ეს გამოიწვევს საქართველო-აზერბაიჯანის ალიანსს, ისევე როგორც აზერბაიჯანის პრეტენზიები გამოიწვევს საქართველო-სომხეთის დაახლოებას. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი მყიფე წონასწორობა, რასაკვირველია, ვერ იქნება მდგრადი სტაბილურობის გარანტი (ზურაბიშვილი, 2003: 18).

2020 წლის შემოდგომაზე, მთიანი ყარაბაღის ომის დროს საქართველოში მცხოვრებმა აზერბაიჯანელებმა და სომხებმა მაღალი სამოქალაქო შეგნება, უდავოდ, გამოავლინეს და მათ შორის რაიმე სახის დაპირისპირებას ჩვენს ქვეყანაში ადგილი არ ჰქონია.

XIX-XX საუკუნეებში საქართველოში განხორციელებული მიგრაციული პროცესები, რუსეთის ხელისუფლების ორგანიზებით მიმდინარეობდა და შესაბამისად, პირველ რიგში იმპერიის ინტერესებს ემსახურებოდა. გათვალისწინებული არ იყო ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობის ინტერესები. ხელისუფლება ხელს არ უწყობდა მოსახლეობის ურთიერთდაახლოებას და შესაბამისად, ეთნიკურ ჯგუფების ერთმანეთის შესახებ არასაკმარისი ინფორმაცია ჰქონდათ. აღნიშნული მიზეზი წარმოადგენდა საქართველოში ეთნიკური პრობლემების ერთ-ერთ ხელისშემწყობ ფაქტორს, რამაც XX საუკუნეში იჩინა თავი საქართველოში.

XIX საუკუნის I ნახევრიდან პერმანენტული და მასობრივი ხასიათი ჰქონდა საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელთა ჩამოსახლებას. პროცესები შეჩერდა XX საუკუნის II ნახევარში, ხოლო XX საუკუნის

ბოლოს კი პირიქით, დაიწყო როგორც ქართველების ასევე სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლების ქვეყნიდან გადინება, რისი მიზეზიც ეთნოპოლიტიკური ხასიათის პრობლემების გარდა ეკონომიკური სიდუხჭირეც იყო.

## **1.2 ეთნიკური უმცირესობების მდგომარეობა საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდში**

ქვეყნის დემოგრაფიული სურათი ბუნებრივია, რომ წლების მიხედვით მუდმივად განიცდის ცვალებადობას, რაც აისახება კიდევ მოსახლეობის ეთნიკურ რუკაზე. მოსახლეობის საყოველთაო აღწერის სტატისტიკურ მონაცემებს თუ გადავავლებთ თვალს დავინახავთ, რომ 1989 წლის აღწერის მიხედვით, როცა საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიოდა, ქვეყნის მოსახლეობის 30% ეთნიკურად არაქართველი იყო. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა ეთნიკური უმცირესობების მასიური გადინება გამოიწვია ქვეყნიდან. მათი ხვედრითი წილის შემცირება უკავშირდება ასევე, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში განვითარებული საომარი მოქმედებების შედეგად აღნიშნული ავტონომიური ერთეულების საქართველოს იურისდიქციიდან გამოსვლას.

2002 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერით ეთნიკური უმცირესობები მთლიანი მოსახლეობის 16%-ს შეადგენდა და აქ თავისთავად შეყვანილი არ არის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა. უახლოესი, 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემებით საქართველოს მოსახლეობის საერთო რაოდენობის 13,2% შეადგენენ ეთნიკური უმცირესობები. მათ შორის ყველაზე მსხვილ ჯგუფებს აზერბაიჯანელები 6,2%-ით და სომხები 4,5%-ით წარმოადგენენ, რომლებიც კომპაქტურად არიან დასახლებულნი ქვეყნის საზღვრისპირა რეგიონებში ქვემო-ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში. დანარჩენი ეთნიკური ჯგუფები დისპერსიულად არიან მიმოფანტული ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებსა და ურბანულ ცენტრებში.

ქვეყანაში ეთნიკურ უმცირესობათა კულტურულად მრავალფეროვანი თემების არსებობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა საქართველოს ხელისუფლებისთვის. მთავარი გამოწვევა კი მდგომარეობს ადეკვატური და ეფექტური სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის გატარებაში. ამ პოლიტიკაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ის თუ რამდენად მოახერხებს ქართული პოლიტიკური ორგანიზმი ჩართულობაზე, თანამონაწილეობასა და პლურალიზმზე დაფუძნებული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას.

საქართველო როგორც ისტორიული, ისე თანამედროვე თვალსაზრისით მრავალეთნიკური ქვეყანაა. კომუნიზმის შემდგომ ეტაპზე, ახალბედა დამოუკიდებელი ქვეყნისთვის სწორედ ამგვარი ეთნო-კულტურული მრავალფეროვნება იქცა მძიმე საკითხად და მთავარ გამოწვევად დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე.

საბჭოთა კავშირი, რომელიც განსხვავებულ ერთა და ეთნო-კულტურულ ჯგუფთა უზარმაზარ გაერთიანებას წარმოადგენდა, თავის ტერიტორიაზე გარკვეულწილად ახერხებდა ამგვარი მრავალწევრიანობის რეგულირებას. მასში თითქოს განხორციელებული იყო მულტიკულტურული და ინტერკულტურული საზოგადოების თანაარსებობის იდეალები.

საბჭოთა კავშირს არასოდეს უღიარებია „სადნობი ქვაბის“ ასიმილაციის პოლიტიკური პრინციპი. „ხალხთა დაახლოების“ საბჭოური იდეა ისეთი დიდი ოჯახის შექმნას გულისხმობდა, რომელშიც ეთნიკური რუსები იქნებოდნენ „უფროსი ძმები“. საბჭოთა პასპორტში მოქალაქეობის და ეთნიკურობის ორი გრაფის არსებობა სსრკ-ს ნაციონალური პოლიტიკის ორბუნებოვნობის ნათელი გამოხატულება იყო. პატარა ეთნოსებისადმი შემწყნარებლობა თითქოს ჩამენებული იყო უფრო დიდი საბჭოთა მოქალაქეობის ლოიალობის კედლებში. სხვა ხალხებზე საბჭოთა რუსეთის ბატონობას უზრუნველყოფდა რუსული „დაყავი და იბატონეს“ პოლიტიკა, რაც თავის მხრივ სხვა ხალხების სამართლიან პროტესტს აყალიბებდა.

1921 წლის 21 თებერვალს ბოლშევიკურმა რუსეთმა საქართველოს ანექსია მოახდინა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა „გადაკეთდა“ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად და გახდა საბჭოთა კავშირის წევრი, ნომინალური სახელმწიფოებრიობით. ფაქტობრივად ქვეყანა, ისევე როგორც



დანარჩენი მოკავშირე რესპუბლიკები, მოსკოვიდან იმართებოდა. შესაბამისად, საქართველოში გაიზარდა ეროვნული თვითგამორკვევისკენ სწრაფვა. „კომუნისტების ეროვნული პოლიტიკა არ იყო თანმიმდევრული. ერთის მხრივ მიმდინარეობდა კულტურული ჰეგემონიზაციის ხელშეწყობა (საბჭოთა ხალხი, რუსული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადება საბჭოთა რესპუბლიკებში...) ხოლო მეორე მხრივ, ეთნიკური სეგრეგაცია, ეთნოსების ინსტიტუციონალიზაცია და ეთნიკური ელიტების წახალისება“ (სიამაშვილი, 2010: 54).

ეთნიკური უმცირესობების საკითხისადმი საბჭოთა კავშირში არსებობდა სპეციფიკური მიდგომები. დამკვიდრებული იყო ტერიტორიული დაყოფის პოლიტიკური პრინციპი. სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფები მათ საცხოვრებელ ტერიტორიაზე იღებდნენ განსხვავებული ხარისხის პოლიტიკურ სტატუსს ავტონომიური ოლქი ან ავტონომიური რესპუბლიკა, შესაბამისად ეთნოსებს შორის არსებული პრობლემები გარკვეულ ჩარჩოებში იყო მოქცეული. საქართველოს ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა სამი ავტონომიური ერთეული: აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. აფხაზეთისა და ოსეთის ავტონომია ეთნიკური ნიშნით, ხოლო აჭარის ავტონომია რელიგიური და პოლიტიკური ნიშნით იყო შექმნილი.

საბჭოთა „ეროვნული პოლიტიკის“ თავისებურება ის იყო, რომ ეთნოსურობის ორივე სისტემას სწყალობდა - როგორც ინდივიდუალურს, რომელიც ეროვნულობის შესახებ გრაფას მოიცავდა, ისე ტერიტორიულს - რაც ეროვნული რესპუბლიკების და ავტონომიების სისტემის არსებობას გულისხმობდა. არსებობს მოსაზრება, რომ „ეროვნული პოლიტიკის“ საბჭოთა სისტემა თითქოს წარმატებული იყო - რადგან არც კონფლიქტები ყოფილა და ყველა მეგობრულად ცხოვრობდა. მაგრამ, რეალურად სისტემა თავისი ორმაგი ბუნებით საფუძველს ამზადებდა ე.წ. „ეთნოსური კონფლიქტებისთვის“. რადგან, მას პირველი ბზარები სწორედ ეროვნული პრინციპით გაუჩნდა.

საბჭოთა საქართველოში ეთნიკური საკითხები ნაკლებად აქტუალური იყო, ან შეგნებულად რჩებოდა უყურადღებოდ ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან. საბჭოთა იდენტობა წარმოადგენდა გარკვეული სტაბილურობის ინდიკატორს მასში მცხოვრები ეთნოსების ურთიერთობაში და ამცირებდა კონფლიქტებს საბჭოთა

კავშირის ხალხებს შორის. თუმცა, 70 წლის განმავლობაში ერთ სახელმწიფოში თანაცხოვრების მიუხედავად, ეთნოსებმა მაინც ეთნიკურ იდენტობაზე გააკეთეს არჩევანი, რადგან იგი წარმოადგენდა საკუთარი განსაკუთრებულობის უკეთ წარმოჩენის საშუალებას.

ეთნიკური იდენტობის გაძლიერებამ საბოლოო ჯამში გამოიწვია საბჭოთა იდენტობის გაქრობა, რაც თავის მხრივ გახდა საბჭოთა სახელმწიფოს და მისი საზოგადოების დაშლის ერთ-ერთი მიზეზი, რადგან აღარ არსებობდა მასში შემაჯავლი ქვეყნების მრავალკულტურული მოსახლეობის გამაერთიანებელი ფაქტორი (ხინჩიგაშვილი, 2007: 18)

ეთნიკური კუთვნილების გამოხატვის თვალშისაცემი საშუალებაა ენა. საბჭოთა და პოსტსაბჭოთა საქართველოსთვის სახელმწიფო ენა იყო და დღესაც არის მნიშვნელოვანი საკითხი. რადგან საბჭოთა საქართველოში თუ რუსული ენა იყო გამაერთიანებელი კავშირის წევრი რესპუბლიკებისთვის და საკუთრივ რესპუბლიკებში შემაჯავლი ავტონომიებისათვის, პოსტსაბჭოთა პერიოდში ენა გამყოფი ბარიერი აღმოჩნდა.

ოსი და აფხაზი სამეცნიერო და კულტურული ელიტის წარმომადგენლები ოსურ-რუსული და აფხაზურ-რუსული ორენოვნების მიმდევრები იყვნენ. ამ საზოგადოებისთვის „არ არსებობდა ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის ცოდნისა და გამოყენების საჭიროება. იგი უფრო მეტად ასიმილირებული იყო საბჭოთა კავშირის დომინანტურ ერთან - რუსებთან, ვიდრე იმ რესპუბლიკის ეროვნულ უმრავლესობასთან, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა - ქართველებთან“ (მაისაშვილი, 2010: 57)

„მოსახლეობის 2002 წლის 17-24 იანვრის აღწერის შედეგებით, ქვეყნის იურისდიქციაში მყოფ (კონტროლირებად) ტერიტორიაზე (ე. ი. აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიის გამოკლებით) ფაქტობრივმა, ანუ სახეზე მყოფმა მოსახლეობამ 4355,7 ათასი კაცი შეადგინა, მუდმივმა მოსახლეობამ კი - 4371,5 ათასი კაცი. ამასთანავე, ინფორმაციის ალტერნატიულ წყაროებზე დაყრდნობით, აგრეთვე, ექსპერტული შეფასებებით, საქართველოს ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიაზე 2002 წლის

დასაწყისში დაახლოებით 230 ათასი ადამიანი ცხოვრობდა. ამრიგად, საქართველოს სახელმწიფოს საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებულ საზღვრებში სულ 4585,7 ათასი კაცი აღირიცხა, ანუ 1989 წლის აღწერილთან შედარებით, 857,6 ათასი კაცით (15,8 პროცენტით) ნაკლები“ (საქართველოს... 2003: 41).

ეთნიკური მოსახლეობის ხვედრით წილს რომ დავაკვირდეთ საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ სახელმწიფოში, შემდეგ სურათს მივიღებთ - საბჭოთა ეპოქის მიწურულს და დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერის შედეგებით საქართველოს ტერიტორიაზე ქართველების რაოდენობა 1989 წლიდან 2002 წლამდე შემცირდა 126 220 ადამიანით და შეადგინა 3 661 173 (1989 წლის მოსახლეობის აღწერით საქართველოში სულ 5 443 359 ადამიანი ცხოვრობდა). „არსებითი ცვლილება განიცადა ქვეყნის მოსახლეობის ეროვნულმა სტრუქტურამაც. 2002 წელს, 1989 წელთან შედარებით, საქართველოს მუდმივი მოსახლეობის საერთო რიცხოვნობის 15,8 პროცენტით კლების პირობებში, ქართველთა რაოდენობა მხოლოდ 126,2 ათასი კაცით, ანუ 3,3 პროცენტით შემცირდა და მათი წილი ქვეყნის მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში 13,7 პროცენტული პუნქტით, ანუ 70,1 პროცენტიდან 83,8 პროცენტამდე გაიზარდა“ (საქართველოს... 2003: 42). 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემებით კი საქართველოში 3 224 564 ქართველი ცხოვრობს, რაც მთლიანი მოსახლეობის 86,8%-ია.

მოსახლეობის კლება ძირითადად ისეთი ფაქტორებით აიხსნება, როგორებიცაა: არაკონტროლირებადი ტერიტორიის არსებობა, დაბალი შობადობა, სიკვდილიანობის მაღალი დონე, მიგრაციის გაძლიერება, აგრეთვე საქართველოდან ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებული ყოფილი საბჭოთა კავშირის სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახების წევრების წასვლა, რომელთა უმეტესობა რუსები იყვნენ. ყოველივე ამან შესაბამისი ასახვა ჰპოვა თითოეული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მხარისა და რეგიონის მოსახლეობის რიცხოვნობაში. მოსახლეობის კლების დინამიკაზე აისახა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლების რაოდენობის შემცირება და შეიცვალა ასევე მათი პროცენტული წილი ქვეყნის მოსახლეობაში (საქართველოს... 2003: 43).

საქართველოში აფხაზების რაოდენობა 1989 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით შეადგენდა 95.9 ათას კაცს. აქედან აფხაზეთში ცხოვრობდა 93.3 ათასი კაცი, ხოლო სულ საბჭოთა კავშირში 105 ათასი. მრავალრიცხოვანი აფხაზური დიასპორა არსებობს (400 ათასი კაცი) ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში (თურქეთში, სირიაში, იორდანიაში და სხვ.), ევროპის ქვეყნებსა და აშშ-ში (ანჩაბაძე, 2008: 46). 2002 წლის აღწერის მონაცემებით აფხაზების რაოდენობა საქართველოს სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ არსებულ ტერიტორიაზე შეადგენს 3 527 ადამიანს. 2014 წლის მონაცემებით კი საქართველოში 864 აფხაზი ცხოვრობს (პაატა შავიშვილი - საქსტატის აღმასრულებელი დირექტორია მიადგილე - N9-1463 – 08/07/2021).

1989 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით საქართველოში ცხოვრობდა 164 055 ოსი, ხოლო 2002 წელს საქართველოს სახელმწიფოს კონტროლირებად ტერიტორიაზე 38 028 ოსი ითვლებოდა. 2014 წლის მონაცემებით კი მათი რაოდენობა 14 385 შეადგენს.

1989 წლის მონაცემებით საქართველოში 307 556 აზერბაიჯანელი ცხოვრობდა, 2002 წლის აღწერის მიხედვით კი მათი რაოდენობა 284 761 შეადგენდა. ხოლო, 2014 წლის მონაცემებით საქართველოში 233 024 აზერბაიჯანელი ცხოვრობს.

1989 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მონაცემებით საქართველოში 437 211 სომეხი ცხოვრობდა. 2002 წლის მონაცემებით - 248 929. 2014 წლის მონაცემებით კი 168 102 სომეხი ცხოვრობს საქართველოში (საქართველოს...[http://census.ge/files/results/Census%20Release\\_GEO.pdf](http://census.ge/files/results/Census%20Release_GEO.pdf)).

საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული სურათის ცვლილების მიზეზი ქვეყანაში შექმნილი რთული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა იყო, რის გამოც მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი იძულებული გახდა დაეტოვებინა საქართველო და სამუშაოს საძებნელად ან საცხოვრებლად სხვა ქვეყანაში წასულიყო. საბჭოთა კავშირის დაშლის, ე.წ. რკინის ფარდის რღვევისა და საზღვრების გახსნის შემდეგ ეთნიკური უმცირესობების ინტენსიური გადინება მოხდა საქართველოდან. ქვეყანა მასიურად დატოვეს ბერძნებმა, ებრაელებმა, რუსებმა რომლებმაც საკუთარ სამშობლოს მიაშურეს.

საქართველო XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში გამოეყო საბჭოთა კავშირს და გამოაცხადა დამოუკიდებლობა. 1991 წლის 9 აპრილის

დამოუკიდებლობის აქტით პოსტსაბჭოთა საქართველოში დასრულდა კომუნისტური რეჟიმის მმართველობა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყანა ახალი გამოწვევების წინაშე დადგა, რომელთაგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო მრავალეთნიკურ სახელმწიფოში ეთნიკურ ჯგუფებს შორის მშვიდობიანი ურთიერთობის შენარჩუნება. პოსტსაბჭოთა პერიოდში ძველი სამოქალაქო იდენტობის - საბჭოთა კავშირის მოქალაქის ჩანაცვლება აუცილებელი იყო ახალი სამოქალაქო იდენტობით - საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, რაც სრულიად ახალ მიდგომებს მოითხოვდა. სახელმწიფო ინსტიტუტების სისუსტის და ინტეგრაციული პოლიტიკის არ არსებობის პირობებში, შეუძლებელი გახდა სახელმწიფოს მხრიდან ეთნიკური პროცესების კონტროლი და გართულდა ერთიანი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესის უზრუნველყოფა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საბჭოთა იდენტობა, რომელიც სამოქალაქო იდენტობის ხასიათს ატარებდა, ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში შეცვალა ეთნიკურმა, ეროვნულმა იდენტობამ.

1991 წლის 9 აპრილის შემდეგ, საქართველომ, როგორც დამოუკიდებელმა სახელმწიფომ თავისი მრავალეთნიკური საზოგადოებით, თავიდან დაიწყო სახელმწიფოს მშენებლობა. ქვეყანაში წარმოქმნილი ეთნიკური პრობლემების ერთ-ერთი მიზეზი იყო არა ეთნიკური მრავალფეროვნება, არამედ ის გარემოება, რომ ქვეყანაში არ არსებობდა ჩამოყალიბებული, ერთიანი, სახელმწიფოებრივი მიდგომა და შეხედულება ქართული სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების საკითხთან დაკავშირებით. საჭირო იყო საქართველოში მცხოვრები განსხვავებული კულტურული ჯგუფებისთვის, ძველი საბჭოთა იდენტობის ნაცვლად, ახალი იდენტობის - სამოქალაქო იდენტობის პროექტის შეთავაზება, მაგრამ მსგავსი პროექტი პრაქტიკაში არ არსებობდა, მისი შექმნა კი გარკვეულ დროს და ქვეყანაში სტაბილურობას მოითხოვდა. ნათელი გახდა, რომ საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებში განსხვავებული შეხედულებები არსებობდა ამ საკითხთან დაკავშირებით. ქვეყანაში თავი იჩინა ეთნიკურ ჯგუფებს შორის არსებულმა სხვადასხვა პრობლემამ. აღმოჩნდა, რომ მრავალწლიანი და მრავალსაუკუნოვანი მშვიდობიანი თანაცხოვრების მიუხედავად, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფები ერთმანეთს თითქმის არ იცნობდნენ. აღნიშნული მოცემულობა საბჭოთა

სახელმწიფოს არსებობის პერიოდში მეორეხარისხოვანი მნიშვნელობის იყო, მაგრამ ახალ ვითარებაში, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთვის ბრძოლის პროცესში (მით უფრო დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ) მოსკოვის გამიზნული, დესტრუქციული ნაბიჯების პირობებში, საფუძველს უქმნიდა ეთნიკურ ჯგუფებს შორის გაუცხოების და დამაბულობის ატმოსფეროს ჩამოყალიბებას.

შეიქმნა ახალი რეალობა, როდესაც ქართულ ეთნოსს და კომპაქტურად ჩასახლებულ, მრავალრიცხოვან ეთნიკურ ჯგუფებს დამოუკიდებელ ქართულ სახელმწიფოში ერთად უნდა ეცხოვრათ. ურთიერთობის ახალი, ურთიერთმისაღები ფორმა უნდა ჩამოეყალიბებინათ. ასეთი ურთიერთობის გამოცდილება კი საქართველოს საზოგადოებაში არ არსებობდა. ამას დაემატა აფხაზებისა და ოსების ნეგატიური დამოკიდებულება დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოსადმი, რასაც პროვოცირებას უკეთებდა საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე რუსეთი. მოკავშირე რესპუბლიკებში ეროვნული მოძრაობის მზარდი მუხტის შესაფერხებლად კრემლი ახორციელებდა ამ რესპუბლიკებში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებში სეპარატისტული ტენდენციების წახალისების მანკიერ პოლიტიკას.

საბჭოთა ხელისუფლების ამგვარი პოლიტიკის შედეგად XX საუკუნის 90-იან წლებში საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ავტონომიურ ერთეულებში - აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, რომლებიც უშუალოდ ესაზღვრებოდა რუსეთის ფედერაციას, ამ უკანასკნელის მხარდაჭერით დაიწყო სეპარატისტული მოძრაობები.

1990-იანი წლების დასაწყისში საქართველოს ხელისუფლებამ ვერ შეძლო ინტეგრაციული პოლიტიკის განხორციელება. ეთნიკური დაპირისპირებები საქართველოს რეგიონებში გადაიზარდა შეიარაღებულ კონფლიქტებში, რის შედეგადაც საქართველომ კონტროლი დაკარგა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონებზე. აღნიშნული პრობლემა მხოლოდ ქართული სახელმწიფოსთვის არ იყო დამახასიათებელი. XX საუკუნის ბოლო ათწლეულში მსგავსი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ სხვა ყოფილი კომუნისტური სახელმწიფოები, მაგალითად - მოლდოვა, სადაც დაიწყო დნესტრისპირეთის კონფლიქტი; აზერბაიჯანი - სადაც ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში დაიწყო კონფლიქტი მთიან ყარაბაღში.

აღსანიშნავია, რომ ყველა დასახელებული სახელმწიფოში არსებულ კონფლიქტურ ზონებში ცალსახად იკვეთება რუსეთის სახელმწიფოს ნეგატიური როლი აღნიშნული კონფლიქტების დარეგულირების პროცესში, რაც დღემდე გრძელდება. მიუხედავად გარე ფაქტორებისა, რაშიც იგულისხმება რუსეთის მცდელობა ეთნიკურ უმცირესობებში შეენარჩუნებინა საბჭოთა იდენტობა, 1990-91 წლებში განხორციელებული ეთნიკური პოლიტიკა ხელს უწყობდა ეთნიკურ უმცირესობებში მტრის ხატის შექმნას (აბაშიძე თ. 2010: 73).

ახალ პირობებში, ახალ სახელმწიფოში ეთნიკურ ჯგუფებს შორის თანაარსებობასთან დაკავშირებით არსებულ განსხვავებულ მიდგომებს ემატებოდა საშინაო და საგარეო პოლიტიკური პრობლემები. ყოველივე აღნიშნულის შედეგად (ეთნიკური კონფლიქტები, სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემები) ქვეყანაში დაიწყო მიგრაციული პროცესები, რაც ძირითადად ქვეყნიდან მოქალაქეთა (მათ შორის ქართველების) გასვლაში გამოიხატებოდა. ამას დაერთო სეპარატისტულ რეგიონებში მცხოვრები მოქალაქეების აღრიცხვის პრობლემა, რის შედეგად შეიცვალა მოსახლეობის ეთნიკური სტრუქტურა და შესაბამისად - სტატისტიკური მონაცემებიც.

თანამედროვე საქართველოში დიდი მნიშვნელობა აქვს ეთნიკური უმცირესობების წარმატებულ სამოქალაქო ინტეგრირებას. ზოგადად, ქვეყნის მოსახლეობაში იგულისხმება როგორც ქართველები, ასევე სხვა ეროვნების საქართველოს მოქალაქეები, სახეზეა სამოქალაქო იდენტობის დაბალი ხარისხი. როგორც აღინიშნა, საქართველოში სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები მრავალი საუკუნის განმავლობაში მშვიდობიანად თანაცხოვრობდნენ, მაგრამ სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხი, რაც გულისხმობს ეთნიკურ ჯგუფებში ეთნიკური იდენტობის შენარჩუნებას და ამავე დროს სამოქალაქო იდენტობის ჩამოყალიბებას - განსაკუთრებით აქტუალურია თანამედროვე ქართული სახელმწიფოსთვის. ისევე, როგორც მთელს მსოფლიოში, საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობასა და უმრავლესობაში (ქართული ეთნოსი) განსხვავებული დამოკიდებულება არსებობს სახელმწიფოს მიმართ, რადგან ეთნიკური უმცირესობებისთვის საქართველო უპირატესად პოლიტიკური სამშობლოა, ხოლო ეთნიკურად ქართველებისთვის - ისტორიული და ეთნიკური.

საბჭოთა კავშირში საქართველოს არსებობა და აქ მკვიდრი ხალხის ცხოვრება საბჭოთა ყოფისა და მისთვის დამახასიათებელი ღირებულებების ტიპიურ მაგალითს წარმოადგენდა.

### 1.3. მრავალფეროვანი ბათუმის ისტორია

მულტიკულტურული და მრავალფეროვანი ბათუმის ისტორია ანტიკური ხანიდან მოდის, მაგრამ ბოლო ისტორია (უახლესი ისტორია) იწყება მას შემდეგ, რაც რუსეთისა და მაშინდელი ოსმალეთის იმპერიებს შორის 1877-1878 წლების ომი დასრულდა და სან-სტეფანოს ხელშეკრულებით ბათუმი ისტორიულ სამშობლოს - საქართველოს დაუბრუნდა.

XIX საუკუნეში, ნავთობის ინდუსტრიის გავლენით შექმნილმა ამ პატარა ქალაქმა მაგნიტივით მიიზიდა ადამიანები როგორც საქართველოს სხვადასხვა მხარეებიდან, ისე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. იგი თანდათან იქცა კულტურათა და რელიგიათა შეხვედრის ადგილად. მას შემდეგ წლების მანძილზე სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები მშვიდობიანად არსებობენ და თანაცხოვრობენ ამ მყუდრო ქალაქში. ბათუმი არის ადგილი, სადაც კულტურები ერთმანეთს კი არ აქრობს და ანადგურებს, არამედ ავსებს. ქალაქში ერთმანეთის გვერდიგვერდ ფუნქციონირებს მართლმადიდებლური ტაძრები, კათოლიკური და გრიგორიანული ეკლესიები, სინაგოგა და მეჩეთი. ქალაქში მცხოვრები სხვადასხვა კულტურები ინარჩუნებენ თვითმყოფადობას. ეს ყველაფერი კი ბათუმის შემწყნარებლურ და ტოლერანტულ ხასიათზე მიუთითებს, რაც სამართლიანად იწვევს სიამაყის შეგრძნებას.

რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსია XIX საუკუნიდან დაიწყო და ეტაპობრივად მისი საზღვრები აჭარის ტერიტორიებსაც მიუახლოვდა. 1877-1878 წლებში რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს რუსეთისა და მის მიერ დაპყრობილი ქართველი ერის ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა და ზოგადქართული ხასიათი მიიღო. სწორედ ამიტომ ქართველი მოსახლეობა საკუთარი სურვილით ღებულობდა მონაწილეობას ამ ომში. 1878 წელს ქართველი მემატაიანეები უწოდებენ აჭარის სამშობლოსთან დაბრუნებას, თორემ, რეალურად დამპყრობელ რუსეთის იმპერიას ეს



მხარე და ბათუმი - როგორც საზღვაო ქალაქი, უნდოდა თავისთვის და არა საქართველოსთვის. მიუხედავად რუსეთის იმპერიული ინტერესებისა, უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ის ფაქტი, რომ ოსმალთა უღლისაგან გამოხსნილი ძირძველი ქართული მიწა - აჭარა - დაუბრუნდა ანექსირებული საქართველოს ერთიან სხეულს, სამუსლიმანო საქართველოს სახელით.

1878 წლის 25 აგვისტოს ბათუმში გენერალ სვიატიპოლკ მირსკის მეთაურობით რუსთა არმია შემოვიდა და მიღება-გაცილების ცერემონიაზე ე.წ. აზიზიეს (ახლანდელი თავისუფლების) მოედანზე დევრიმ ფაშასაგან ქალაქის გასაღები ჩაიბარა (ბათუმის...- <https://batumi.ge/ge/?page=show&sec=2>).

ბერლინის კონგრესზე, სადაც სან-სტეფანოს საზავო პირობები უნდა გადასინჯულიყო ინგლისის დაჟინებული მოთხოვნით ბათუმი „პორტო-ფრანკოდ“ გამოცხადდა, რაც გულისხმობდა ქალაქისთვის ღია სანავსადგურო სტატუსის მინიჭებას, სადაც უბაჟო, თავისუფალი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შესაძლებლობა ეძლეოდა ნებისმიერ ქვეყანას. მაშინდელი რუსეთის იმპერიის ამ განაპირა და ნაკლებად დასახლებულ პროვინციაში მაქსიმალურად ლიბერალური საგადასახადო რეჟიმის წყალობით, დაინტერესდნენ ცნობილი ნავთობმრეწველები - ნობელები, როტშილდები, მანთაშევი და სხვები. „პორტო-ფრანკოს“ სტატუსმა ბათუმს გარკვეული სიკეთე უდავოდ მოუტანა. ამ პერიოდიდან ბათუმი მნიშვნელოვნად გაიზარდა და თანდათან თანამედროვე, ევროპული ქალაქის იერი შეიძინა. თუმცა, სამწუხაროდ გაუარესდა ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა. ეროვნული მრეწველობა კონკურენციას ვერ უწევდა მოზღვავებულ ევროპულ საქონელს. ამასთან, გამოიკვეთა სხვა ნაკლოვანებებიც - კონტრაბანდა, მექრთამეობა და ა.შ. შექმნილი სიტუაცია ერთ-ერთი მიზეზი იყო, რამაც ხელი შეუწყო ქართველი მოსახლეობის ოსმალეთში ინტენსიურ გადინებას ე.წ. მუჰაჯირობას. (სურგულაძე, სიორიძე, 1996)

ბათუმსა და აჭარაში განვითარებული მოვლენები, ადმინისტრაციული თუ პოლიტიკური ცვლილებები, „პორტო-ფრანკოს“ გაუქმება 1886 წელს, ბათუმის ოლქის გაუქმდა და ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში შესვლა, 1888 წლის 28 აპრილს ბათუმში საქალაქო თვითმმართველობის შემოღება, ხელს უწყობდა ქალაქში მიმდინარე ეთნიკურ ცვლილებებსაც.

ბათუმი და აჭარის ზღვისპირეთი რუსეთიდან გადმოსახლებულთა ინტერესის ობიექტი გახდა. „ქალაქი ბათუმი ივსებოდა ახალმოსულებით“ (ასსცსა, ფ.6, ან.ქ, ს.194). კავკასიის მმართველობა აჭარაში თურქეთიდან გადმოსახლებული ბერძნების დასახლებასაც ცდილობდა. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება ბათუმის მულტიკულტურულ ქალაქად ჩამოყალიბება. ბათუმი გადაიქცა კონგლომერატად, ინტერნაციონალურ ქალაქად. ერთნაირად მიმზიდველი იყო ყველასთვის და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან შემოედინებოდა ხალხი. სამწუხაროდ, მაშინდელ ბათუმში ქართველობა ძალიან ცოტა იყო. (გოგოლიშვილი, <https://www.youtube.com/watch?v=pEMkGpTAY5U&t=990s> )

ბათუმის სავაჭრო-სამრეწველო განვითარების სწრაფი ტემპების პარალელურად იზრდებოდა ქალაქის მოსახლეობა, იცვლებოდა საზოგადოების სოციალური და ეკონომიკური შემადგენლობა. (კარალიძე, 2009) თუ 1878 წელს ბათუმში ცხოვრობდა დაახლოებით 3000 ადამიანი, 1882 წელს ქალაქის მოსახლეობის რაოდენობამ 8671 შეადგინა, 1890 წელს 18.123, ხოლო 1903 წელს - 35.000 (Киладзе, 1906: 460). XIX საუკუნის 80-იანი წლების შუა ხანებში ბათუმის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს უკვე რუსები შეადგენდნენ და 1884 წლის მონაცემებით მათი რიცხვი 5500-ს აღწევდა (Лисовский, 1887: 131)

„რუსეთის ხელისუფლების მიერ გამიზნულად მიმდინარეობდა ბათუმში უცხოელების ჩამოსახლება, რის შედეგადაც ბათუმი მრავალეროვნული გახდა და, ფაქტობრივად, ინტერნაციონალურ ქალაქად იქცა. 1897 წლისთვის ბათუმში 20-მდე ეროვნება ითვლებოდა. ბათუმში ბინა დაიდეს რუსებმა, სომხებმა, ბერძნებმა, ებრაელებმა, გერმანელებმა, ფრანგებმა, სპარსელებმა, ინგლისელებმა, პოლონელებმა, იტალიელებმა და სხვებმა. უცხოელების მასობრივად შემოდინების შედეგად, 1882 წელს არაქართველები ბათუმის საერთო მოსახლეობის 87,4%-ს (7182 ადამიანი) შეადგენდნენ. მართალია მომდევნო წლებში არაქართველების ხვედრითი წილი შემცირდა. მაგალითად, 1897 წელს 80% (22795 ადამიანი), ხოლო 1913 წელს - 75% (28696 ადამიანი) უდრიდა, მაგრამ ისინი მაინც უმრავლესობას შეადგენდნენ“ (თურმანიძე, 2019: 200).

მოსახლეობის რაოდენობით გაზრდილი და ეკონომიკურად დაწინაურებული ქალაქი მმართველობის სფეროში ცვლილებებს საჭიროებდა. რუსეთთან შეერთების

შემდეგ, მთელი 10 წლის მანძილზე ბათუმში სამხედრო-პოლიტიკური მმართველობა არსებობდა.

1888 წლის 25 აგვისტოს და 2 სექტემბრის ჩატარდა სათათბიროს ხმოსანთა პირველი არჩევნები. ოთხი წლის ვადით აირჩიეს სამი თანრიგის 36 ხმოსანი (თითოეული თანრიგის მიხედვით 12-12 ხმოსანი). ეროვნული ნიშნის მიხედვით სათათბიროს შემადგენლობა შემდეგნაირი იყო: ქართველი - 11, რუსი - 8, სომეხი - 10, ბერძენი - 2, ებრაელი - 2, პოლონელი - 2, გერმანელი - 1 . (ქალაქ., <https://batumicc.ge/index.php?l=1&menu=23>)

ბათუმის სამოქალაქო თვითმმართველობის საზეიმო გახსნა შედგა 1888 წლის 1 ოქტომბერს და სწორედ აქედან იწყება ბათუმში ქართული სულისკვეთების გაღვივება. საქალაქო თვითმმართველობის შემოღება ბათუმში, უდავოდ იყო დიდი მნიშვნელობის მოვლენა, რომელმაც სერიოზული გავლენა მოახდინა მთელი ქალაქის (და არა მარტო ბათუმის) საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების განვითარებაზე. XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ბათუმში თავი მოიყარა ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალულმა ძალებმა, რომელთა მიზანი იყო „ბათუმის ქართულ ქალაქად გადაქცევა“ (მგალობლიშვილი, 1937:86)

ბათუმში სათათბიროს ხმოსანთა არჩევნები, მეორედ, 1894 წელს ჩატარდა. აირჩიეს 35 ხმოსანი და 9 კანდიდატი. ხმის უფლების მქონეთ ეროვნულ შემადგენლობაში 19 ქართველი, 8 რუსი, 5 ბერძენი და 3 პოლონელი იყო. ქართველებმა 55% მოიპოვეს, რამაც უზრუნველყო ქალაქის თავისა და გამგეობის არჩევნებისას ქართველთა წარმატება. ხმების დიდი უმრავლესობით ქალაქის თავად აირჩიეს ლუკა ასათიანი.

ბათუმის სათათბიროს მესამე არჩევნები ჩატარდა 1898 წელს. ქალაქის თავად კვლავ ლუკა ასათიანი აირჩიეს. ლუკა ასათიანის შემდეგ, 14 წლის განმავლობაში ივანე ანდრონიკაშვილი უძღვებოდა ქალაქს. აღსანიშნავია, რომ ბათუმს მუდამ ეროვნებით ქართველები ედგა სათავეში. ქალაქის სათათბირო უწყვეტლივ ფუნქციონირებდა 1888 წლიდან 1921 წლამდე - გასაბჭოებამდე.

თვითმმართველობის პროგრესული მოღვაწეობისა და ქალაქის შემოსავლების მიზანმიმართულად გამოყენების შედეგად, პირველ მსოფლიო ომამდე, ბათუმმა ევროპული ქალაქის სახე მიიღო. აშენდა არქიტექტურული ნიმუშები, დაარსდა ვაჟთა

გიმნაზია, პირველი საავადმყოფო, პირველი სკოლა და სხვა საზოგადოებრივ-კულტურული დაწესებულებები.

ბათუმი თავისი სტრატეგიული მდებარეობის და პირველხარისხოვანი ნავსადგურის გამო, როგორც მსხვილი ეკონომიკური ცენტრი, წამყვან როლს თამაშობდა ამიერკავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის სატრანზიტო ვაჭრობაში. XX საუკუნის დასაწყისში ბათუმი ეკონომიკურად მთელი იმპერიის მასშტაბით ერთ-ერთი დაწინაურებული ქალაქი იყო. კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებამ აქ ბიძგი მისცა საქალაქო ცხოვრებისა და მეურნეობის აღმავლობას.

გასაბჭოების შემდეგ, რუსეთის შორსგამიზნული გეგმით აჭარას რელიგიური კუთხით ავტონომიის სტატუსი მიენიჭა. საბჭოთა ეპოქა ბათუმისთვის გამორჩეული არ ყოფილა, საბჭოთა იმპერიაში მცხოვრებ დანარჩენ ხალხთა მსგავსად „ერთიან ძმურ ოჯახში“ ცხოვრობდა.

დღევანდელი, მულტიკულტურული ბათუმი ძველისა და თანამედროვეს ერთმანეთთან შერწყმაა - ეს არის რეტრო ქალაქი. აწმყო წარსულის პირმშოა და მემკვიდრეობით ბოძებულ ღირებულებათა შორის ტოლერანტობა დღესაც ბათუმელთა არსებით თვისებად რჩება. ჭეშმარიტად მრავალნაციონალური ქალაქი, თავისი მრავალფეროვნებით დღესაც მიმზიდველი და სამაგალითოა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნისთვის. 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით ბათუმში ცხოვრობს დაახლოებით 153 ათასამდე ადამიანი. აქედან 10 ათასამდე ეთნიკურად სხვადასხვა კუთვნილებისაა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისგან მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით წარმოდგენილის ბათუმის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა.

<b>სულ მოსახლეობა</b>	<b>152,839</b>
ქართველი	142,691
აზერბაიჯანელი	269
სომეხი	4,636
რუსი	2,889
ოსი	71

იეზიდი	76
უკრაინელი	628
ბერძენი	289
ასირიელი	131
სხვა	1,057
უარი პასუხზე	14
არ არის მითითებული	84

წარმოდგენილი სურათით ნათლად ჩანს, რომ ბათუმის მოსახლეობის ეთნიკური რუკა საკმაოდ მრავალფეროვანია. განსხვავებების გაცნობიერება რომ ჩვენს ცხოვრებას უფრო საინტერესოს, მიმზიდველს და ნაკლებად კონფლიქტურს ხდის ეს ყველაფერი კარგად გაითავისა ბათუმმა, როგორც მულტიკულტურულმა ქალაქმა და ცხოვრების წესად აქცია კიდევ. მრავალფეროვნება, რომელიც ჯგუფებსა და ინდივიდებში ვლინდება დამახასიათებელია ნებისმიერი საზოგადოებისთვის და საჭიროებს ამ სხვაობების აღქმისა და მიღების უნარს. რაც თავის მხრივ გამორიცხავს კონფლიქტს, ძალადობას, ადამიანის უფლებების შელახვას და ხელს უწყობს თანამშრომლობითი და კეთილგანწყობილი გარემოს ჩამოყალიბებას. წარმატებული ურთიერთობა ნიშნავს, რომ ადამიანებს სწამთ საკუთარი ფასეულობების და პატივის მიაგებენ სხვისას.

ბათუმი არაერთი კულტურათმორისი ღონისძიებების ორგანიზატორი და მასპინძელია. ქალაქში ტარდება ისეთი ღონისძიებები, სადაც ადგილობრივებს შესაძლებლობა ეძლევათ უფრო ახლოს გაიცნონ ერთმანეთის კულტურა. მაგალითად, გასულ წლებში ტოლერანტობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში მულტიკულტურული ხელოვნების ფესტივალი „ერთი ცის ქვეშ - კულტურათა დიალოგი“ გაიმართა. ასევე, 2021 წელს ევროპის საბჭოს თანასწორობის ელჩებმა ბათუმში ამერიკულ კუთხესთან ერთად მრავალფეროვნების პირველი კვირეული ჩაატარეს. მრავალფეროვნების კვირეულის მიზანი იყო თანასწორობისა და მრავალფეროვნების შესახებ ცნობიერების ამაღლება და ტოლერანტობის მხარდაჭერა ბათუმის ისტორიულ და კულტურულ მრავალფეროვნებაზე ხაზგასმით. კვირეული დიალოგისა და განვითარებისათვის კულტურული მრავალფეროვნების მსოფლიო

დღის ფარგლებში ჩატარდა, რომელიც აღინიშნება 21 მაისს (საქართველოში...<https://www.coe.int/ka/web/tbilisi/-/the-first-diversity-week-to-be-organised-in-georgia>).

მულტიკულტურული მრავალფეროვნების აღიარება და ხაზგასმას ის ფაქტი, რომ ბათუმის მერიაში ფუნქციონირებს საერთაშორისო და ეთნიკურ უმცირესობებთან ურთიერთობის განყოფილება (ბათუმის...  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5136889?publication=0> ), რომლის მიზანს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეთნიკური უმცირესობების ორგანიზაციებთან და მათ წარმომადგენლებთან ურთიერთობების განვითარება და გამყარება, ამ მიზნის შესაბამისი პროექტებისა და პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა; ასევე, ეთნიკური უმცირესობების ორგანიზაციების მიერ მოწოდებული წინადადებებისა და პროექტების განხილვა (ბათუმის...  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4104110?publication=0> ).

მულტიკულტურული ბათუმის მხარდაჭერის კუთხით აღსანიშნავია, რომ ბათუმის მერია აფინანსებს ბათუმში მოქმედ სათვისტომებს, რომელიც „მეგობრობის სახლის“ სახელითაა ცნობილი და 9 სათვისტომოს აერთიანებს. ესენია - უკრაინული, სომხური, აზერბაიჯანული, რუსული, გერმანული, ბერძნული, იეზიდური, თურქული და ებრაული. კულტურული ჯგუფები აქტიურად მონაწილეობენ ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში, იმართება კონცერტები, შეხვედრები, გამოფენები, გასტროლები. მეგობრობის სახლის საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს სათვისტომოების კულტურული დაახლოების განხორციელების ხელშეწყობა. მათი შენობა მერიის ბალანსზეა და გარდა ოფისის შენახვის ხარჯისა, ბათუმის მერია თითოეულ დიასპორას 7000 ლარით აფინანსებს (მეგობრობის...[http://bart.ge/band\\_12](http://bart.ge/band_12)).

ყოველივე ზემოთქმულიდან ნათლად ჩანს, რომ ქართულ საზოგადოებას მეტ-ნაკლებად გათავისებული აქვს, რომ კულტურული მრავალფეროვნების დაცვა განუყოფლადაა დაკავშირებული ადამიანის ღირსების პატივისცემასთან. ამგვარი პოზიტიური დამოკიდებულება მრავალფეროვნებისადმი, ტოლერანტობა და შემწყნარებლობა ქართულ საზოგადოებასაც პოზიტიურად უნდა დაუბრუნდეს ეთნიკურად მრავალფეროვანი უმცირესობების მხრიდან.

## თავი II

### ქართული სახელმწიფოებრიობა და ეთნიკური უმცირესობები

ეთნიკური მრავალფეროვნებისა და მშვიდობიანი ურთიერთთანაცხოვრების საკითხი არა მარტო საქართველოს, არამედ თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს, რომლის გადალახვასთან შეჭიდება თითქმის ყველა დასავლურ დემოკრატიას უხდება. პრობლემები, ძირითად შემთხვევაში, გამოწვეულია ისტორიული ფესვებითა და დასავლური სახელმწიფოების იმპერიული მემკვიდრეობით. ზოგიერთ შემთხვევაში კი მსგავსი ვითარება განპირობებულია მზარდი ემიგრაციით, რომელიც ინტენსიურია და რომლის შეჩერებაც უკვე პრაქტიკულად შეუძლებელია. დომინანტი ჯგუფები და ეთნიკური უმცირესობები ხშირად გულგრილები არიან ერთმანეთის მიმართ, ამიტომ ერთი ქვეყნის შიგნით გაუცხოებულ საზოგადოებებად ყალიბდებიან.

საქართველოს, როგორც მრავალეთნიკური, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისთვის აუცილებელია ერთიანი სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება, რომელშიც ყველა ეთნიკური ჯგუფი თანაბარი უფლებებით იქნება წარმოდგენილი. საკითხი მნიშვნელოვანია ქვეყნის დინამიური განვითარებისთვის, შესაბამისად არა მარტო ქართველი ეთნოსისთვის, არამედ ყველა ეროვნების საქართველოს მოქალაქისათვის. საქართველოს უახლესი ისტორიის სამწუხარო და სავალალო გამოცდილების გამო, ეთნიკურ საკითხებთან მიმართებაში პრობლემებისადმი თავის არიდების სამწუხარო პრაქტიკა დამკვიდრდა. რადგან ეთნიკური საკითხები ძალიან მგრძობიარეა და ეთნოსური პრობლემების ნებისმიერ საჯარო განხილვას ეროვნული ვნებების გაღვივებასთან და შესაბამისად საზოგადოებრივი ცხოვრების დესტაბილიზაციასთან მიეყავდით. სწორედ პრობლემაზე თავის არიდების ამგვარმა პრაქტიკამ გამოიწვია საზოგადოების გაუცხოება და ამ გაუცხოების აღმოფხვრისკენ იღწვის დღევანდელი საქართველო. საქართველოს გარდა პრობლემის მოგვარებით დაინტერესებულია საერთაშორისო საზოგადოებაც, რადგან მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში ისეთ ეთნიკურად მრავალფეროვან და სტრატეგიულ რეგიონში როგორც კავკასიაა, სხვადასხვა ქვეყნის და ეკონომიკური თუ პოლიტიკური ორგანიზაციის მნიშვნელოვანი ინტერესები იკვეთება, ეთნიკური

პრობლემების არსებობა დამატებით სირთულეებს ქმნის, რასაც ადასტურებს „გაყინული“ კონფლიქტები ამ რეგიონში.

დღევანდელი საქართველოსთვის ყველაზე მწვავე პრობლემა სწორედ „გაყინული“ კონფლიქტებია და გარდა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა, თანამედროვე საქართველოში სამოქალაქო ინტეგრაციის კუთხით ძირითადი გამოწვევაა ქვეყანაში არსებულ სოციალ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებში ეთნიკური ჯგუფების ჩართულობის დაბალი ხარისხი. ამის მთავარი მიზეზი კი სახელმწიფო ენის ცოდნის პრობლემაა, რის გამოც ქვეყანაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი სუსტადაა ინფორმირებული.

საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების მიმართ სახელმწიფოს დეკლარირებული პოლიტიკა და სამოქმედო გეგმა ინტეგრაციის კუთხით მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: კანონის უზენაესობა; განათლება და სახელმწიფო ენა; მედია და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა; პოლიტიკური ინტეგრაცია და სამოქალაქო მონაწილეობა; სოციალური და რეგიონალური ინტეგრაცია; კულტურა და თვითმყოფადობის შენარჩუნება.

ეთნიკური უმცირესობების საკითხებს შემდეგი ინსტიტუტები და სტრუქტურები უძღვებიან: ეროვნული უმცირესობებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საბჭო, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი; სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში პრეზიდენტის მრჩეველის სტრუქტურა, რომელიც უძღვება პრეზიდენტთან არსებულ საბჭოს. მოცემული ინსტიტუტების გარდა, ეთნიკური უმცირესობების საკითხების რეგულირებაში დამატებით სამინისტროებია არაპირდაპირ ჩართული: საგარეო საქმეთა სამინისტრო; განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; კულტურის სამინისტრო; ლტოლვილთა და განსახლების დეპარტამენტი;

საკანონმდებლო სტრუქტურებიდან მოცემულ საკითხებს პირდაპირ უძღვება ადამიანის უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტი. დანარჩენი რამდენიმე კომიტეტი არაპირდაპირ არიან დაკავშირებულნი ეთნიკური უმცირესობებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებთან. მოცემულ სტრუქტურებს ემატება სახალხო დამცველის ოფისთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭო, რომელიც უფრო უფლებრივი დაცვის თვალსაზრისით



საქმიანობს. შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საბჭოს წევრები წარმოადგენენ, როგორც სახელმწიფო აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოებს, ისევე მას-მედიას, არასამთავრობო ორგანიზაციებს, სამეცნიერო წრეებსა და სახალხო დამცველის ოფისს.

სამოქალაქო ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის სისუსტის პირობებში დაბალია ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის მაჩვენებელი, განსაკუთრებით სამცხე ჯავახეთსა და ქვემო ქართლში. ამ გარემოების ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია კომპაქტური ეთნიკური დასახლებების იზოლირებული ცხოვრების ხასიათი. „ფაქტობრივად, დომინანტი და უმცირესობაში მყოფი ჯგუფები ერთ სოციალურ სივრცეში ორ, ერთმანეთისგან გაუცხოებულ, ჩაკეტილ, პარალელურ საზოგადოებებს ქმნიან, რომელთა შორისაც სოციალური მობილობისა და კომუნიკაციის დონე დაბალი ინტენსივობისაა; და თუკი ამგვარი მობილობის საჭიროება ჩნდება, იგი უფრო ვერტიკალური, იერარქიული ხასიათისაა, ვიდრე ღია და ჰორიზონტალური“ (აბაშიძე ზ. 2010: 21)

ქართული საზოგადოება თანდათან ხვდება, რომ ეთნიკური გახლეჩილობა არა მარტო ეთნიკური თემების პრობლემაა - რადგან კარს უკეტავს ამ თემებს და ამცირებს მათი წარმომადგენლობის შანსებს, წარმატებას მიაღწიონ ცხოვრების სხვადასხვა სფეროში - არამედ, დაბრკოლებას წარმოადგენს მთლიანი ქართული საზოგადოების დემოკრატიული განვითარებისთვის. ეთნიკური ჯგუფების იზოლაცია მით უფრო, როცა ეს ჯგუფები მრავალრიცხოვანია და კომპაქტურად ცხოვრობს ქვეყნის საზღვრისპირა ტერიტორიაზე, არა მარტო აფერხებს ერთიანი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესს, არამედ გარკვეული საფრთხის შემცველია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში შეიარაღებული კონფლიქტებისა და სხვა ეთნიკურ უმცირესობებში არსებული დამაბულობის მიუხედავად, ქვეყანამ შეძლო ახალი კონფლიქტის თავიდან აცილება.

ეთნიკურ ჯგუფებში განსახლების ტიპისა და ქვეყანაში ცხოვრების ხანგრძლივობის მიხედვით ფიქსირდება სამოქალაქო ინტეგრაციის განსხვავებული ხარისხი. გარკვეული პროგრესის მიუხედავად, კვლავ არსებობს ქვეყანაში სხვადასხვა ჯგუფების თანაცხოვრებასთან დაკავშირებული სირთულეები. სოციალური

თანამშრომლობის ხარისხი დაბალია და გარკვეულ გარეშე ზემოქმედებასთანაც გვაქვს საქმე, რაშიც იგულისხმება მეზობელი ქვეყნების - რუსეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის ინტერესები და მათი გავლენა ქვეყანაში კომპაქტურად მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებზე.

სამცხე-ჯავახეთის და ქვემო ქართლის რეგიონები, ამავე დროს ესაზღვრებიან ამ ეთნოსების ისტორიულ სამშობლოებს - სომხეთის და აზერბაიჯანის რესპუბლიკებს. გასათვალისწინებელია, რომ ამ რეგიონებში კომპაქტურად მცხოვრებ სომხურ და აზერბაიჯანულ მოსახლეობას უფრო ინტენსიური კავშირები აქვთ საზღვრის მეორე მხარეს მდებარე ისტორიულ სამშობლოსთან, ვიდრე საქართველოსთან - მათ პოლიტიკურ სამშობლოსთან (აბაშიძე ზ. 2010: 22).

სამცხე-ჯავახეთის და ქვემო ქართლის რეგიონის მოსახლეობაში დაბალია სამოქალაქო აქტივობა, რაც გამოიხატება საკუთარ პრობლემებზე ზრუნვასა და მათი გადაჭრის აქტიური მცდელობის ხანგრძლივი ტრადიციის არ არსებობაში. ამის მიზეზს წარმოადგენს ის გარემოება, რომ მოსახლეობა ვერ ხედავს საკუთარ როლს პრობლემის მოგვარებაში. ეთნიკური უმცირესობებისათვის დამახასიათებელია მაღალი ლოიალობა ხელისუფლების მიმართ და დაბალი აქტივობა ადგილობრივი არჩევნების დროს (დონდუა, 2009: 152).

ყოველივე აღნიშნულის გამო - მრავალფეროვნება, კომპაქტური დასახლება, ისტორიულ სამშობლოსთან მეზობლობა, სამოქალაქო ინტეგრაციის დაბალი ხარისხი, თანამედროვე რეალობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საერთოდ ყველა და განსაკუთრებით ამ ორი ეთნიკური ჯგუფის აზერბაიჯანელებისა და სომხების წარმომადგენელთა სამოქალაქო ინტეგრაციას ქართულ სახელმწიფოში. დღევანდელ საქართველოში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობების დარეგულირების საკითხს. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ამ ორი ეთნოსის განსახლების ძირითადი არეალი - აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი, წარმოადგენს სეპარატისტულ ტერიტორიებს და ფაქტიურად ოკუპირებულია მეზობელი სახელმწიფოს მიერ. მიუხედავად ამისა, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ორივე ეთნოსის წარმომადგენლები მშვიდობიანად თანაცხოვრობენ ქართველებთან, რაც სამომავლოდ ამ ხალხებს შორის პრობლემების მშვიდობიანი მოგვარების იმედს და საფუძველს იძლევა.

## 2.1 საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება საქართველოში XX

### საუკუნის 90-იან წლებში

საქართველოს უახლესი ისტორია - XX საუკუნის 90-იან წლებში უაღრესად რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე პროცესებით აღინიშნა, რომელშიც ჩართული იყო ქართული საზოგადოების ყველა ფენა. ნებისმიერი ერი ძნელად ან ხშირ შემთხვევაში საერთოდ ვერ ეგუება დამოუკიდებლობის დაკარგვას. საქართველოს ისტორიაც ხომ დამოუკიდებლობისათვის განუწყვეტელი ბრძოლაა, ქართველი ხალხი ვერ შეეგუა დამოუკიდებლობის დაკარგვას მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მმართველობამ მას მშვიდობა მოუტანა, დაშლილი სახელმწიფოს სხვადასხვა კუთხე რუსეთის იმპერიის ფარგლებში კვლავ გაერთიანდა. საქართველო, ბოლოს და ბოლოს, ფიზიკურად გადარჩა, მიუხედავად ამისა, ყოველი ქართველის სასიცოცხლო ოცნება დამოუკიდებლობის დაბრუნება იყო.

საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია ადასტურებს რომ ჩვენი წინაპრების თავგანწირვის, თავისუფლებისკენ სწრაფვის იდეალები ნასაზრდოები იყო მაღალი ეროვნული ცნობიერებით, პატრიოტული სულისკვეთებით. რამდენი მრავალრიცხოვანი, ეკონომიკურად და პოლიტიკურად დაწინაურებული ხალხი გაქრა, აღიგავა მიწისაგან პირისა ეროვნული ცნობიერების დაქვეითების გამო.

ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას საქართველოში რამდენიმე ძირითადი ფაქტორი განაპირობებდა. მათ შორის უმთავრესი საკუთარი სახელმწიფოებრიობის არქონა იყო. გასაბჭოებისა და 30-იანი წლების დიდი რეპრესიების შემდეგ კომუნისტურ რეჟიმთან შეიარაღებულმა დაპირისპირებამ აზრი დაკარგა და თავისუფლებისთვის ბრძოლის ასპარეზმმა მშვიდობიან ველზე გადაინაცვლა. იმის გამო რომ საქართველოში თითქმის სრულად იქნა განადგურებული ყველა ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტია თუ ჯგუფი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურობა ეროვნულ-პატრიოტული ინტელიგენციის წარმომადგენლებმა - მწერლებმა, მეცნიერებმა და სხვა საზოგადო მოღვაწეებმა იკისრეს. 1970-იან წლებში ქართულ ლიტერატურაში გამოჩნდნენ ახალგაზრდა მწერლები, რომლებიც თავიანთ შემოქმედებაში ილაშქრებდნენ პიროვნების თავისუფლების შელახვის წინააღმდეგ. იღვწოდნენ ეროვნული

თვითშეგნების ასამაღლებლად. მათი მოღვაწეობა უფრო ლეგალური იყო და ამიტომ მოსახლეობაზე ზემოქმედების შედეგები უფრო შთამბეჭდავი და ძლიერიც გახდა.

ქართული ინტელიგენციის ერთი ნაწილის მიერ თავისი დამსახურების, ავტორიტეტის, დიდი ძალისხმევისა და რისკების, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას რიგ შემთხვევაში თავგანწირვის ფასადაც კი, ძირითადად მოხერხდა 1970-1980-იან წლებში საქართველოს მოსახლეობაში, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობაში, ეროვნული ცნობიერების გაღვივება, განვითარება და განმტკიცება, რამაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატებით დამთავრებაში.

უნდა აღინიშნოს ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის როლიც ქართული სულიერების გადასარჩენად. ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას ყოველთვის ეჭირა განსაკუთრებული ადგილი ქართველი ერის სულიერ ფასეულობებში და ეს ადგილი მას არც საბჭოთა დიქტატურის დროს დაუკარგავს. ეროვნული მოძრაობის გამოცოცხლებისა და აღმავლობის პარალელურად, მარქსისტული იდეოლოგიის მიერ ათეიზმის ქადაგების პირობებში მოსახლეობაში სულ უფრო შესამჩნევი ხდებოდა ქართული ეკლესიის, ერის სულიერი წინამძღოლის, კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის როლისა და ავტორიტეტის ზრდა. ფართო იდეოლოგიური პროპაგანდის თუ პარტიულ-კომკავშირული სტრუქტურების მხრიდან აკრძალვების მიუხედავად, ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ნაწილი ეკლესიას მიაწყდა. მრავალი სტუდენტი და მოსწავლე სტიქაროსანი გახდა და ადამიანთა ცხოვრებაში სარწმუნოება თავის კუთვნილ ადგილს იბრუნებდა (ჯანელიძე, 2009: 198).

ერთ-ერთი უდიდესი ტრაგედია და ეროვნული მოძრაობის მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელმაც 1980-იანი წლების საბჭოთა საქართველო, და არა მარტო საქართველო შეძრა იყო „თვითმფრინავის ბიჭების“ ამბავი. 1983 წლის 18 ნოემბერს ორგანიზებულმა ჯგუფმა გაიტაცა თვითმფრინავი, რომელშიც იმყოფებოდა 58 მგზავრი და 7 ეკიპაჟის წევრი. თავდასხმის შედეგად მოკლული იქნა ეკიპაჟის 3 წევრი და 1 მგზავრი, დაიჭრა ეკიპაჟის 1 წევრი და 7 მგზავრი. 1984 წლის 13 აგვისტოს სასამართლოს გადაწყვეტილებით გამტაცებლებს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს. მშობლებს კი განაჩენის აღსრულების შესახებ მხოლოდ 5 წლის შემდეგ 1989 წლის 13 მარტს აცნობეს (ნათმელაძე, დუაშვილი, 2004).

საბჭოთა კავშირში სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა 1985 წლიდან, მას შემდეგ რაც გორბაჩოვმა და მისმა გუნდმა დაიწყო ე.წ. გარდაქმნისა და საჯაროობის პროცესი, რაც მიზნად ისახავდა საბჭოთა კავშირის მოდერნიზაციას და აქედან გამომდინარე მის გადარჩენას. საბჭოთა კავშირში დაწყებულმა გარდაქმნის პროცესმა ადეკვატური ასახვა ჰპოვა საქართველოში (გვენეტაძე, 2011: 4).

1988 წლის შემოდგომისთვის საქართველოში გამოიკვეთა ორი ტენდენცია. პირველი: საზოგადოება არ ეგუებოდა წლების მანძილზე დაგროვილ დამახინჯებებს, ცრუ დაპირებებს, ფორმალიზმს და მოითხოვდა ძირეულ გარდაქმნებს ყველა რგოლში. მეორე: ადამიანებს რწმენა ჰქონდათ დაკარგული, არ სჯეროდათ, რომ მათ წინადადებებს და შენიშვნებს მიიღებდნენ. პარტიული სტრუქტურები მათ თვალში კარგავდა ავტორიტეტს. ახასიათებდათ გულგატეხილობის, უიმედობის სინდრომი. ისინი ნათლად ხედავდნენ რომ ნებისმიერი დონის დადგენილება თუ გადაწყვეტილება მხოლოდ ფორმალური გამივილებია იყო. რესპუბლიკაში წლების განმავლობაში ხდებოდა გეგმების გაყალბება, პარტიული ხელმძღვანელობა თავის გამორჩენის პოლიტიკური კეთილდღეობის ტყვეობაში იყო. საქართველოს ხელისუფლება ურთულეს ვითარებაში აღმოჩნდა. ერთი მხრივ პოზიტიური იყო გარდაქმნის პერსპექტივა და მას თავისი კვალი უნდა დაემჩნია რესპუბლიკისთვის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის, მაგრამ მეორე მხრივ საქართველო მძიმე ეკონომიკურ კრიზისს განიცდიდა. აშკარა იყო, რომ პარტიული ხელმძღვანელობის საქმიანობაში კვლავ ადგილი ჰქონდა მიკერძოების მკვეთრ გამოვლინებას.

საბჭოთა კავშირში დაწყებული გარდაქმნის პროცესი, უპირველეს ყოვლისა საჯაროობის კურსის გატარებას ნიშნავდა. გზა უნდა გაეხსნათ აზრის, შეხედულების თავისუფლად გამოთქმისა და დასაბუთებისათვის. სუსტდებოდა საბჭოთა ცენზურის როლი. საჯაროობის პრინციპმა ხელი შეუწყო საზოგადოებრივი აზრის თავისუფლებას. დაიწყო სხვადასხვა მიზნებისა და შეხედულებების გამომხატველი პოლიტიკური ჯგუფებისა და ორგანიზაციების ჩამოყალიბება, რომლებსაც არაფორმალურ, არაფორმალურ გაერთიანებებს უწოდებდნენ.

ერთ-ერთი პირველი არაფორმალური გაერთიანების „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ დამფუძნებელი კრება 1987 წლის დეკემბერში ჩატარდა თბილისში. საზოგადოების მიზანი იყო ბრძოლა საქართველოს თავისუფლებისთვის, დემოკრატია და კაპიტალისტური ეკონომიკა. ილია ჭავჭავაძის საზოგადოებაში მოღვაწეობა დაიწყო მომავალში არაერთი პოლიტიკური პარტიის ლიდერმა. საზოგადოების დამფუძნებლები იყვნენ: გიორგი ჭანტურია, თამარ ჩხეიძე, ირაკლი შენგელია, ირაკლი წერეთელი და სხვები. შემდგომში საზოგადოებას შეუერთდნენ მერაბ კოსტავა, ზურაბ ჭავჭავაძე და სხვები. ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას თითქმის უნდა გაეერთიანებინა ეროვნული მოძრაობის ძალები, თუმცა მალევე დატოვეს საზოგადოება ყოფილმა დამფუძნებლებმა და რამდენიმე ახალი პოლიტიკური პარტია შექმნეს.

1988-1989 წლებში საქართველოში საფუძველი ჩაეყარა მრავალპარტიულ სისტემას. არენაზე გამოვიდნენ: ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, სახალხო ფრონტი, წმინდა ილია მართალის საზოგადოება, შოთა რუსთაველის საზოგადოება და სხვ. ზოგიერთი პარტია ადრე იყო დაარსებული და ახლა შეექმნა ლეგალური საქმიანობის საშუალება. მათ რიცხვს განეკუთვნებოდნენ - რესპუბლიკური პარტია, ეროვნულ დემოკრატიული პარტია და სხვ. საქართველოში მრავალპარტიული სისტემის დამკვიდრება ეროვნული-დემოკრატიული მოძრაობის თანმდევ პროცესს წარმოადგენდა.

ეროვნული მოძრაობის ახალი ტალღა 1988 წლის 24 თებერვლით იწყება. უნივერსიტეტის ეზოში სტუდენტებმა მიტინგი მოაწყვეს დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსის გადასარჩენად. იმ პერიოდისთვის ის მართლაც მეხის გავარდნას ჰგავდა „მოწმენდილ“ ცაზე. პარალელურად დაიწყო აქტიური საზოგადოებრივი მოძრაობა სხვადასხვა ეროვნული მოთხოვნებით. მწვავედ იდგა აგრეთვე საბჭოთა არმიაში ქართველი ჯარისკაცების დისკრიმინაციისა და მათ მიმართ ძალადობის საკითხი (სონლულაშვილი, 1999: 27-28).

1987 წელს გრანდიოზულად აღინიშნა ილია ჭავჭავაძის 150 წლისთავი. საზოგადოებრივი აზრის გაღვიძებამაც ამ პერიოდიდან იჩინა თავი. 1988 წლის 12 ნოემბერს თბილისში მთავრობის სასახლის წინ დაიწყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიერ ორგანიზებული მასობრივი მიტინგი. ნოემბრის აქციის საბაზი სსრ კავშირის მიერ გამოქვეყნებული კონსტიტუციის შენიშვნებისა და დამატებების

პროექტი გახდა. საყოველთაო უკმაყოფილება გამოიწვია სსრ კავშირიდან თავისუფალი გასვლისა და საშინაო საქმეების განკარგვის პროექტმა. 119-ე მუხლის ძალით სსრ კავშირის ხელისუფლებას კავშირის ნებისმიერ რეგიონში სამხედრო თუ საგანგებო წესების შემოღების უფლება ენიჭებოდა. კონსტიტუციის ამ რეაქციული შესწორების წინააღმდეგ ხმა აიმაღლეს არამარტო არაფორმალურმა ორგანიზაციებმა, არამედ ინტელიგენციამ, სტუდენტობამ, რიგითმა ადამიანებმა, არსებითად მთელმა საქართველომ.

ხელისუფლება ცდილობდა არ დაეშვა ვითარების გამწვავება და როგორმე ძალისმიერი მეთოდების გამოყენების გარეშე მიეღწია აქციის შეწყვეტისთვის (ბლუაშვილი, 1994:16). 29 ნოემბერს აქციის მონაწილეებს გააცნეს გორბაჩოვის სიტყვა, რომლის მიხედვით, ის ითვალისწინებდა ქართველი სტუდენტების მოთხოვნას, წყვეტდა კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანას. ამის შემდეგ 29 ნოემბრის აქცია ორგანიზებულად შეწყდა.

ეს იყო ეროვნული მოძრაობის პირველი მასობრივი გამოსვლა აშკარა ანტისოციალისტური ლოზუნგით, რომელსაც ხელისუფლებამ ტყვიებით და რეპრესიებით ვერ უპასუხა. ნოემბრის აქციამ ხელისუფლებას დაანახა, რომ რადიკალები ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდნენ, რადიკალებმა კი იგრძნეს, რომ ხელისუფლების წინააღმდეგ აშკარა ბრძოლის უნარი შესწევდათ.

1988 წლის დასაწყისიდან ეროვნული მოძრაობის რადიკალურ ნაწილში განხეთქილება მოხდა, რაც გარეგნულად ზნეობრივ ნიადაგზე წარმოქმნილი პიროვნული ხასიათის წინააღმდეგობას ჰგავდა, მაგრამ მისი ფესვები გაცილებით ღრმად იყო გადგმული. 1980-იანი წლების მეორე ნახევარში განსაკუთრებით ხშირად ახსენებდნენ „მესამე ძალას“, რომელიც იყო უპირველესი ინსპირატორი მზაკვრულად დაგეგმილი ეთნოკონფლიქტებისა, ექსტრემიზმისა, ტერორისა,...მაგრამ ამასობაში ყველას დაავიწყდა ან დროზე ვერ შეამჩნიეს ყველაზე ვერაგი „მეოთხე ძალა“ - „ქართველები ქართველების წინააღმდეგ“ (სონლულაშვილი, 1999: 30). რომელიც პირველად (და სამწუხაროდ „წარმატებით“) გამოიცადა „სტუდენტურ პოლიგონზე“. ამ ძალის ყველაზე „გეგმაზომიერი“ დემონსტრირება მოხდა ყოფილ პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან გამართულ მიტინგზე, სადაც ცნობილმა ძალებმა ერთმანეთს მიუსიეს ე.წ. კომკავშირელი აქტივისტები და დანარჩენი ახალგაზრდობა. პოლიტექნიკური

ინსტიტუტის ასამდე კომკავშირელს 1989 წლის 18 თებერვალს დაავალეს მიტინგის დარბევა, თავიანთი თანატოლებისა და ამხანაგების ცემა და შეურაცხყოფა. მათაც „პირნათლად“ შეასრულეს ეს დავალება. კომკავშირელთა აქტიური მონაწილეობით ხელისუფლებამ სასტიკად, დაუნდობლად დაარბია მიტინგი, რომელიც მიზნად ისახავდა მიემართა აფხაზი ხალხისთვის მოწოდებით: არ აპყლოდა პროვოკაციებს, რომლებიც აფხაზებს ქართველებთან დაპირისპირებისკენ მოუწოდებდნენ. აი, ამ კეთილშობილური შინაარსის მიტინგს ხელისუფლება სასტიკად გაუსწორდა და მას ერთაშორის შუღლის გაღვივება, შოვინიზმი და ნაციონალიზმი დასწამა. 18 თებერვლის სამარცხვინო აქცია, როდესაც ქართველმა ახალგაზრდებმა ქართველივე თანატოლებს სცემეს, მორალური თვალსაზრისით გაცილებით დიდ ეროვნულ ტრაგედიას წარმოადგენდა, ვიდრე 9 აპრილის ღამე, როცა ქართველები ერთად იყვნენ კეთილშობილური ეროვნული იდეის გარშემო გაერთიანებული.

9 აპრილის ტრაგედია სათავეს ე.წ. „აფხაზური წერილიდან“ იღებს (ქინქლაძე, 1990:13). საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობასთან ერთად, ავტონომიურ რეგიონებში გამოცოცხლდნენ სეპარატისტული ძალები, რომლებსაც რუსეთის ინტერესები ასაზრდოებდა. ყველაზე რელიეფურად, ყველაზე შეურაცხმყოფელად ეს სეპარატისტული განწყობილება გამოვლინდა გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში აფხაზი ნაციონალისტების თავყრილობაზე, სადაც 1989 წლის 18 მარტს 30 000 აფხაზი შეიკრიბა. აქ იყვნენ აფხაზეთის ასსრ აფხაზი ხელმძღვანელი, პარტიული და საბჭოთა მუშაკებიც. რუსეთის რეაქციული ძალების მიერ წაქეზებულმა სეპარატისტებმა შეკრებაზე მიიღეს ე.წ. „ლიხნის მიმართვა“. სეპარატისტები შეეცადნენ ეჩვენებინათ აფხაზეთის მიერ საქართველოს „ძალმომრეობის, ჩაგვრის, კულტურული ასიმილაციის მცდელობის, რეპრესიული პოლიტიკის გატარების“ პროცესი და ითხოვდნენ საკავშირო მთავრობის დახმარებას, რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლას და ა.შ. ეს წერილი გაეგზავნა საბჭოთა კავშირის უმაღლეს ხელმძღვანელობას, დაიბეჭდა აფხაზურ პრესაში.

თავის მხრივ საქართველოს ხელისუფლება ცდილობდა არ დაემზა ვითარების გამწვავება. აფხაზეთში შექმნილი ვითარების გამო თბილისში მიტინგები არ უნდა დაწყებულიყო, ვიდრე აფხაზეთში სიტუაცია არ დარეგულირდებოდა. თუმცა 4



აპრილს მთავრობის სასახლის წინ დაიწყო მოშიშხილეთა აქცია, მოთხოვნით - გადაეყენებინათ პარტიის აფხაზეთის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ.ადლეიბა. თბილისში დაიწყო ახალგაზრდებისა და სტუდენტების მიტინგების სერია. ამავე დღეს, საღამოს 7 საათზე თბილისის უნივერსიტეტში შედგა სტიქიური მიტინგი, რომელმაც მიიღო რეზოლუცია აფხაზეთის ასსრ პრობლემასთან დაკავშირებით. რეზოლუცია მოითხოვდა ეროვნულ დაუმორჩილებლობას, საქართველოს დროებითი მთავრობის შექმნას, ქვეყანაში ავტონომიური ფორმირებების გაუქმებას.

ამრიგად, ქართველი ინტელიგენციის ზომიერ პოზიციას დაუპირისპირდა რადიკალური იდეოლოგია, ეგზალტირებულ მასაზე გათვლილი მაქსიმალიზმის პოლიტიკა. ხელისუფლებაზე ზემოქმედების მიზნით მთავრობის სახლის წინ ხალხმრავალი მიტინგის მოწყობა გადაწყდა. ეს იდეა ეკუთვნოდა „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას“, რომლის ფაქტიური ლიდერი ზურაბ ჭავჭავაძე იყო.

4-5 აპრილს მიტინგს სწორედ ეს არაფორმალური დაჯგუფება აკონტროლებდა, მომიტინგეები აფხაზეთის ავტონომიის გაუქმებას მოითხოვდნენ. ეს იყო რეაქცია ლიხნის შეკრებაზე მიღებულ ანტიქართულ დოკუმენტზე. აქციის დასაწყისში, სახელმწიფო უსაფრთხოების კომიტეტი როგორც ჩანს ცდილობდა ეროვნულ მოძრაობაში შეგზავნილი რამდენიმე პროვოკატორის, ცრუ დისიდენტის საშუალებით აქციის წარმართვას მხოლოდ აფხაზეთთან დაკავშირებული მოთხოვნებით. სამედიცინო ინსტიტუტის ეზოში გამართულ მიტინგზე მავანნი ცდილობდნენ აქციის წარმართვას არასასურველი გზით და წინააღმდეგი იყვნენ დამოუკიდებლობის ლოზუნგების წამოყენებისა. წმინდა ილია მართლის საზოგადოების, ჰელსინკის ჯგუფისა და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის წევრები, ამ აქციის ძირითადი ორგანიზატორები დღის წესრიგში, დამოუკიდებლობის მოთხოვნას აყენებდნენ უპირველეს ყოვლისა. ყოველივე ამაში მათ მხარს უჭერდა აგრეთვე ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, რომელმაც ტელევიზიის შენობასთან იგივე მოთხოვნით დაიწყო აქცია.

ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ აფხაზეთს არ დაეკარგავდით, რადგან კრემლი საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე არ დაუშვებდა ტერიტორიების გადანაწილებას და ამის პრეცედენტს არ

შექმნიდა, მაგრამ მომიტინგეთა ენერჯის სწორი მიმართულებით წარმართვა აუცილებელი იყო სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად. საჭირო იყო ისეთი ლოზუნგის წამოყენება, რომელიც თავისი მნიშვნელობით „გადაფარავდა“ აფხაზეთის „პრობლემით“ წარმოშობილ ლოზუნგებს და აქციას სხვა მიმართულებას მისცემდა.

ზვიად გამსახურდიას გადაწყვეტილებით, ეროვნული მოძრაობის გეგმები საერთო სახალხო განხილვის საგნად უნდა ქცეულიყო. ამ მიზნით მან მომიტინგეთა კოლონა უნივერსიტეტიდან წაიყვანა „დინამოს“ სტადიონზე და ფეხბურთის მატჩის მაყურებლებს მოუწოდა გადმოენაცვლათ რუსთაველის პროსპექტზე, მთავრობის სასახლესთან, სადაც უნდა გადაწყვეტილიყო კიდევ აქციის ბედი. მოწოდებისთანავე დაახლოებით 40 000-იანი მასა დაიძრა რუსთაველის პროსპექტისაკენ. ამ გრანდიოზულ მსვლელობას გზაში შეუერთდა მრავალი ადამიანი, რუსთაველის პროსპექტზე მოზღვადა დაახლოებით 100 000 ადამიანი. 6 აპრილს მიტინგზე ინიციატივა უფრო რადიკალების - ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიისა და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიების ლიდერების - ი. წერეთლისა და გ. ჭანტურიას ხელში გადავიდა, რომლებიც მოითხოვდნენ: „რუსეთის იმპერიის დაშლას“, „საქართველოს დამოუკიდებლობას“, „საქართველოში გაეროს ჯარების შემოყვანას“ და ა.შ. მოშიმშილეებს საქართველოს ყველა კუთხისა და რეგიონის წარმომადგენლები უერთდებოდნენ. აქციაში ყველა ეროვნული მიმართულების პარტია მონაწილეობდა, მიტინგს ზ.გამსახურდია, მ.კოსტავა, გ.ჭანტურია და სხვები უძღვებოდნენ.

გეგმით აქცია 14 აპრილამდე უნდა გაგრძელებულიყო. მერე ეროვნული ყრილობა უნდა მოეწვიათ და ამის შემდეგ აპირებდნენ დაშლას. ეს ხელისუფლებამაც იცოდა, მაგრამ იმპერიის მესვეურებმა ჩათვალეს, რომ სისხლიანი დარბევითა და დასჯით ქართველ ერში თავისუფლების სულისკვეთებას ჩაკლავდნენ. მართალია მომიტინგეები 9 აპრილის დარბევას ელოდნენ, მაგრამ დაშლას მაინც არ აპირებდნენ. მანამდეც არა ერთხელ დაურბევიათ მიტინგები, თუმცა ადამიანური დანაკარგი არ ყოფილა.

1989 წლის 8 აპრილს გამოქვეყნდა სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს ბრძანებულება, მიტინგებისა და დემონსტრაციების აღკვეთის შესახებ. მომიტინგეთა დაშლის ოპერაციის რეალური მიმდინარეობის ანალიზი უტყუარად ადასტურებს, რომ მაშინ მოქმედი კანონმდებლობის, წესდებების, მითითებებისა და ინსტრუქციის უხეში,

დანაშაულებრივი დაუდევრობის ტოლფასი დარღვევებისა და მეორე მხრივ მიტინგის ორგანიზატორებისა და მონაწილეთა ერთი ნაწილის მართლსაწინააღმდეგო მოქმედების შედეგად აქცია ტრაგიკულად დამთავრდა. რამდენიმე წუთში რუსთაველის დიდებული პროსპექტი სასაფლაოს დაემსგავსა... გაზაფხულის იმ დილას 19-მა მშვიდობიანმა ქართველმა შესწირა სიცოცხლე საქართველოს თავისუფლებას. მათგან უფროსი 70 წლისა, უმცროსი 16 წლისა (გვერდწითელი, 1990: 244).

9 აპრილს, 23 საათიდან თბილისში დაწესდა კომენდანტის საათი. 23 საათიდან დილის 6 საათამდე ქალაქში წყდებოდა თავისუფალი გადაადგილება. თბილისში სამხედრო კომენდანტად დაინიშნა სისხლიანი აქციის ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი გენერალ-პოლკოვნიკი ი. როდიონოვი. კომენდანტის საათი გაგრძელდა 1989 წლის 18 აპრილამდე. კომენდანტის საათის შემოღებიდან 2 საათის შედეგ პატრულმა მოკლა უდანაშაულო გია ქარსელაძე.

9 აპრილის სისხლიანმა ტრაგედიამ მთელ მსოფლიოს დაანახა საბჭოთა იმპერიალიზმის სახე და ასევე 9 აპრილმა გამოავლინა საბჭოთა იმპერიის დაშლის შეუქცევადი პროცესი. მიუხედავად წინა დროის (1956 წლის 9 მარტის) სისხლიანი გამოცდილება, ქართველი ხალხი თავის მომავალს დამოუკიდებლობაში ხედავდა ამ შეგნებითა და ცნობიერებით შემართული არაფრისგან უკანდახევას არ აპირებდა.

1989 წლის 9 აპრილის მოვლენებს ტრაგიკული ხასიათის მიუხედავად გარდამტეხი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. რადიკალურმა პოლიტიკურმა პარტიებმა შექმნეს ეროვნული ხსნის კომიტეტი, რომლის უმთავრესი მიზანი იყო საქართველოს გამოყვანა საბჭოთა კავშირისგან და დამოუკიდებლობის მოპოვება. ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ზეგავლენით 1990 წლის მარტში საქართველოს უზენაესმა საბჭომ სპეციალური დადგენილებით 1921 წლის თებერვალში საქართველოს წინააღმდეგ საბჭოთა რუსეთის სამხედრო მოქმედება შეაფასა, როგორც ქვეყნის ოკუპაცია და ფაქტობრივი ანექსია.

1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში უზენაესი საბჭოს არჩევნები ჩატარდა. მომავალი საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატთა რაოდენობა 250 კაცით განისაზღვრა. მათგან 125 პროპორციული და 125 მაჟორიტარული სისტემით უნდა არჩეულიყო. სადეპუტატო მანდატების მოსაპოვებლად საჭირო იყო 4%-იანი ბარიერის გადალახვა.

საბოლოოდ ჩამოყალიბდა 6 საარჩევნო ბლოკი და 8 დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაცია. რეგისტრაცია გაიარა პროპორციული გზით ასარჩევმა 2400-მდე და მაჟორიტარული სისტემის 1000-მდე დამოუკიდებელმა კანდიდატმა.

1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებს საერთაშორისო დამკვირვებელთა სოლიდური კორპუსი დაესწრო. მათ მსოფლიოს გასაგონად განაცხადეს, რომ არჩევნებმა საქართველოში ობიექტურად ჩაიარა. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის დაახლოებით 70%-მა. ხმების უმრავლესობა, როგორც პროპორციულ, ისე მაჟორიტარულ არჩევნებში მოიპოვა „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს“ საარჩევნო ბლოკმა. მათ 114 დეპუტატი გაიყვანეს ახლადარჩეულ უზენაეს საბჭოში, მეორე ადგილზე გასულმა კომპარტიამ მიიღო 61 მანდატი. დანარჩენი ადგილები სხვა პარტიებს ერგოთ. ხელისუფლების სათავეში „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“ მოვიდა. საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორიაში ახალი ეტაპი დაიწყო, კომუნისტური რეჟიმი მშვიდობიანი გზით შეიცვალა. ძალაუფლება კანონიერად, დემოკრატიულ, მრავალპარტიულ არჩევნებში წარმატების შედეგად ხელში აიღო ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებისგან დაკომპლექტებულმა მთავრობამ.

1990 წლის 14 ნოემბერს შედგა საქართველოს ახლადარჩეული უზენაესი საბჭოს პირველი სხდომა. სესია დალოცა საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა ილია II-მ. დეპუტატებმა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე ფარული კენჭისყრით ერთხმად აირჩიეს „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს“ სპიკერი ზვიად გამსახურდია. დამტკიცდა ახალი მთავრობა თენგიზ სიგუას თავმჯდომარეობით. საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას შეეცვალა სახელწოდება - ქვეყანას ეწოდა „საქართველოს რესპუბლიკა“. აღდგენილ იქნა სახელმწიფო სიმბოლიკაც - საქართველოს პირველი რესპუბლიკის (1918-1921 წლების) გერბი, დროშა და ჰიმნი. საქართველოში კომუნისტური ხელისუფლება დაემხო.

საქართველოს ეროვნულ ხელისუფლებას მძიმე მემკვიდრეობა დახვდა. პოლიტიკური პრობლემების გარდა, თავი იჩინა ეკონომიკური, სოციალური, ეროვნული ხასიათის სირთულეებმა, რომლებიც მოსკოვთან დაპირისპირების პარალელურად კიდევ უფრო მწვავედებოდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრიორიტეტულ ამოცანებს საბჭოთა ინსტიტუტების გაუქმება და სანაცვლოდ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი, დემოკრატიული სტრუქტურების ფორმირება წარმოადგენდა. შეწყდა საბჭოების უფლებამოსილება, დაიწყო კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დაშლა, წვრილი საწარმოებისა და ობიექტების პრივატიზაცია, ჩაისახა თავისუფალი მეწარმეობა, გაჩნდა კერძო ბანკები, მომრავლდა დამოუკიდებელი ჟურნალ-გაზეთები, გამოიკვეთა სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების პირველი ნიშნები. უზენაესმა საბჭომ ქვეყნის ტერიტორიაზე შეაჩერა საბჭოთა კავშირის კანონები და კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ საქართველოს რესპუბლიკის კანონებსა და ინტერესებს. შეიქმნა შინაგანი ჯარი - ეროვნული გვარდია. 1991 წლის მარტში ჩატარდა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების - საკრებულოს დეპუტატთა არჩევნები.

იმპერიის შესანარჩუნებლად კრემლში ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულება შეიმუშავეს. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი სუვერენული საბჭოთა რესპუბლიკების კავშირად - ახალ, ნებაყოფლობით, დემოკრატიულ-ფედერაციულ სახელმწიფოდ უნდა გარდაქმნილიყო. საქართველოს ხელისუფლებამ ამ ხელშეკრულების ხელმოწერაზე კატეგორიული უარი განაცხადა. მას ზოგიერთმა სხვა რესპუბლიკამაც დაუჭირა მხარი. შექმნილ ვითარებაში საკავშირო სახელმწიფოს გადარჩენის ბოლო საშუალებად მიიჩნიეს პლებისციტი, რომლის ჩატარება 1991 წლის 17 მარტისთვის დაინიშნა. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ საქართველოს ტერიტორიაზე აკრძალა საკავშირო პლებისციტი და მის საპირისპიროდ ეროვნული რეფერენდუმის ჩატარების დადგენილება მიიღო (ჯანელიძე, 2009: 204-205).

1991 წლის 31 მარტს საქართველოს მასშტაბით მოეწყო მოსახლეობის საერთო სახალხო გამოკითხვა. მის მონაწილეებს უნდა ეპასუხათ კითხვაზე: „თანახმა ხართ თუ არა ადღგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?“ რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო 3 მილიონ 300 ათასზე მეტმა ამომრჩეველმა. გამოკითხულთა 98%-მა მხარი დაუჭირა საქართველოს დამოუკიდებლობას. მათ შორის იყო ქვეყნის არაქართველი მოსახლეობის უმეტესობამაც.

რეფერენდუმის შედეგებიდან გამომდინარე საქართველოს უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 9 აპრილს აღადგინა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. 1991 წლის 14 აპრილს უზენაესი საბჭოს სესიამ საქართველოს პირველ პრეზიდენტად ზვიად გამსახურდია აირჩია. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ აკაკი ასათიანი. იმავე სესიის დადგენილებით 26 მაისისათვის დაინიშნა რესპუბლიკის პრეზიდენტის საყოველთაო-სახალხო არჩევნები. დამაჯერებლად გაიმარჯვა და საქართველოს პრეზიდენტი გახდა ზვიად გამსახურდია. მას მხარი დაუჭირა ამომრჩეველთა 87%-მა. საქართველოს სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალი ხანა დაიწყო.

ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის და XX საუკუნის II ნახევარში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა წარმატებით დაგვირგვინდა. ამ საერთო ეროვნული მოძრაობის პროცესში ერთნაირად იყო ჩართული როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები, ასევე ინტელიგენცია, მართლმადიდებელი ეკლესია და საზოგადოების დიდი ნაწილი. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატებით დაგვირგვინებამდე (1991 წლის 9 აპრილი) საქართველომ ბრძოლისა და თავდადების გარკვეული ეტაპები გაიარა, რომელიც სათავეს ანექსიისა და გასაბჭოების (1921 წლის 25 თებერვალი) პირველივე დღეებიდან იღებს და ამდენად ეს გამარჯვება საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლი ყველა თაობის გამარჯვება იყო.

საქართველოში პროვოცირებული ეთნოკონფლიქტების საფუძვლებთან დაკავშირებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ XX საუკუნის 80-ანი წლების II ნახევრიდან აშკარა გახდა, რომ საბჭოთა კავშირის უზარმაზარ იმპერიას დღეები ჰქონდა დათვლილი. როგორც წესი, იმპერიის მსხვერვის შედეგად, ჩნდება უზარმაზარი სიცარიელე, ეთნიკურად თუ პოლიტიკურად დაძაბული კერები. მოქმედებას იწყებენ ის „ნაღმები“, რომლებიც თავის დროზე ჩადებული ჰქონდა „იმპერიის მანქანას“. ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა საბჭოთა კავშირის ნგრევის შედეგადაც. პოსტსაბჭოთა სივრცეში დაისადგურა ღრმა ეკონომიკურმა კრიზისმა და თავი იჩინა ეთნოპოლიტიკურმა კონფლიქტებმა. პოსტსაბჭოური სივრცის სახელმწიფოებში პოლიტიკურმა დაძაბულობამ პიკს მიაღწია. ისინი პოლიტიკური გზის გასაყარზე იდგნენ, მათ უნდა აერჩიათ ევროპული ან ისევ სახეცვლილი რუსეთისკენ მიმავალი გზა. უძველესი კულტურის მქონე საქართველო აშკარა პროევროპულ გზას დაადგა,

რამაც გამოიწვია ყოფილი იმპერიის მემკვიდრის - რუსეთის გაღიზიანება. საქართველოშიც ამოქმედდა „იმპერიის მანქანის“ მიერ ჩადებული პოლიტიკური ნაღმები, რასაც მოჰყვა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების კრიზისი (ალექსაია, 2012: 158).

პოლიტიკური კონფლიქტების გამწვავების მიზნით არაფორმალური ორგანიზაციები შეიქმნა ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“ - „ადამონ ნიხანი“ და აფხაზეთში - „აიდგილარა“. მათ ეთნიკურ ნიადაგზე მოითხოვეს საქართველოსგან გამოყოფა და რუსეთთან შეერთება. როგორც აფხაზი, ისე ოსი სეპარატისტების უკან ცხადია საბჭოთა კავშირის მაშინდელი ხელისუფლება იდგა.

საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბანაკის დაშლა მტკივნეულად მიმდინარეობდა. საბჭოთა კავშირში შეძვალ რესპუბლიკებში აზვირთულ ეროვნულ მოძრაობას მოსკოვი სხვადასხვა საშუალებებით ებრძოდა. ერთ-ერთ ასეთ საშუალებას წარმოადგენდა სეპარატისტული ძალების წაქეზება, ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტების პროვოცირება. მოსკოვი იძულებული გახდა დაეთმო აღმოსავლეთ ევროპა, ხოლო უშუალოდ საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან - ლიტვა, ლატვია და ესტონეთი. დანარჩენ მოკავშირე რესპუბლიკებში გავლენის შესანარჩუნებლად საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ენერგიულად იბრძოდა. 1991 წლის 21 დეკემბერს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი ოფიციალურად დაიშალა. მის ადგილზე შეიქმნა 12 დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომლებიც შევიდნენ სახელმწიფოთა ახალ გაერთიანებაში - დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (დსთ) (ვაჩნაძე-გურული, 2003: 225).

საქართველო ერთადერთი სახელმწიფო აღმოჩნდა, რომელიც არ შესულა დსთ-ში. რუსეთის გავლენისგან სრული თავდაღწევა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების ოფიციალური საგარეო პოლიტიკის კურსი გახდა. ამგვარი კურსი კი სრულიად მიუღებელი იყო რუსეთისთვის, რომელმაც დაუყონებლივ აამოქმედა პატარა, ურჩი ქვეყნის წინააღმდეგ ბრძოლის სხვადასხვა მექანიზმი. პირველ რიგში, რუსეთმა ხელი შეუწყო საქართველოში არსებულ ავტონომიურ რესპუბლიკებში სეპარატისტული მოძრაობების გამოცოცხლებას და გააქტიურებას.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აფხაზური საზოგადოების გარკვეულ ნაწილში ანტიქართული განწყობა ყოველთვის შეიმჩნეოდა.

1978 წელს აფხაზი ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა წერილი გაუგზავნა საბჭოთა ხელმძღვანელობას, რომელშიც საჩივარი იყო საქართველოს ხელისუფლებისა და ქართული ინტელიგენციის წინააღმდეგ. წერილის ავტორები მიიჩნევდნენ, რომ საქართველოს კომუნისტური ხელისუფლების პოლიტიკა მიმართული იყო აფხაზი ხალხის წინააღმდეგ, მიმდინარეობდა აფხაზი ეთნოსის დემოგრაფიული შევიწროება, აფხაზეთის ისტორიის გაყალბება, მათი კულტურისა და ტრადიციების დაკნინება და ა.შ.

საქართველოს კომუნისტური ხელისუფლება, სამწუხაროდ, ანტიქართული მოძრაობის მიჩქმალვის, გარეგნული სტაბილიზაციისა და მასთან მუდმივი კომპრომისების, დათმობების გარკვეულ გზას დაადგა. ანტიქართულმა ისტერიამ აფხაზეთში ახალი სიძლიერით XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს იფეთქა. 1989 წლის მარტში მოეწყო ლიხნის თავყრილობა, რომელმაც მიიღო მიმართვა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისადმი, რომ აფხაზური ეთნოსი გაქრობის წინაშეა და მას უშველიდა მხოლოდ ავტონომიური სტატუსის შეცვლა მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსით, რაც ფაქტობრივად საქართველოდან გამოყოფას ნიშნავდა. აფხაზი სეპარატისტების გამოსვლებს ავტონომიური რესპუბლიკის ქართველი მოსახლეობის საპროტესტო აქციები მოჰყვა, რამაც მდგომარეობა დაძაბა. როგორც აფხაზი, ისე ქართველი მოსახლეობის მოთხოვნებში იყო ისეთი საკითხები, რომელიც ორივე ხალხის შეთანხმების გზით უნდა გადაჭრილიყო. ნაცვლად ამისა მოსკოვმა მოახერხა, რომ აფხაზი მოსახლეობის მოძრაობისთვის სეპარატისტული მიმართულება მიეცა და ისინი ქართველი ერისთვის დაეპირისპირებინა.

მოსკოვის მიერ მხარდაჭერილი სეპარატისტები საქართველოს ხელისუფლებას კატეგორიულ მოთხოვნებს უყენებდნენ და იმუქრებოდნენ, რომ მათი შეუსრულებლობის შემთხვევაში მოსალოდნელი იყო შეტაკებათა უმართავი და სისხლიანი ჯაჭვი. 1989 წლის 16 ივლისს აფხაზმა ექსპრემისტებმა სოხუმში დაარბიეს საშუალო სკოლის შენობა, სადაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალი იყო. დაიღუპა 14 ადამიანი.

1990 წლის 25 აგვისტოს აფხაზ დეპუტატთა ერთმა ჯგუფმა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესია მოიწვია. კვორუმის უქონლობის გამო სესია არ იყო უფლებამოსილი. მიუხედავად ამისა, სესიამ ცალსახად



მიიღო „დეკლარაცია აფხაზეთის ასსრ სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის შესახებ“. თავმჯდომარედ აირჩიეს ვლადისლავ არძიშა. თავდაპირველად საქართველოსა და აფხაზეთის ახალ ხელისუფლებას შორის საქმიანი, კონსტრუქციული მოლაპარაკებები მიმდინარეობდა, რაც ადრინდელ სისხლიან მოვლენათა ფონზე თითქოს კონფლიქტისა და ორი ხალხის ურთიერთმოწყობის მშვიდობიან პერსპექტივას ქმნიდა (ვაჩნაძე-გურული, 2003: 226).

ცალკეული ეპიზოდების მიუხედავად საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგაც, აფხაური სეპარატისტული მოძრაობა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის რღვევისა და მისგან გამოყოფის სტრატეგიული მიზნით მიმდინარეობდა. დღესაც აფხაზეთის რეგიონის კონფლიქტური კერა ქართული იურიდიული საზღვრის მიღმაა. აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობა კონფლიქტის ინსპირატორი რუსეთის წაქეზებითა და მხარდაჭერით თავს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აცხადებს (ალექსაია, 2012: 219).

მოსკოვიდან იმართებოდა ე.წ. სამხრეთ ოსეთში მიმდინარე პროცესები, რომლებიც წმინდა ანტისახელმწიფოებრივ ხასიათს ატარებდა. 1989 წლის მაისში ოსი მოსახლეობის ერთმა ნაწილმა წერილი გაუგზავნა ცენტრალურ ხელისუფლებას, სადაც საუბარი იყო იმაზე, რომ საქართველოს სოციალისტური ხელისუფლება ავიწროებდა ოს ხალხს. წერილის ავტორები სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის გაერთიანებასა და მის რუსეთის სსრ-ში შესვლას მოითხოვდნენ. 1988 წლის აპრილში ცხინვალში პირველი მასობრივი ანტიქართული დემონსტრაცია მოეწყო აღან ჩოჩიევის ხელმძღვანელობით. 1989 წლის სექტემბერში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს გადაწყვეტილებით ავტონომიური ოლქის სახელმწიფო ენად ოსური გამოცხადდა. ეს, რა თქმა უნდა, ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსის შეზღუდვის ხარჯზე ხდებოდა. სეპარატისტული მოთხოვნები და სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატების საბჭოს გადაწყვეტილებით ოფიციალურ სახეს იღებს.

ქართულმა საზოგადოებამ და ეროვნულმა მოძრაობამ ანტიქართული ისტერიის აღკვეთა მოითხოვა. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ და საქართველოს უზენაესი საბჭოს სესიამ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს ზემოთ აღნიშნული სესიის

გადაწყვეტილება უკანონოდ სცნო. სეპარატისტული მოძრაობის აღკვეთას, სამართლებრივი ორგანოების ჩარევის გზით, მოსკოვის ნებართვის გარეშე საქართველოს კომუნისტური ხელისუფლება ვერ ბედავდა. ამგვარ ნებართვას კი მოსკოვი არც აფხაზი და არც ოსი სეპარატისტების წინააღმდეგ არ გასცემდა.

მოცემულ ვითარებაში ქართულმა საზოგადოებამ, პოლიტიკურმა პარტიებმა და საზოგადოებამ თავად სცადეს არ დაემვათ სამხრეთ ოსეთში მოვლენების ანტიქართული მიმართულებით განვითარება. პოლიტიკურმა პარტიებმა და ორგანიზაციებმა ქართულ საზოგადოებას მოუწოდეს მონაწილეობა მიეღოთ 1989 წლის 23 ნოემბერს ცხინვალში დაგეგმილ მიტინგში. ცხინვალისკენ ათიათასობით ადამიანი დაიძრა, მაგრამ მათ გზა გადაუღობეს საქართველოს კომუნისტური ხელისუფლების ბრძანებით მობილიზებულმა ძალოვანი სამსახურის ქვედანაყოფებმა.

ურთიერთობის ნორმალიზაციისკენ გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად სამხრეთ ოსეთში ანტიქართულმა ექსტრემიზმმა გაიმარჯვა. ოსურ სეპარატიზმს, რომ რუსული იმპერიალიზმი ასაზრდოებდა ეს კარგად იყო ცნობილი ქართული საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობისთვის. სეპარატისტული პოლიტიკური პროცესები გეგმაზომიერად წარიმართა. 1990 წლის სექტემბერში მიღებულ იქნა დეკლარაცია სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტის შესახებ, ნოემბერში - სამხრეთ ოსეთი საბჭოთა რესპუბლიკად გამოცხადდა, ხოლო დეკემბერში სეპარატისტებმა სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოაცხადეს.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ 1989 წლის 9 აპრილს შუალამისას, რუსი ჯარისკაცების მიერ, მშვიდობიანი მომიტინგეების მხეცურად და ვერაგულად დარბევამ კიდევ ერთხელ ნათლად აჩვენა საბჭოთა იმპერიის სახე და მასთან ერთად გამოავლინა საქართველოს მთავრობის უუნარობაც, საკუთარი სავარძლებისა და ცრუ იდეების ნაცვლად საკუთარი ხალხისთვის მიენიჭებინათ უპირატესობა და ერთად მოეძებნათ გამოსავალი შექმნილი რთული ვითარებიდან. ხელისუფლებისა და მიტინგის ორგანიზატორთა ხისტმა და ზოგჯერ გაუმართლებელმა ქმედებებმა გამოიწვია თბილისში 9 აპრილის ტრაგიკული მოვლენები. ამასთანავე, 9 აპრილმა აჩვენა ქართველი ხალხის უაღრესად მტკიცე ნებისყოფა, უდრეკი სული, მისი უკომპრომისობა სამშობლოს ერთიანობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში და

კიდევ ერთხელ დაადასტურა ქართველი ერისათვის ამ უმაღლესი და მარადიული იდეებისა თუ იდეალების უკვდავება.

ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული, ეთნიკური თუ ლინგვისტური მრავალფეროვნება ჩვენი საერთო სიმდიდრეა და იმ ფაქტით, რომ საქართველოში საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა ეთნოსების და რელიგიის წარმომადგენლები მკვიდრობდნენ და მშვიდობიანად ახერხებდნენ თანაცხოვრებას, ჩვენ სამართლიანად შეგვიძლია ვიამაყოთ. ხოლო, ხელოვნურად წარმოქმნილი და გარე ძალის მიერ პროვოცირებული ეთნოკონფლიქტებიც სამართლიანად შეგვიძლია ჩავთვალოთ „პოლიტიკური სარჩულის“ მქონე საქმეებად.

ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე, სადაც საქართველოს იურისდიქცია ვრცელდება, ეთნიკურად არაქართველებიც ცხოვრობენ, რომლებიც საერთო მოსახლეობის არც თუ უმნიშვნელო ნაწილს შეადგენენ. როცა ერთმანეთის გვერდით გვიწევს ცხოვრება აუცილებელია ერთმანეთისთვის გასაგებ ენაზე ვსაუბრობდეთ როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით. საჭიროა ინტეგრაციის ხელშემწყობი გარემოს შექმნისათვის შესაბამისი ღონისძიებების გატარება, რადგან გაუცხოება არ გაღრმავდეს უმრავლესობასა და უმცირესობას შორის. ქვეყანაში ყველა მოქალაქისთვის მისაღები გარემოს შესაქმნელად სახელმწიფომ და არასახელმწიფო აქტორებმა უნდა უზრუნველყონ თანაბარი გარემოს შექმნა. საქართველოში ისეთი გარემო უნდა შეიქმნას, სადაც მრავალფეროვნება და პლურალიზმი იქნება ძლიერება და არა პოლარიზაციის, დაპირისპირებისა და გახლეჩილობის დამდუპველი უფსკრული.

დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში მეტად მნიშვნელოვანია ეროვნულ უმრავლესობასთან ერთად ეროვნული უმცირესობების სრულფასოვანი ჩართვა, რადგან დემოკრატია ეფუძნება ადამიანის უფლებების, თვითგამოხატვისა და ჩართულობის პრინციპებს.

## 2.2 ეთნიკური ნაციონალიზმის ტრანსფორმაცია სამოქალაქო

### ნაციონალიზმისკენ

საბჭოთა პერიოდს პირველული ინტერნაციონალიზმის ხანა შეიძლება ეწოდოს. საქართველოს მოსახლეობის მრავალეროვნული შემადგენლობის და „ხალხთა შორის მშობის“ მეხოტბეობა ოფიციალური იდეოლოგიის ნაწილი იყო - მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ეს იდეოლოგია ოფიციალური იყო, ასეთი ლოზუნგები ირიბად ხელს უწყობდა ნაციონალიზმის, როგორც კომუნისტური სისტემისადმი ოპოზიციური ალტერნატიული იდეოლოგიის ლეგიტიმაციას. მასვე უწყობდა ხელს საბჭოთა სისტემის გარკვეული ინსტიტუციონალური თავისებურებები: ნაციონალური რესპუბლიკების და მათ შიგნით ავტონომიური წარმონაქმნების არსებობა და შესაბამისად, ნაციონალური პარტნომენკლატურისა და ნაციონალური ნომენკლატურის ინტელიგენციის სისტემის ფუნქციონირება; მეორე მხრივ, ეროვნების აღმნიშვნელი გრაფა, სინამდვილეში, აძლიერებდა ეთნოსური წარმომავლობის პრიორიტეტს მოქალაქეებში (ნოდია 2003: 70).

საბჭოთა ოკუპაციური რეჟიმიდან დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე საქართველომ უცაბედი და ქაოსური ტრანსფორმაციის შესაბამისი უარყოფითი ზეგავლენები განიცადა. ეთნიკური უმცირესობების მიმართ გატარებული სახელმწიფო პოლიტიკა და მისი შედეგები 30 წლის ახალგაზრდა ქართული სახელმწიფოს სხვადასხვა მმართველობის დროს განსხვავებულია.

საქართველოში საბჭოთა რეჟიმი და მასთან ერთად კომუნისტური იდეოლოგია ერთბაშად რადიკალური ნაციონალისტური იდეოლოგიით შეიცვალა, რაც ეთნო-ნაციონალურ და რელიგიურ საფუძვლებს უფრო ეყრდნობოდა, ვიდრე სამოქალაქოსა და დემოკრატიულს. დამოუკიდებლობის მოპოვების გარიჟრაჟზე ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ვითარება ნაკლებ ადგილს ტოვებდა ეთნიკურ უმცირესობათა საკითხის გააზრებული შესწავლისა და მათზე სათანადო და საჭირო რეაგირებისათვის.

ეთნიკური უმცირესობების მიმართ წინააღმდეგობრივი პოლიტიკის ერთ-ერთი გამოვლინება იყო ჯერ კიდევ საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭოს მიერ 1989 წლის აგვისტოში მიღებული „კანონი ენის შესახებ“, რომელიც ითვალისწინებდა ქართული ენის სავალდებულო გამოყენებას მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე, იმის მიუხედავად,

რომ აფხაზებისა და ოსების უმრავლესობა ქართულ ენაზე თითქმის საერთოდ ვერ საუბრობდა.

საქართველოში იმ დროისათვის არსებული უნდობლობითა და ნაციონალისტური განწყობებით გაჯერებული ვითარება რუსეთის მოსაზღვრედ მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის ჯგუფების აფხაზებისა და ოსების მიმართ ხშირად გამოიხატებოდა ხისტი დამოკიდებულებებით. ეს ჯგუფები მათი პოლიტიკური პოზიციებიდან გამომდინარე, მაგალითად, ლოიალობა კრემლის პოლიტიკის მიმართ, სეპარატიზმი, ქართველი პოლიტიკოსების მხრიდან მოიაზრებოდნენ, როგორც კრემლის მიერ მოსყიდულ აგენტებად, რომლებსაც საქართველოს დამოუკიდებლობისკენ სვლის შეჩერება ან ძირის გამოთხრა სურდათ (Matsaberidze 2014:7).

იგრძნეს რა აფხაზებმა და ოსებმა საშიშროება, რომ ქართული ეროვნული მოძრაობა მათ პრივილეგირებულ მდგომარეობას საფრთხეს შეუქმნიდა, ამგვარ საფრთხეს კონტრ-მობილიზაციებით უპასუხეს. შედეგად აფხაზურმა და ოსურმა ეროვნულმა მოძრაობებმა ყველა მათ ხელთ არსებული საშუალებით დაიწყეს ბრძოლა საქართველოს იურისდიქციიდან გამოსასვლელად და საბჭოთა კავშირში მოკავშირე რესპუბლიკების სტატუსით შესასვლელად (Koiava 2016: <http://regional-dialogue.com/en/georgian-national-narratives-on-conflicts-1991-2012/> ). თანდათანობით საქართველოში ცენტრსა და რეგიონებს შორის მაშინ არსებულ დამაბულ ურთიერთობებს სიტუაციის კიდევ უფრო მეტად გაუარესება მოჰყვა.

საბჭოთა კავშირისა და კომუნისტური სისტემის რღვევის პერიოდში საქართველოში და თითქმის ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანაში ეთნიკური ნაციონალიზმი გაბატონდა. ასეთი ნაციონალიზმის წარმომადგენლად კი ზვიად გამსახურდია მოგვევლინა, რომელიც თავის თანაგუნდელებთან ერთად ნაციონალურ იდეებზე დაფუძნებული დემოკრატიული სახელმწიფოებისთვის იბრძოდნენ. მაგრამ ეს დემოკრატია - ძალიან ნედლი, დაუხვეწავი, არადიფერენცირებული - სინამდვილეში, ეთნოსურად ექსკლუზიური გამოდგა. მაშინდელი ნაციონალიზმი ეთნოსური სიწმინდის ნაციონალიზმი იყო და საქართველოში, ისევე როგორც სხვა პოსტსაბჭოთა დემოკრატიულ ელიტებში დემოკრატიული და ლიბერალური

პრინციპები ან საერთოდ იქნა უგულვებელყოფილი ან ნაკლებად გათვალისწინებული (ნოდია, 2003: 70-71).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მიუხედავად ეთნიკურ ჯგუფებს შორის არსებული დაძაბული ურთიერთობებისა, პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ და აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ვლადისლავ არძინბამ სცადეს ძალაუფლების დაბალანსებისა და წონასწორობის შესახებ შეთანხმების მიღწევა, რომლის თანახმადაც აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, სადაც 1989 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემებით ქართველები, რომლებიც ავტონომიური რესპუბლიკის 45.7%-ს შეადგენდა ახალ 65 ადგილიან ავტონომიურ საკანონმდებლო ორგანოში მიიღებდა 26 ადგილს. აფხაზეთი მოსახლეობა, რომელიც საერთო მოსახლეობის 17.8%-ს შეადგენდა მიიღებდა 28 ადგილს, ხოლო სხვა ჯგუფები - სომხები 14.6%, რუსები 24.3% - დარჩენილ 11 ადგილს გაინაწილებდნენ. ახალი საარჩევნო სისტემის მიხედვით კონსტიტუციურ საკითხებზე რეზოლუციების მიღება ხმების 2/3-ის უმრავლესობით უნდა მომხდარიყო, რაც გულისხმობდა იმას, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების მიღება მხოლოდ ყველა ძირითადი ჯგუფების წევრების თანხმობით იყო შესაძლებელი. თუმცა, გამსახურდიას მთავრობის განდევნის შემდეგ, აღნიშნული ე.წ. „ძალაუფლების გაზიარების შესახებ მიღწეული შეთანხმება“ დაუყოვნებლივ იქნა უგულვებელყოფილი, როგორც ცენტრალური ისე ავტონომიური ხელისუფლებების მიერ. რადგან, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში აფხაზეთს, რომლებიც საერთო მოსახლეობაში გაცილებით ნაკლები იყვნენ, ვიდრე ქართველები, მეტი ადგილი შეხვდათ იმ ფონზე, როცა აფხაზეთის მოსახლეობის თითქმის ნახევარს ქართველები წარმოადგენდნენ.

ეროვნული მოძრაობის სათავეში ყოფნის დროს თუ ზვიად გამსახურდიას პოლიტიკა ეთნონაციონალური რიტორიკით გამოირჩეოდა, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტად არჩეულმა გამსახურდიამ საინაუგურაციო სიტყვაში აღიარა, რომ 1990 წლის 28 ოქტომბრის შემდეგ განვლილი პერიოდი ურთულესი იყო საქართველოს ეროვნული ხელისუფლებისთვის და ქვეყნის მართვა გაცილებით რთულია, ვიდრე ეროვნული მოძრაობის ლიდერობა. „უნდა ვაღიაროთ რომ ოცნება თავისუფლებაზე, სტიქიური მოქმედება მისი სახელით,

შეუდარებლად უფრო ადვილი იყო, ვიდრე სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აყვანილი, რეალურ სამუშაოდ ქცეული ეროვნული აღორძინება“ (მაცაბერიძე, 2007: 15)

ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ზვიად გამსახურდიას რადიკალური დამოკიდებულებები და ეთნიკური ქართველების დაჩაგრულ მდგომარეობაზე ხაზგასმით საუბარი ეროვნული უმცირესობების უფლებებზე და შემწყნარებლობაზე საუბრებით გაზავდა. დროის მოკლე მონაკვეთში ქართულმა ნაციონალურმა პროექტმა გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადა.

ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ შეიცვალა ზვიად გამსახურდიას დამოკიდებულებები საქართველოს მოქალაქის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით. ამ საკითხთან მიმართებაშიც შეინიშნება გარკვეული დინამიკა. 1991 წლის ივლისში მთავრობამ მიიღო კანონი მოქალაქეობის შესახებ, რომელიც საქართველოში ცხოვრების ხანგრძლივობის მიუხედავად, მოქალაქეობას ანიჭებდა რესპუბლიკის ყველა მაცხოვრებელს. სტივენ ჯონსის სიტყვით, ეს კანონი თავისი ლოიალურობის ხარისხით აღემატებოდა ლატვიასა და ესტონეთში მიღებულ კანონებს. საქართველოს ტერიტორიაზე დაბადებულ, საქართველოს მოქალაქეობის არ მქონე პირთა შვილებს ასევე ენიჭებოდათ საქართველოს მოქალაქეობა (jones 2013: 92).

„დასვლეთისა და აღმოსავლეთის ზოგადსაკაცობრიო ინტეგრაციული პროცესებისათვის ხელის შეწყობასა და რეგიონში სტაბილური ვითარების უზრუნველყოფაში - საქართველომ უნდა განახორციელოს ამ ორი სამყაროსთვის დამახასიათებელი თვისებების სინთეზი და იკისროს კავკასიის ხალხთა გამაერთიანებლის როლი, რომელიც მას ასევე ისტორიულად ჰქონდა“ - ასეთ წინასაარჩევნო გზავნილს წუნს ვერ დაუდებდნენ ყველაზე განვითარებული დასავლური დემოკრატიის წარმომადგენლებიც. აქედან გამომდინარე ჩანს, რომ საპრეზიდენტო მმართველობის დასაწყისში ზვიად გამსახურდიას ეთნიკურმა პოლიტიკამ მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა და მისი რიტორიკა (ყოველ შემთხვევაში ოფიციალური მაინც) უკვე გამოხატულად სამოქალაქო ხასიათს ატარებდა. ამ პერიოდში მისი შეხედულებები უკვე შეიცავს სამოქალაქო ნაციონალიზმის მნიშვნელოვან ელემენტებს. საპრეზიდენტო მმართველობის დასაწყისი, რომელიც შეიძლება ამავე დროს, მისი ხელისუფლების დასასრულის დასაწყისადაც მივიჩნიოთ, საქმე უკვე სახემეცვლილ ლიდერთან გვქონდა.

ქართული ნაციონალური პროექტის გარეგნული ტრანსფორმაციისა და ზვიად გამსახურდიას მხრიდან სამოქალაქო ნაციონალიზმის კონტურების შექმნის პარალელურად, იზრდებოდა ქვეყანაში შიდა დაპირისპირების საფრთხე. სამწუხაროდ და სავალალოდ 1991 წლის 22 დეკემბერს დაიწყო ე.წ. „თბილისის ომი“, რომელიც 1992 წლის 6 იანვარს გამსახურდიას და მისი მთავრობის მიერ თბილისის დატოვებით დასრულდა. ბედის დაცინვით, საბჭოთა კავშირის დაშლა, რომელიც უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო საქართველოსთვის და რომელიც ერთიანად უნდა ეზეიმა ქვეყანას, დროში დაემთხვა დედაქალაქში დაწყებულ შეიარაღებულ დაპირისპირებას. პოზიტიური და დაძაბული მოვლენებით, წინააღმდეგობებითა და დინამიურობით სავსე გამსახურდიას ხელისუფლების პერიოდი ჩვენი ქვეყნისთვის საბედისწეროდ სამოქალაქო დაპირისპირებით დასრულდა. დამოუკიდებლობის დასაწყისში არსებულმა ნაციონალურმა პროექტმა მარცხი განიცადა. საქართველოს ეროვნულმა მოძრაობამ, ქვეყნის ხელისუფლებამ, პოლიტიკურმა და ინტელექტუალურმა ელიტამ ვერ შეძლო რთული, გარდამავალი პერიოდის სისხლისღვრის გარეშე დასრულება და ქვეყნის განვითარების ახალ ეტაპზე მშვიდობიანად გადასვლა.

1991 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების მიუხედავად, ქვეყანაში განვითარებულმა ეთნო-ტერიტორიულმა კონფლიქტებმა, შიდა დაპირისპირებამ, სამხედრო გადატრიალებამ, სოციალურ-ეკონომიკურმა კრიზისმა ქვეყანა ურთულეს მდგომარეობამდე მიიყვანა. საქართველოში შექმნილი ასეთი მძიმე და არასტაბილური ვითარება შესაბამისად აისახა ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებზე. ქვეყანაში ქაოსმა და კრიმინალმა დაისადგურა. პირველი პრეზიდენტის და მისი ხელისუფლების დამხობის შემდეგ საქართველოს უკანონო პოლიტიკური დაჯგუფებები მართავდნენ, მათ დაიქვემდებარეს პოლიტიკური ძალაუფლების სადავეები და სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული რესურსები. გარდა ამისა, აღნიშნული შეიარაღებული დაჯგუფებები თავიანთი კრიმინალური და ძალადობრივი ქმედებებით საზოგადოებაში დაძაბულობას და გაუცხოებას ამკვიდრებდნენ. ლეგიტიმური და დემოკრატიული უფლებამოსილების მქონე ხელისუფლების არ არსებობიდან გამომდინარე, საზოგადოება და სახელმწიფო კოლაფსის პირას იმყოფებოდა.



ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის შემდეგ ქვეყნის მართვის სადავეები ხელში აიღო სამხედრო საბჭომ, რომლის შემადგენლობაში სამი ადამიანი შედიოდა - „მხედრიონის“ ლიდერი ჯაბა იოსელიანი, ეროვნული გვარდიის სარდალი თენგიზ კიტოვანი და ყოფილი პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა. სამხედრო საბჭომ დაითხოვა პარლამენტი და შეაჩერა კონსტიტუციის მოქმედება. ე.წ. „ტრიუმვირატის“ მმართველობის დრო 1992 წლის მარტის დასაწყისამდე გაგრძელდა, საქართველოში გაღრმავდა ქაოსი და სამოქალაქო დაპირისპირება.

ახალი ხელისუფლების წინაშე მოუგვარებელ პრობლემად რჩებოდა საქართველოს საერთაშორისო იზოლაცია. საერთაშორისო თანამეგობრობა არ აპირებდა ძალადობრივი გზით მოსული ხელისუფლების და შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფოს ცნობას. ამ ვითარებაში, ყოველგვარი დემოკრატიული პროცედურების გარეშე სამხედრო საბჭომ საქართველოში ძალაუფლების გადასაბარებლად საბჭოთა კავშირის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე ჩამოიყვანა, რომელსაც საკუთარი საერთაშორისო კავშირებით და ავტორიტეტით უნდა დაეჩქარებინა საქართველოს აღიარება.

შევარდნაძის საქართველოში დაბრუნების შემდეგ სამხედრო საბჭო გარდაიქმნა სახელმწიფო საბჭოდ, რომელსაც თვითონ ჩაუდგა სათავეში. საშინაო ქაოსში ჩაფლულ ქვეყანაში საზოგადოების ძირითადი მოთხოვნა სტაბილურობა და წესრიგის აღდგენა იყო. 1980-იანი წლების ბოლოს დამოუკიდებლობის იდეისა და რადიკალური ეროვნული მოძრაობის გარშემო გაერთიანებულ მოსახლეობის დიდ ნაწილს იმედები გაუცრუვდა. საქართველოს ისტორიული როლის აღდგენის, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის შუამავლის ფუნქციის დაბრუნებისა და წამყვან სახელმწიფოდ ქცევის ნაცვლად, ქვეყანა საერთაშორისო იზოლაციამ, ქაოსმა და განუკითხაობამ მოიცვა. სწორედ ამგვარმა ვითარებამ შეუქმნა ედუარდ შევარდნაძეს ქვეყნის ხელისუფლებაში ყოფნის ლეგიტიმური საფუძველი. ადამიანი, რომელიც გამსახურდიას ეპოქაში საქართველოს მტრების სიას ედგა სათავეში ქვეყანას მხსნელის რანგში დაუბრუნდა. სტივენ ჯონსი ამ ფაქტს „ისტორიის ირონიას“ უწოდებს, თუმცა იქვე დასძენს, რომ ასეთი ისტორიის ირონია ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისთვის ჩვეული რამ არის (Jones 2013: 105).

საქართველო სამოქალაქო ომისა და მწვავე ურთიერთდაპირისპირების წინაშე იდგა, როდესაც შევარდნამე დაბრუნდა ქვეყანაში. ცხინვალის რეგიონში კონფლიქტი ჯერ არ იყო დასრულებული. სამხედრო გადატრიალების შემდეგ გამსახურდია და მისი მომხრეები იბრძოდნენ დაკარგული ძალაუფლების აღდგენისთვის. დეფაქტო ხელისუფლების წინააღმდეგ წამოწყებულ შეიარაღებულ ბრძოლას გამსახურდია ამართლებდა იმ არგუმენტით, რომ ის იყო ერთადერთი კანონიერად არჩეული პრეზიდენტი, რომელიც უსამართლოდ იქნა დამხობილი ე.წ. „სამხედრო ხუნტის“ მიერ, რომელსაც მხარს (ფარულად თუ ღიად) შევარდნამე უჭერდა (Zurcher, 2007).

საქართველოში გარდა შიდა ფაქტორებით გამოწვეული არეულობებისა, აღსანიშნავია რუსეთის, როგორც გარე ფაქტორის დესტრუქციული და უარყოფითი როლი, რომელიც გამიზნულად ერეოდა ქვეყნის საშინაო საქმეებში. რუსეთს, საბჭოთა მემკვიდრეობად, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ყველაზე დიდი და ყველაზე მძლავრი სახელმწიფო ერგო წილად, რომელსაც ამავე დროს მსოფლიოს ლიდერ სახელმწიფოდ დამკვიდრების ამბიციაც ამოძრავებდა. შესაბამისად, რუსეთი, მიუხედავად სერიოზული პოლიტიკური და ეკონომიკური გამოწვევებისა და სისუსტეებისა, ცდილობდა ხელი შეეშალა საქართველოს დამოუკიდებლობისკენ სვლისთვის.

ედუარდ შევარდნამემ ქვეყანაში შექმნილი გარემოებების გათვალისწინებით ახალი ქართული ნაციონალური პოლიტიკის ძირითად გზავნილად სტაბილურობა აქცია. თუმცა სტაბილურობამდე და წესრიგამდე დიდი დრო იყო - ქვეყანას წინ აფხაზეთის ომი ელოდა. მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილში ჯერ კიდევ დიდი გავლენით სარგებლობდა ჩეჩნეთში გაქცეული ექსპრეზიდენტი გამსახურდია, ასევე დიდ და უკონტროლო ძალას წარმოადგენდნენ ჯაბა იოსელიანის „მხედრიონი“ და თენგიზ კიტოვანის „ეროვნული გვარდია“. საქართველოს ფაქტობრივი მმართველები ძალაუფლების მარტივად დათმობას არ აპირებდნენ. შევარდნამის ხელისუფლება ფორმალურ ხასიათს ატარებდაა ამიტომ სტაბილურობის დამყარებამდე მისი უმთავრესი საზრუნავი რეალური ძალაუფლების მოპოვება და ხელისუფლების ცენტრალიზაცია იყო.

სამშვიდობო ნაბიჯები გადაიდგა ცხინვალის რეგიონში მიმდინარე ეთნოპოლიტიკურ კონფლიქტთან დაკავშირებით. 1992 წლის 24 ივნისს სოჭში,

დაგომისის დასახლებაში, საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძემ და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას „ქართულ-ოსური კონფლიქტების დარეგულირების პრინციპების შესახებ“. ე.წ. „დაგომისის ხელშეკრულების“ თანახმად კონფლიქტის ზონაში შერეული სამშვიდობო ძალები შევიდნენ, სადაც წამყვან ფუნქციას რუსეთის ფედერაციის საჯარისო შენაერთები ასრულებდნენ. ცხინვალის რეგიონში ცეცხლი შეწყდა და კონფლიქტი გაჭიანურებულ ფაზაში გადავიდა, თუმცა რეგიონი საქართველოს ხელისუფლების იურისდიქციის მიღმა დარჩა.

საქართველოს საერთაშორისო იზოლაციის გარღვევა 1992 წლის ივლისში მოხერხდა, როდესაც ქვეყანა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი გახდა.

საერთაშორისო წარმატების პარალელურად, ვითარება უკიდურესად გამწვავდა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში. 1992 წლის 14 აგვისტოს საქართველოს შეიარაღებული ძალების ნაწილები, რკინიგზისა და საგზაო მაგისტრალების დაცვის მოტივით აფხაზეთის ტერიტორიაზე შევიდნენ. ქართულ საჯარისო შენაერთებს აფხაზმა სეპარატისტებმა ცეცხლი გაუხსნეს, რასაც საპასუხო სროლა მოჰყვა. დაიწყო ე.წ. „აფხაზეთის ომი“, რომელიც წელიწადზე მეტ ხანს გაგრძელდა. რთულ სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი საქართველოს სახელმწიფო მძიმე და ხანგრძლივ შეიარაღებულ კონფლიქტში ჩაება. აფხაზ სეპარატისტებს ზურგს რუსეთის ფედერაცია უმაგრებდა. რუსეთი აფხაზეთს ეხმარებოდა არა მხოლოდ პოლიტიკურად და ეკონომიკურად, არამედ სამხედრო თვალსაზრისითაც - შეიარაღებით, ცოცხალი ძალით, სამხედრო სპეციალისტებით (ჯანელიძე, 2009: 212).

ქვეყანაში შექმნილი ქაოსური და არასტაბილური პოლიტიკური ვითარების გამო, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში 1992 წლის 14 აგვისტოს დაწყებული შეიარაღებული კონფლიქტი 1993 წლის 30 სექტემბერს საქართველოსათვის მძიმე შედეგებით დასრულდა. საქართველოს სახელმწიფო და საზოგადოება არ იყო მზად ამ მასშტაბისა და სიმძიმის საომარი ოპერაციებისათვის. ომის წინა ხაზზე ძირითადად, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან, სტიქიურად ჩასული ახალგაზრდობა იბრძოდა, რომელსაც ბრძოლის არანაირი გამოცდილება არ გააჩნდა. სამოქალაქო

ომგამოვლილი და ქაოსში ჩაფლული საზოგადოების ტერიტორიული მთლიანობის იდეის გარშემო გაერთიანება და საყოველთაო მობილიზაცია არ მოხერხდა.

საქართველოს საზოგადოების პოლარიზაცია მთელი სიმძაფრით 1993 წლის სექტემბრის მიწურულს გამოჩნდა. 24 სექტემბერს, როდესაც საომარი მოქმედებები კრიტიკულ ფაზაში შევიდა, ქვეყანაში დაბრუნდა ყოფილი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. კრიტიკულ პერიოდში, როდესაც საქართველოს საზოგადოებას ერთიანობა ყველაზე მეტად სჭირდებოდა, ბრძოლა არა სოხუმის გადასარჩენად, არამედ ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად წარიმართა. სამამულო ომის განწყობა შეიცვალა სამოქალაქო ომის განწყობით. საბოლოოდ, 1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმი დაეცა. აფხაზეთის ომში საქართველოს ახალბედა დამოუკიდებელმა სახელმწიფომ მწვავე მარცხი განიცადა.

აფხაზეთის კონფლიქტის მიმდინარეობისას, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება ედუარდ შევარდნაძის მეთაურობით ცდილობდა ძალაუფლების ინსტიტუციონალიზაციასა და ფორმალური მმართველობის დაწესებას. ყველაზე მწვავე პრობლემა მშვიდობის დამყარება იყო. შერიგება პრიორიტეტული მნიშვნელობის მატარებელი გახდა. საჭირო იყო ეფექტური საშინაო და საგარეო პოლიტიკის გატარება, რაც სტაბილურობის ერთგვარ გარანტიას შექმნიდა.

აფხაზეთის ომის დასაწყისში 1992 წლის 11 ოქტომბერს ჩატარდა საქართველოს პარლამენტის არჩევნები. არჩევნების ჩატარების აუცილებლობას და მთავრობის სასწრაფოდ ფორმირებას შევარდნაძე მარტივი მიზეზით ხსნიდა - ქვეყანას არ ჰყავდა კანონიერი ხელისუფლება. ახალი პარლამენტის და მთავრობის ფორმირებამდე ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების ლეგიტიმაცია საქართველოდან გაქცეულ ზვიად გამსახურდიასა და მისი უზენაესი საბჭოს წევრებს ჰქონდათ. პარლამენტისა და მთავრობის ფორმირებამდე შევარდნაძის ძალაუფლება უფრო ფიქტიური იყო ვიდრე რეალური, ეს უკანასკნელი კი იმ ხალხის ხელში იყო ვინც გამსახურდიას ხელისუფლება ძალისმიერი მეთოდებით დაამხო და საკუთარ დაქვემდებარებაში ჰყავდა მრავალრიცხოვანი შეიარაღებული ძალები.

უწესრიგობით, სამოქალაქო დაპირისპირებებითა და შეიარაღებული კონფლიქტებით დაღლილი საქართველოს მოსახლეობის გარკვეული ნაწილი

შევარდნაძეში მშვიდობის გარანტორს ხედავდა. შევარდნაძეს ხალხმა დაახლოებით ისეთივე მანდატი მიანიჭა, როგორც წელიწადნახევრით ადრე ზვიად გამსახურდიას.

1992 წლის 11 ოქტომბრის არჩევნები თავისი მრავალპარტიულობით უპრეცედენტო იყო საქართველოს ისტორიაში. მიუხედავად მრავალპარტიულობის არჩევნების შედეგებმა სათანადოდ ვერ ასახა საქართველოს ეთნიკური მრავალფეროვნება და უმცირესობებისა და დომინანტი ეთნიკური ჯგუფის თანაფარდობა. საქართველოს პარლამენტში ეროვნული უმცირესობების მხოლოდ 6 წარმომადგენელი მოხვდა.

პოლიტიკური ხელისუფლების ლეგიტიმაციისა და ცენტრალიზაციის გზაზე 1992 წელი უმნიშვნელოვანესი იყო. სახელისუფლებო რეფორმებისა და საკანონმდებლო აქტების პარალელურად, აფხაზეთის რეგიონში ომი მიმდინარეობდა. მიუხედავად ურთულესი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ვითარებისა, საქართველოს ახალი ხელისუფალი თანმიმდევრულად და მიზანმიმართულად ამცირებდა ნახევრად ფორმალური და ნახევრად გასამხედროებული შენაერთების გავლენას და ძალაუფლებას ეტაპობრივად ოფიციალური სტრუქტურების ხელში აქცევდა.

სამოქალაქო იდენტობის ფორმირებისა და უმცირესობათა ინტეგრაციის მნიშვნელობას შევარდნაძე აღიარებდა თავის ძირითად პოლიტიკურ გზავნილებში, სადაც საუბარი იყო დემოკრატიაზე, ადამიანის უფლებებზე, პლურალიზმზე და იმ პრინციპებზე, რასაც ცივილიზებული მსოფლიოს პოლიტიკური მრწამსი და კულტურა აღიარებდა. ყოველივე ამ სიკეთეს იგი ჰპირდებოდა მოსახლეობის ყველა ჯგუფს, საქართველოს ყველა მოქალაქეს, მათ შორის ეროვნულ უმცირესობებს. საშინაო პოლიტიკაში უმთავრესი იყო დემოკრატიული გარდაქმნები, ეროვნული კონსენსუსი და შერიგება, კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება.

ქართული ნაციონალური პროექტის სამოქალაქო ნაციონალიზმის მიმართულებით ტრანსფორმაციას, ასევე ხელისუფლების ცენტრალიზაციას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი 1993 წლის 21 ნოემბერს პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს მოქალაქეთა კავშირის“ დაფუძნებამ. ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ „მოქალაქეთა კავშირი“ საქართველოს რესპუბლიკის ყველა რეგიონის, ეროვნების და სარწმუნოების წარმომადგენელს გააერთიანებდა. „მოქალაქეთა კავშირი“ შეიქმნა

ერთაშორის მშვიდობის საკეთილდღეოდ, რაც ხელს შეუწყობდა აფხაზებთან, ოსებთან, სომხებთან, აზერბაიჯანელებთან, ბერძნებთან, ებრაელებთან, უკრაინელებთან მშვიდობიან და მეგობრულ თანაცხოვრებას. თუმცა, ამასთან ერთად სეპარატიზმის გაღვივების თავიდან ასაცილებლად აიკრძალა რეგიონული პოლიტიკური გაერთიანებების შექმნა. პოლიტიკურ დისკურსში საბაზისოდ იქცა მოქალაქეობის ცნება, რაც განმსაზღვრელ მნიშვნელობას სამოქალაქო იდენტობის ჩამოყალიბების პროცესს ანიჭებდა.

საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს ეტაპზე ქვეყანაში არსებული ეთნიკური მრავალფეროვნება, რომელიც საქართველოს ისტორიულ სიმდიდრეს წარმოადგენდა კონფლიქტების, ეთნოწმენდისა და დესტაბილიზაციის წყაროდ იქცა. 300 000-მდე საქართველოს მოქალაქე აიძულეს დაეტოვებინათ საკუთარი სახლები, ათასობით დახვრიტეს და აწამეს. კულტურებს შორის დიალოგი, რომელიც კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების საქმეში მნიშვნელოვანი ფაქტორია ვერ შედგა საქართველოში.

1995 წელი საქართველოს კონსტიტუციის მიღების წელია, კონსტიტუციის მიღებას წინ უძღვოდა აქტიური დებატები კონსტიტუციის პროექტზე. განსხვავებული დამოკიდებულება გამოიკვეთა ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან და სტატუსთან დაკავშირებით. ყველა თანხმდებოდა, რომ უმცირესობათა საკითხები კონსტიტუციაში სათანადოდ უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი, მაგრამ განსხვავებული დამოკიდებულებები ჰქონდათ ამ საკითხების ასახვასთან დაკავშირებით. ნაწილი ფიქრობდა, რომ სამოქალაქო საზოგადოების შექმნის პროცესში საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების ადამიანი უპირველესად საქართველოს მოქალაქეა, ხოლო შემდეგ ქართველი, აფხაზი, ოსი და .ა.შ. ამ პოზიციის მომხრეები ფიქრობდნენ, რომ კონსტიტუციაში უმცირესობებისთვის ცალკე მუხლის დათმობა საჭირო არ იყო. თუმცა მეორე ნაწილი მიიჩნევდა, რომ შენარჩუნებული უნდა ყოფილიყო 1921 წლის კონსტიტუციის სტანდარტი და უმცირესობათა საკითხი გამოყოფილიყო უნდა ცალკე თავად. მიუხედავად უმცირესობათა უფლებების მხარდაჭერისა ხაზგასმით აღინიშნა, რომ მათი უფლებების განხორციელება წინააღმდეგობაში არ უნდა მოსულიყო საქართველოს სუვერენიტეტთან, ტერიტორიულ მთლიანობასთან და დამოუკიდებლობასთან.

1992-1995 წლებში ქართული ნაციონალური პროექტის სამოქალაქო ტრანსფორმაციას ხელი შეუწყო ძირეულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა. მთავარი აქტები, რომლებმაც სამოქალაქო იდენტობის გაძლიერება განაპირობეს არის საქართველოს კონსტიტუცია და კანონი მოქალაქეობის შესახებ.

ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ აქტიური განხილვის საგანი გახდა მოქალაქეობის შესახებ კანონის მიღება. თავდაპირველად გამსახურდია საქართველოს მოქალაქეობასთან დაკავშირებით გარკვეული შეზღუდვების დაწესებას ითხოვდა და რადიკალურ პოზიციაზე იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, 1991 წლის ივლისში საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი მოქალაქეობის შესახებ, რომელსაც საკმაოდ ლიბერალური ხასიათი ჰქონდა. ამ ფაქტით ქართულმა ნაციონალურმა პროექტმა შეიძინა გარკვეული სამოქალაქო მახასიათებლები და ეს ტენდენცია მიღებულ კანონშიც აისახა. უზენაესმა საბჭომ კანონი კი მიიღო, მაგრამ იმჟამინდელი ხელისუფლება მმართველობის ბოლო თვეებს ითვლიდა და მისი ამოქმედება ვეღარ მოხერხდა.

სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობის გზაზე დამდგარმა ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებამ 1993 წლის 25 მარტს ხელახლა მიიღო კანონი მოქალაქეობის შესახებ. კანონის მიღებისას, რომელიც ცალსახად ლიბერალურ ხასიათს ატარებდა, ხელისუფლებამ მხედველობაში მიიღო საქართველოში არსებული ეთნოპოლიტიკური ვითარება და ქვეყნის მოქალაქეობა მიანიჭა საქართველოს ყველა მაცხოვრებელს, რომლებიც 1993 წლის მარტისთვის ქვეყანაში ცხოვრობდა. საქართველოს ორგანულ კანონში მოქალაქეობის შესახებ მე-4 მუხლში ხაზგასმითაა განსაზღვრული - „საქართველოს მოქალაქენი კანონის წინაშე თანასწორნი არიან განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა (საქართველოს... <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32596?publication=20>). სახელმწიფომ განაცხადა, რომ დაიცავდა თავისი მოქალაქეების უფლებებს, როგორც ქვეყნის ტერიტორიაზე ისე მის საზღვრებს გარეთ.

კანონი მოქალაქეობის შესახებ, დღევანდელი პერსპექტივიდანაც ცალსახად ინკლუზიურია. იმ თვალსაზრისით რომ მოქალაქეობის კანონი არ ითვალისწინებდა

ისეთ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს როგორებიცაა, მაგალითად, სახელმწიფო ენისა და ქვეყნის ისტორიის ცოდნა. ლიბერალიზმის თვალსაზრისით საქართველოს კანონმა მოქალაქეობის შესახებ გაუსწრო ბევრ ევროპულ დემოკრატიულ სახელმწიფოს (Jones, 2007: 260). სამოქალაქო ომის ქარცეცხლში გახვეულ ქვეყანაში მსგავსი კანონი უდავოდ შეიძლება განვიხილოთ, როგორც დოკუმენტი, რომელმაც მნიშვნელოვნად განაპირობა სამოქალაქო ქართული ნაციონალური პროექტის შემდგომი განვითარება. სამოქალაქო ნაციონალიზმის განსაზღვრისას მოქალაქეობის ცნებას ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება. სწორედ მოქალაქის ლოიალურობა სახელმწიფოსა და საზოგადოებაში დამკვიდრებული ფასეულობების მიმართ არის ის ფუნდამენტი, რომელსაც სამოქალაქო იდენტობა უნდა დაეფუძნოს.

ქართული ნაციონალური პროექტის სამოქალაქო ბუნება მნიშვნელოვნად განსაზღვრა 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებულმა საქართველოს კონსტიტუციამ. კონსტიტუციის პრეამბულაში გამოხატულია საქართველოს მოქალაქეთა ნება, დამკვიდრდეს დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, უზრუნველყოფილ იქნას ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი, განმტკიცდეს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სხვა ხალხებთან მშვიდობიანი ურთიერთობა. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია 1921 წლის კონსტიტუციას დაეფუძნა, რითაც ხაზი გაესვა 1918-1921 წლების დემოკრატიული რესპუბლიკის მემკვიდრეობას და სახელმწიფოებრიობის ერთგვარ უწყვეტობას. ასევე, ხაზი გაესვა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმს, რომელიც საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, მათ შორის, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარდა. საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობა, ერთიანობა და განუყოფლობა ასევე დადასტურდა 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტით. კონსტიტუციით სახელი შეეცვალა საქართველოს რესპუბლიკას და ეწოდა საქართველო. ქვეყნის სახელმწიფო ენად განისაზღვრა ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აგრეთვე, აფხაზური.

1995 წლის კონსტიტუციაში, 1921 წლის კონსტიტუციისგან განსხვავებით, სადაც მე-14 თავი სპეციალურად ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს ეძღვნება, არ არის დათმობილი უმცირესობებისთვის ცალკე თავი. თუმცა, ვხვდებით დებულებებს,



რომ საქართველოს ყველა მოქალაქე თანასწორია, განურჩევლად სხვადასხვა სახის კუთვნილებისა. ეს ფაქტი ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს ქართული ნაციონალური პროექტის სამოქალაქო ხასიათზე. ამ გადაწყვეტილებით სახელმწიფომ დაადასტურა საკუთარი მოქალაქეების საყოველთაო თანასწორობა და ცალკე არ გამოყო ამა თუ იმ ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფის განსაკუთრებული უფლება-მოვალეობები. აქედან გამომდინარე ნათლად ჩანს, რომ საქართველოს მოქალაქეობის შესახებ კანონის მიღების შემდეგ მოქალაქეობის საკითხმა 1995 წლის კონსტიტუციაშიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა და შესაბამისად, 1995 წლიდან საქართველოს სახელმწიფოს ოფიციალური პოლიტიკა საბოლოოდ გადავიდა სამოქალაქო ნაციონალიზმის რელსებზე.

ეთნიკური უმცირესობების სფეროში სიახლეები, ჩვეულებრივ, ლიბერალურ და კონსერვატიულ მიმართულებებს შორის წინააღმდეგობებს იწვევს. მაგალითად, პირადობის და დაბადების მოწმობებში „ეროვნულობის“ გრაფის ამოღება ლიბერალური მიმართულების უდავო გამარჯვება და ეთნიკური ნაციონალიზმის სამოქალაქო ნაციონალიზმისკენ მიმართული თვალსაჩინო გამოხატულება იყო. ამ ფაქტმა ეთნონაციონალურად განწყობილი იმ პოლიტიკოსების მწვავე პროტესტი გამოიწვია, მათ შორის ყველაზე აქტიური პარლამენტის მიგრაციისა და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა კომიტეტის თავმჯდომარე გურამ შარაძე იყო, რომელმაც მსგავსი გრაფის გაუქმება საქართველოს ეროვნული კუთვნილების დამამცირებელ, არაპატრიოტულ ნაბიჯად ჩათვალა. რადგან მიაჩნდა, რომ „ჩვენ ვართ პატარა სახელმწიფო, ამიტომ ეროვნულობა არის ის საყრდენი, რომელმაც აქამდე მოგვიყვანა და ამის შემდეგაც უნდა გადაგვარჩინოს. ქართველები უძველესი აბორიგენი მოსახლეობა, რომელმაც რამდენიმე ათასი წლის წინათ შექმნა სახელმწიფო და იგი, იმ დროიდან მოყოლებული, სისხლით, შრომით და ოფლით შეინარჩუნა, გამოატარა და დღევანდლამდე მოიტანა. ეროვნების უარყოფის პირობებში, გაივლის რამდენიმე წელიწადი და აღარ გვეცოდინება, ჩვენთან მცხოვრებ 80 ერსა და ეროვნებას შორის ქართველობა კვლავ უმრავლესობა არის თუ არა“ (გურამ შარაძე „ეროვნების რეკვიზიტები“ <https://guramsharadze.wordpress.com/devnili/erovnebis-rekviziti/> ) ამასთანავე, რადგან საბჭოთა ეპოქაში გაზრდილი მოქალაქეები მიჩვეულები იყვნენ

თავიანთი ეროვნული კუთვნილება სათანადო გრაფასთან დაეკავშირებინათ, საზოგადოებრივი აზრიც ამ საკითხში ეთნონაციონალისტების მხარეს აღმოჩნდა.

1999 წელს საქართველო ევროსაბჭოს წევრი გახდა. ეს ფაქტი შეიძლება მივიჩნიოთ პოსტსაბჭოთა პერიოდში დამოუკიდებელი საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან წარმატებად ევროინტეგრაციისკენ მიმართულ გზაზე. დასავლურ საკანონმდებლო სივრცესთან ადაპტაციის თვალსაზრისით, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო 1999 წლის 14 იანვარს მიღებული კანონი, რომლის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობიდან ამოიღეს ეთნიკური მიკუთვნებულობის აღმნიშვნელი გრაფა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ფაქტმა ქვეყნის პოლიტიკურ და ინტელექტუალურ წრეებში დიდი მღელვარება გამოიწვია. პარლამენტის საიმიგრაციო კომიტეტის თავმჯდომარის - გურამ შარაძის განსაკუთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად კანონი მაინც მიიღეს და დადებითადაც შეფასდა ევროინტეგრაციისა და დასავლურ სისტემასთან ადაპტირების გზაზე. ეს ფაქტი კი, კიდევ უფრო განამტკიცებდა ქართული ეთნიკური ნაციონალური პროექტის სამოქალაქო ნაციონალიზმისკენ ტრანსფორმაციას.

1999 და 2000 წლებში საქართველოში კვლავ გაიმართა საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები. ხელისუფლების სათავეში კი ისევ ედუარდ შევარდნაძე დარჩა.

2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგად კვლავ შევარდნაძის ბლოკმა „ახალი საქართველოსთვის“ გაიმარჯვა. არჩევნების გაყალბების მოტივით ოპოზიციამ საპროტესტო აქციები წამოიწყო და შემლო საზოგადოების მასობრივი მხარდაჭერის მოპოვება. ყველაფერი 2003 წლის 23 ნოემბრის „ვარდების“ უსისხლო რევოლუციით დასრულდა. შევარდნაძე თანამდებობიდან გადადგა, საქართველო კი პოსტსაბჭოთა გარდაქმნების ახალ ეტაპზე გადავიდა.

ერთი შეხედვით, მშვიდობიანი ვარდების რევოლუცია, მაინც არ შეიძლება ჩაითვალოს არჩევნებში დამარცხებული სახელისუფლებო ძალის მიერ, გამარჯვებული პოლიტიკური ძალისთვის შეთანხმებაზე დაფუძნებული ძალაუფლების ლეგიტიმურ გადაცემად, რადგან პროცესი უსისხლო სახელმწიფო გადატრიალებას ჰგავდა, რომელმაც შევარდნაძის რეჟიმი აიძულა გადამდგარიყო. ამ შედეგებამდე შევარდნაძის რეჟიმი უკიდურესად სუსტმა, უუნარო და კორუფციაში

ჩაფლულმა მმართველობამ მიიყვანა, რის გამოც მისმა ხელისუფლებამ დაკარგა ყოველგვარი საშინაო თუ საგარეო მხარდაჭერა.

საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების უკეთესი ინტეგრაციისთვის, ვარდების რევოლუციის გზით ქვეყნის სათავეში მოსულმა მიხეილ სააკაშვილის მთავრობამ ახალი მიდგომები შეიმუშავა. 2004 წლიდან ახალი ნაბიჯები გადაიდგა ამ მიმართულებით, საქართველოს პარლამენტის სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა შეიმუშავა კონცეფცია, რომლის მიზანიც ეთნიკური საკითხების მოგვარების ახალ მიდგომებს ითვალისწინებდა. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ ვარდების რევოლუციის მთავრობამ, სააკაშვილის ლიდერობით, მიიღო გარკვეული ინსტიტუციური და საკანონმდებლო აქტი, რაც მიზნად ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციას ისახავდა. კერძოდ, აღსანიშნავია სახალხო დამცველთან არსებული ეთნიკური უმცირესობების საბჭოს, იგივე ტოლერანტობის ცენტრის შექმნა. საქართველოს პარლამენტმა იმავე წელს დაამტკიცა „ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო-კონვენცია“, რომელიც მიზნად ისახავს ეთნიკური უმცირესობების იდენტობისა და კოლექტიური უფლებების შენარჩუნებას. 2009 წელს მიღებული „კონცეფცია ტოლერანტობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის შესახებ“ ითვალისწინებს სამოქალაქო ინტეგრაციასა და ჯგუფის იდენტობების დაცვას. 2012 წელს ახლად მიღებული „ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია“ ითვალისწინებს უმცირესობათა უფლებების დაცვას და მათი საზოგადოებაში ჩართულობის მნიშვნელობას, თუმცა ამ მიდგომებს აკლდა თანმიმდევრულობა და ამას დამატებული სააკაშვილის ეთნო-ნაციონალისტური რიტორიკაც - განცხადება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის აღდგენის აუცილებლობაზე, თუნდაც ძალის გამოყენებით - ძირს უთხრიდა უკეთესი სამოქალაქო ინტეგრაციის პერსპექტივებს.

მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში, ცხინვალის სეპარატისტულ რეგიონში სიტუაციის ხელახალი ესკალაცია მოხდა. სააკაშვილმა, „სამხრეთ ოსეთის“ თვითაღიარებულ რეგიონში ადგილობრივი პრორუსული რეჟიმის შეცვლა სცადა. კორუფციისა და კონტრაბანდის აღკვეთის საბაზით ერგნეთი, ერთადერთი ბაზარი, რომელიც სეპარატისტული რეგიონის საზღვარზე მდებარეობდა და რომელიც ქართველ და ოს ხალხს შორის კომერციული ურთიერთობის ადგილს წარმოადგენდა

(თუმცა ვერ ხდებოდა ბაზრობის სათანადო სახელმწიფო მონიტორინგი გადასახადების აკრეფისა და ხარისხის უზრუნველყოფის კუთხით), სააკაშვილის და მისი ხელისუფლების განკარგულებით ცალმხრივად და მყისიერად დაიხურა (De Wall 2010:2013). სააკაშვილის მიერ გადადგმულმა ასეთმა დაჩქარებულმა და დაუფიქრებელმა ნაბიჯებმა ცხინვალის რეგიონში მცხოვრები ოსების საქართველოს სახელმწიფოსთან კიდევ უფრო მეტი გაუცხოება გამოიწვია. სანაცვლოდ, თავიანთი უსაფრთხოებისა და ინტერესების უზრუნველსაყოფად ადგილობრივი ოსები რუსეთის სახელმწიფოზე კიდევ უფრო მეტად გახდნენ დამოკიდებულნი. ერგნეთის ბაზარი კონფლიქტის ორივე მხარეს მცხოვრები ჩვეულებრივი მოქალაქეებისთვის მნიშვნელოვან შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა და მისი დახურვა ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობაზე უარყოფითად აისახა.

საგარეო ფაქტორთან მიმართებაში ერთმნიშვნელოვნად აღსანიშნავია რუსეთის გეოსტრატეგიული ინტერესები - რაც გულისხმობს რუსეთის სურვილს, ნებისმიერ ფასად შეინარჩუნოს სამხრეთ კავკასიის რეგიონში მთავარი ქვეყნის სტატუსი. ქართულ და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ ხელისუფლებებს შორის გამწვავებულმა ურთიერთობებმა, საზღვრისპირა სოფლებში გახშირებულმა შეტაკებებმა და ძალადობამ, საშუალება მისცა რუსეთს სამხედრო ინტერვენცია განეხორციელებინა საქართველოს ტერიტორიაზე თავისი მოქალაქეების დაცვის მოტივით. ავტონომიურ ოლქში გამწვავებული დაპირისპირება რუსეთთან ომში გადაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ ომი ევროკავშირის სწრაფი ჩარევით დასრულდა, რუსეთმა ცალმხრივად და თვითნებურად აღიარა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის თვითაღიარებული დამოუკიდებლობა.

საქართველოში მცხოვრებ უმცირესობებთან მიმართებაში ამჟამინდელ სახელმწიფო პოლიტიკას და მის შედეგებს რაც შეეხება, მნიშვნელოვანია ნათლად გამოჩნდეს თუ რამდენად შეძლებს „ქართული ოცნების“ მთავრობა გადადგას ქვეყნის დემოკრატიული კონსოლიდაციისკენ მიმართული ქმედითი ნაბიჯები. მიუხედავად ჯერ კიდევ არსებული მრავალი გამოწვევისა, აღსანიშნავია, რომ 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში ქართული ოცნების მიერ ერთიან ნაციონალურ მოძრაობაზე მოპოვებული საარჩევნო გამარჯვება ბევრის მიერ შეფასდა, როგორც ძალაუფლების მშვიდობიანი ცვლილებისკენ მიმართული დადებითი დინამიკის

მაჩვენებელი (Iutsevuch 2013: 2). მიუხედავად ძალაუფლების მშვიდობიანად გადაცემის შემთხვევისა, ეს ჯერ კიდევ არ გულისხმობს იმას, რომ საქართველომ უკვე შეძლო დემოკრატიის სრულყოფილი კონსოლიდირება. თუმცა, გამოიკვეთა თანმიმდევრული ტენდენცია ევროატლანტიკური კურსის მიმართ, რასაც მოწმობს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას და ვიზა-ლიბერალიზაციას.

ეთნიკური უმცირესობების ქართულ საზოგადოებაში თანაბარი და ადეკვატური მონაწილეობის მიზნით 2015 წელს მთავრობამ მიიღო „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია“, თუმცა საკანონმდებლო გარანტიების მიუხედავად ფორმალურად უზრუნველყოფილი სამოქალაქო თანასწორობა პრაქტიკაში არ ხორციელდება. დღევანდელი ხელისუფლება ეთნიკური უმცირესობების, განსაკუთრებით აფხაზებისა და ოსების მიმართ შემრიგებლურ რიტორიკას იყენებს. ასევე რუსეთთან მიმართებაში გამოყენებული მტრული ენაც დიპლომატიური ენით შეიცვალა. ქართული მხარე, თითქოს, გამოხატავს მზაობას აფხაზებთან და ოსებთან პირდაპირი დიალოგის. ეთნიკური უმცირესობების მიმართ გამოხატული ასეთი შემრიგებლური დამოკიდებულება საჭიროებს უფრო ხელშესახებ საჯარო პოლიტიკად გარდაქმნას.

დღევანდელი გადასახედიდან შეიძლება ითქვას, მიუხედავად დამოუკიდებლობის გზაზე მიღწეული წარმატებებისა, მრავალეთნიკურ ქართულ სახელმწიფოში შიდა სტაბილურობის შექმნა არ მოხერხდა. ქართულ ეთნიკურ ნაციონალიზმს კონფლიქტურად განწყობილი უმცირესობების მხრიდან დაუპირისპირდა ასევე რადიკალური ეთნიკური ნაციონალიზმი. ზვიად გამსახურდიას და მისი პოლიტიკური გაერთიანების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ქართულმა ნაციონალურმა პროექტმა ტრანსფორმაცია განიცადა და სამოქალაქო მახასიათებლები შეიძინა. მიუხედავად ამისა პოსტსაბჭოთა დასაწყისის ქართული ნაციონალიზმი, ბევრი ფაქტორის ზეგავლენით, მაინც ეთნიკური ნიშნით ფორმირდა. ამას ხელს უწყობდა ძლიერი ემოციური ფონი, ხანგრძლივი წყვეტა სახელმწიფოებრიობის ტრადიციაში და პოლიტიკურ ლიდერთა გამოუცდელობა. მრავალრიცხოვან მიტინგებსა თუ დემონსტრაციებზე ხშირად ისმოდა მრავალეთნიკური საქართველოს სახელმწიფოსთვის საფრთხის შემცველი

მოწოდებები. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვან როლს თამაშობდა გარე ძალა, რომელიც საქართველოში მიმდინარე ირაციონალურ პროცესს რაციონალურად მართავდა და ხელს უწყობდა ქვეყნის დეზინტეგრაციასა და სამოქალაქო დაპირისპირებას.

ქართულმა ნაციონალიზმმა, რომელმაც დამოუკიდებლობის მოპოვების პროცესში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, უკვე სუვერენული სახელმწიფოს პირობებში გამაერთიანებლის როლი ვერ შეასრულა. ქვეყანა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა კრიზისმა მოიცვა. ათწლეულების განმავლობაში კონკრეტულ საზღვრებში მოქცეულმა ქართულმა ნაციონალიზმმა ახალ ეპოქაში მთელი ძალით იფეთქა. იდენტობის კრიზისის, დამოუკიდებლობისკენ სწრაფვისა და საკუთარი თავის ძიების პროცესებში მსგავსი რადიკალიზაცია გარკვეულწილად ობიექტური რეალობაა.

## **2.3 საქართველოს ხელისუფლებათა დამოკიდებულება ეთნიკური უმცირესობების მიმართ პოსტსაბჭოთა პერიოდში**

ზვიად გამსახურდიას მმართველობის პერიოდის შეფასება რთულია, თუმცა თამამად შეიძლება ჩაითვალოს ქართული სახელმწიფოებრიობისა და დემოკრატიზაციის საწყის ეტაპად. რადგან გამსახურდიას მმართველობა ძალიან ხანმოკლე აღმოჩნდა, ვერ მოხერხდა მყარი პოლიტიკური სისტემის ფორმირება და მის ირგვლივ საზოგადოების გაერთიანება. გამსახურდიას დროს გამოცხადებული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საერთაშორისო ლეგიტიმაცია მხოლოდ მაშინ მოხდა, როდესაც იგი უკვე პრეზიდენტი აღარ იყო. გამსახურდიას არ მოუხდენია და მმართველობის ხანმოკლე მონაკვეთში, ვერც მოახერხებდა საბჭოური პოლიტიკის საბოლოო დემონტაჟი. გამსახურდიას სახით საქმე გვაქვს იდეალიზმის ერთგვარ გამოვლინებასთან, რომელსაც არ გააჩნდა პოლიტიკური მმართველობის გამოცდილება.

საქართველოს მხრიდან დამოუკიდებლობის მოთხოვნები ქვეყანაში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებში დისკრიმინაციის შიშს იწვევდა და ისინი არც თუ გულდიად შეხვდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას. ხშირად ამის მიზეზად

გამსახურდიას ეთნონაციონალისტურ რიტორიკას ასახელებენ, მაგრამ რეალურად საქმე უფრო ღრმა საკითხთან გვაქვს, ვიდრე მხოლოდ რიტორიკით გამოწვეულ პრობლემასთან. ეთნიკურ ჯგუფთა პოლიტიკური იდენტობა, უპირატესად საერთო საბჭოთა მოქალაქეობასთან იყო დაკავშირებული და, შესაბამისად, ისინი საქართველოს დამოუკიდებლობის იდეისგან დიდი ხნის გაუცხოებულები იყვნენ. მათი გულგრილობა საქართველოს დამოუკიდებლობის მიმართ არცაა გასაკვირი. რადგან საბჭოთა ეთნონაციონალისტური მემკვიდრეობის მატარებლები იყვნენ ეთნიკური ქართველებიც, ისინიც ეჭვის თვალით უყურებდნენ ეთნიკურ უმცირესობებს დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ გზაზე. მაგრამ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გამსახურდიას მმართველობის პერიოდში ეთნიკური კონფლიქტები გარკვეული ინციდენტების გარდა არ მომხდარა. ეთნოკონფლიქტების საბოლოო ესკალაცია შევარდნაძის მმართველობის დროს მოხდა. სწორედ მაშინ აფხაზებთან და ოსებთან ეთნოკონფლიქტების შედეგად ქართულ იურისდიქციას ჩამოშორდა ქვეყნის ისტორიული ტერიტორიები.

ეთნიკური გაუცხოების და გაყოფილი საზოგადოების ჩამოყალიბებაში ხშირად ზვიად გამსახურდიას ადანაშაულებენ, თითქოს ის ცდილობდა უკიდურესად ნაციონალისტური ლოზუნგის „საქართველო ქართველებისთვის“ ფორმალიზებას. ეს მიდგომა არასამართლიანია, რადგან მსგავსი რიტორიკა ისმოდა უკლებლივ ყველა ანტიკომუნისტურად განწყობილი პოლიტიკური დაჯგუფების მხრიდან. ამგვარმა ლოზუნგებმა იკლო გამსახურდიას მხრიდან მმართველობის სათავეში მოსვლისთანავე. არსებობს მოსაზრება, რომ გამსახურდიას მმართველობის საერთაშორისო ლეგიტიმაციის მარცხი სწორედ ეთნონაციონალიზმმა განაპირობა. თუმცა, საერთაშორისო არაღიარება იმდროინდელი მსოფლიო პოლიტიკური რეალობით უფრო იყო განპირობებული, ვიდრე კონკრეტული გამოსვლებით. მაგალითად, საქართველოში არასდროს ყოფილა ლატვიისა და ესტონეთის მსგავსი ეთნონაციონალიზმი. ამ ქვეყნებში მოსახლეობის თითქმის ნახევარი მათი ეთნიკური წარმომავლობის გამო დღემდე მოქალაქეობის გარეშეა. თუმცა, ლატვიელები და ესტონელები ამის გამო არავის უარყვია.

გამსახურდიას ხელისუფლების ძალადობრივად დამხობამ საქართველოს უარყოფითი შედეგები მოუტანა, ქვეყანა საერთაშორისო ქაოსში გაეხვა, რომლიდან

საბოლოოდ გამოსვლა დღემდეც ვერ მოახერხა. შევარდნადის ფასადურმა დემოკრატიულმა მმართველობამ სამოქალაქო მმართველობისა გარკვეული ელემენტები დანერგა და ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ლეგიტიმაციაც მოახერხა. ეს ფაქტიც მაშინდელი მსოფლიო პოლიტიკური ცვლილებების ადეკვატური გამოძახილი უფროა ვიდრე შევარდნადის პირადი კავშირებისა და ავტორიტეტის დამსახურება. ეთნიკური უმცირესობები ფორმალურად აღარ ისმენდნენ შევარდნადის მხრიდან ეთნონაციონალისტურ რიტორიკას, მაგრამ რეალურად საჯარო პოლიტიკური სივრცის მიღმა აღმოჩნდნენ. ფაქტობრივად, შევარდნადის მმართველობას არაფერი გაუკეთებია სამოქალაქო ინტეგრაციისთვის და კომპაქტურად დასახლებული ეროვნული უმცირესობები მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდში თუ ახსენდებოდა ვინმეს. არამართებულია შეხედულება, რომ შევარდნადის ეპოქაში ეთნიკურ ურთიერთობათა ნორმალიზება მოხდა, პირიქით, მან იგი კიდევ უფრო დახურა და სამომავლოდ გადადო.

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების ეიფორიისა და ზოგიერთი პოლიტიკური ჯგუფის ნაციონალისტური რიტორიკის ფონზე, ქვემო ქართლში ვითარება დაიძაბა. 1990-იანი წლების დასაწყისში ქვემო ქართლში, განსაკუთრებით ბოლნისისა და მარნეულის რაიონებში, ქართულ და აზერბაიჯანულ მოსახლეობას შორის დაპირისპირების რამდენიმე ფაქტიც აღინიშნა. დაპირისპირებას სისხლისღვრა არ მოჰყოლია, მაგრამ ქ. ბოლნისში მცხოვრები აზერბაიჯანელები იძულებულნი გახდნენ ქალაქი დაეტოვებინათ. ამ ფონზე ქვემო ქართლში მოქმედი ნაციონალისტური ორგანიზაციების მხრიდან აზერბაიჯანელებით დასახლებულ ქვემო ქართლის რაიონების ტერიტორიაზე „ბორჩალოს ავტონომიის“ შექმნის მოთხოვნებიც გაისმა. ავტონომიის იდეის ავტორები ნაციონალისტურად განწყობილი ჯგუფები იყვნენ, რომლებსაც მოსახლეობაში მხარდაჭერა არ ჰქონიათ. (კომახია 2008: 125-126)

შევარდნადის ეთნიკური პოლიტიკა იმდენად უუნარო იყო, რომ „მის დროს ჯავახეთში მოსახლეობისათვის არ იყო ხელმისაწვდომი საზოგადოებრივი სარგებელი; ამ მხრივ მოსახლეობას ბევრჯერ დახმარებია ახალქალაქში განლაგებული რუსეთის 62-ე სამხედრო ბაზა, რომელიც უზრუნველყოფდა ადგილობრივ ოჯახებს საარსებო შემოსავლით. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო რუსული ვალუტის ხშირ ბრუნვას



რეგიონში და ამ უკანასკნელის კიდევ უფრო ჩამოშორებას დანარჩენი საქართველოსგან. სამხედრო ბაზის არსებობას ადგილობრივი სომეხი მოსახლეობა მეზობელი თურქეთისგან თავდაცვის გარანტადაც თვლიდა. აქედან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის მხრიდან ბაზის დახურვის ყოველი მცდელობა ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობას აწყდებოდა“. (უითლი, 2009: 12)

1990-იანი წლებიდან სამცხე ჯავახეთში არსებობდა ორი ყველაზე მძლავრი ნაციონალისტური შეფერილობის ორგანიზაცია „ჯავახკი“ და „ვირქი“, რომლებიც საკმაოდ დიდი გავლენითა და პოპულარობით სარგებლობდნენ. მათ მიერ ხშირად ხდებოდა ეთიკური ავტონომიის იდეის წამოყენება, თუმცა იგი არ გადაზრდილა ფართე სეპარატისტულ მოძრაობაში. რუსული სამხედრო ბაზის გასვლისა და შევარდნაძის მმართველობის დასრულების შედეგად მათი გავლენა გაცილებით შემცირდა და უკვე აღარ წარმოადგენდნენ წინანდელივით პოლიტიკური პროცესების მთავარ კატალიზატორებს. რაც შეეხება ქვემო ქართლის რეგიონს ედუარდ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში საზოგადოებრივი ორგანიზაცია „გეირათი“ სარგებლობდა პოპულარობით მარნეულისა და ბოლნისის მოსახლეობაში. ვარდების რევოლუციის შემდეგ „გეირათი“ თითქმის გაქრა პოლიტიკური სცენიდან. ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებმა და სამართალდამცავმა სტრუქტურებმა მოიპოვეს სრული მონოპოლია რეგიონში კონფლიქტური სიტუაციების რეგულირების პროცესზე და „გეირათმა“ დაკარგა მთავარი მედიატორის ფუნქცია. (უითლი 2009: 39-40).

2003 წლის ვარდების რევოლუციით ხელისუფლების სათავეში მოსულმა პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ უპირველესად სახელმწიფოს, როგორც ინსტიტუტის რეფორმირება დაისახა მთავარ მიზნად და ეტაპობრივად დაიწყო საჯარო-პოლიტიკური სივრცის ინსტიტუციონალიზაცია. გარკვეულ წარმატებებს მიაღწია კიდევ, მაგრამ მისი სრული რეალიზაცია დღემდე ვერ მოხერხდა. მიუხედავად იმისა რომ საყოველთაო კორუფცია აღმოიფხვრა, პოლიტიკა და პოლიტიკური ინსტიტუტები ჯერ კიდევ შორს დგას სასურველი შედეგისგან. სამოქალაქო საზოგადოება კვლავ ჩანასახოვან მდგომარეობაშია, ძალიან სუსტია და რეალურ გავლენას ვერ ახდენს პოლიტიკური დღის წესრიგის შედგენაზე.

სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში უმცირესობების პოლიტიკური და სამოქალაქო აქტიურობისა და ჩართულობის ერთ-ერთი საზომია მათი არჩევნებში მონაწილეობის ხარისხი. თუმცა, საქართველოში მცხოვრები უმცირესობების წარმომადგენლები არჩევნებში მონაწილეობას ხშირად უფრო სახელმწიფოსადმი მხარდაჭერის რიტუალად განიხილავენ, ვიდრე იმის გარკვევად თუ რომელი პოლიტიკური ძალა უნდა იყოს ქვეყნის სათავეში. სწორედ ამას მოწმობს ისეთი შემთხვევები, როცა ხელისუფლების ცვლილების პარალელურად ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები უპირობოდ გადადიან ახალი ხელისუფლების ბანაკში.

ეროვნული უმცირესობები საქართველოს მოსახლეობის საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ, მაგრამ მათი მონაწილეობა ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ძალიან დაბალია. სამართლებრივი თვალსაზრისით, საქართველოს კანონმდებლობითა და უმცირესობების დაცვის ევროპული კონვენციის გათვალისწინებით, ქვეყანაში მცხოვრები ეროვნული უმცირესობებისთვის თანაბარი გარემოა შექმნილი. თუმცა პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში უმცირესობათა ჩართულობის ხარისხი დაბალია.

არსებული საარჩევნო სისტემა ეროვნულ უმცირესობებს ვერ სთავაზობს მათი პოლიტიკური ჩართულობის სრულ რეალიზაციას. ქვეყნის მთავარ საკანონმდებლო ორგანოში მათი წარმომადგენლობა მეტად დაბალია, რაც თავისთავად განაპირობებს ეროვნული უმცირესობების პოლიტიკური ჩართულობის დაბალ მაჩვენებელს (მარგველაშვილი, წიკლაური, 2017: 9).

საარჩევნო სისტემა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია პოლიტიკურ ცხოვრებაში ეთნიკურ უმცირესობათა ჩართულობის უზრუნველსაყოფად. აქედან გამომდინარე, საჭიროა ქვეყნის პოლიტიკურ-კულტურული რეალობის გათვალისწინება და ოპტიმალური საარჩევნო სისტემის შეთავაზება ქვეყნის ყველა მოქალაქისთვის, მათ შორის ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებისთვის. ყოველივე ეს მოითხოვს პარტიული პოლიტიკის გადახედვას, ასევე პროპორციულ სისტემაზე თანმიმდევრულ გადასვლას. ჩვენ განვიხილავთ სომეხი და აზერბაიჯანელი უმცირესობების პოლიტიკურ და სამოქალაქო პრობლემებს, სადაც გამოკვეთილია სახელმწიფო ენის არცოდნა, რთული სოციალურ-ეკონომიკური ფონი, სამოქალაქო განათლების ნაკლებობა და პოლიტიკური ჩართულობის არ არსებობა.

პრობლემათა ეს კომპლექსი კი, თავის მხრივ მათი პოლიტიკურ და სამოქალაქო პროცესებში აქტიურობისა და წარმომადგენლობითობის დაბალ დონეს განაპირობებს.

საქართველოში, როგორც პოსტსაბჭოთა პოლიტიკურ სისტემაში, ორმაგად მნიშვნელოვანია დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრება, რადგან ისტორიული გამოცდილება დაღს ასვამს მოსახლეობის პოლიტიკურ კულტურას. 1990-იანი წლების შემდგომ ქვეყანაში პოლიტიკურ-კულტურული ლანდშაფტი უკეთესობისკენაა შეცვლილი, თუმცა ეროვნულ უმცირესობებს დღესაც აქვს ინტეგრაციასთან დაკავშირებული პრობლემები.

ქვეყნის წარმომადგენლობითი სტრუქტურების შემადგენლობას და შესაბამისად დემოკრატიის ხარისხს განსაზღვრავს საარჩევნო სისტემის ტიპი და სპეციფიკა. დემოკრატიზაციის პროცესისთვის ორი ყველაზე მრავალრიცხოვანი ეროვნული უმცირესობის ჩართულობა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში მეტად მნიშვნელოვანია. მათი პოლიტიკური აქტივობის დაბალი მაჩვენებელი ინტეგრაციის დაბალ დონეზე მეტყველებს, რაც პოტენციურად შესაძლოა ეთნოსებს შორის კონფლიქტის მიზეზი გახდეს. აქედან გამომდინარე ოპტიმალური საარჩევნო სისტემის ფორმირება ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში სომეხი და აზერბაიჯანელი მოსახლეობის სრულფასოვანი ჩართულობის უზრუნველსაყოფად და ინტეგრაციასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოსაფხვრელად.

დღევანდელი მდგომარეობით საქართველოს საარჩევნო სისტემაში გარკვეული მექანიზმი ჩადებულია ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლობის გასაზრდელად. ცენტრალური საარჩევნო კომისია, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, სახალხო დამცველი და არაერთი სამთავრობო სტრუქტურა, არასამთავრობო სექტორთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ ეროვნული უმცირესობებისთვის შესაბამისი გარემოს შექმნის პროცესში. ცესკო უზრუნველყოფს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების მომზადებას საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებით, საარჩევნო დოკუმენტაციების თარგმნას, საინფორმაციო-სარეკლამო ვიდეორგოლების დამზადებას სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. ასევე, საინფორმაციო შეხვედრების გამართვასა და საარჩევნო

პერიოდში ცესკოს აპარატში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების დასაქმებას. აღსანიშნავია, რომ ცესკო ყოველწლიურად განსაზღვრავს საგრანტო კონკურსის დაფინანსების მიმართულებებს, მათ შორის კონკრეტულად ეთნიკური უმცირესობების ამომრჩეველთა სამიზნე ჯგუფებისთვის. სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა (ცესკოს სწავლების ცენტრი) ამ მიმართულებით 2016 წელს გასცა მიზნობრივი გრანტები 8 ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციაზე და დაფინანსებული პროექტების საერთო ბიუჯეტმა 200 000 ლარზე მეტი შეადგინა (ცესკო - <https://cesko.ge/>).

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის შედეგად ნაკისრ ვალდებულებებს, რომლებიც უმცირესობის სრულფასოვანი ჩართულობის უზრუნველყოფას გულისხმობს. ადამიანის უფლებები, მათ შორის იმ პირთა უფლებების დაცვა, რომლებიც უმცირესობას შეადგენენ ევროკავშირის ერთ-ერთი მთავარი ფასეულობაა. კარგი მმართველობის უზრუნველყოფა და დემოკრატიული პრინციპების პატივისცემა განვითარებული სახელმწიფოს ჩამოყალიბების ერთ-ერთი წინაპირობა და შესაბამისად გასათვალისწინებელია (მარგველაშვილი, წიკლაური, 2017: 13-14).

საქართველოს მთავრობამ ეროვნული უმცირესობების საკითხების მიმართულებით შეიმუშავა ხუთწლიანი სტრატეგიული სამოქმედო გეგმა, რომლის მიზანია სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის უზრუნველყოფა, რათა საქართველოს მოქალაქეებმა, განურჩევლად მათი ეთნიკური წარმომავლობისა, თავიანთი წვლილი უნდა შეიტანონ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში, დემოკრატიული განვითარების პროცესში, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამ სტრატეგიის ერთ-ერთი შუალედური მიზანია პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღებისას ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობის მონაწილეობის წახალისება, რაც ითვალისწინებს შემდეგს: ეროვნულ უმცირესობათა მიერ ინფორმირებული არჩევანის გაკეთების უზრუნველყოფას; საჯარო სამსახურებში ეროვნულ უმცირესობათა მონაწილეობის გაზრდას (სამოქალაქო ... 2015 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2958879?publication=0> );

ცესკოს მიერ განხორციელებული ღონისძიებები - მაგალითად არჩევნებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის თარგმნა, სასწავლო მასალებითა და ტრენინგებით

უზრუნველყოფა უმცირესობებისთვის ხელმისაწვდომ ენაზე ემსახურება საარჩევნო კულტურის განვითარებას საზღვრისპირა რეგიონებში კომპაქტურად დასახლებულ ეთნიკურ უმცირესობებში. საარჩევნო სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს მათ ადეკვატურ პოლიტიკურ ჩართულობას. საარჩევნო უფლებასთან ერთად ყურადღება უნდა მიექცეს პოლიტიკურ პარტიებში ეროვნული უმცირესობების წევრთა გაზრდის საკითხსაც. წინასაარჩევნოდ დარიგებული ბროშურები და ბუკლეტები მათ მშობლიურ ენაზე საკმარისი არ არის მათი პოლიტიკურ ცხოვრებაში სრულყოფილი ჩართულობისთვის.

2008 წლის არჩევნებში პარტიულ სიებში მონაწილე 1767 კანდიდატიდან მხოლოდ 24 იყო აზერბაიჯანელი და 16 სომეხი. თითოეულ მათგანს სიაში ისეთი ნომერი ჰქონდა, რომ მათი არჩევა მხოლოდ თეორიულად თუ იყო შესაძლებელი. მაგალითად: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სიაში 29-ე, 31-ე, 50-ე; რესპუბლიკური პარტიის სიაში მე-9 და მე-11; ხოლო გაერთიანებულ ოპოზიციას ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი 85-ე ნომრად ჰყავდა შეყვანილი, რაც შეეხება მაჟორიტარებს - 434 მაჟორიტარობის კანდიდატს შორის მხოლოდ 15 იყო ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი (10 აზერბაიჯანელი, 4 სომეხი და 1 აფხაზი) (მარგველაშვილი, წიკლაური, 2017: 25).

2012 წლის არჩევნებში კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ თავის პარტიულ სიაში ეროვნული უმცირესობის 9 წარმომადგენელი შეიყვანა. შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული უმცირესობების ინტერესებზე მორგებული სპეციფიკური კამპანიის არ არსებობის პირობებში, ოპოზიციურ პარტიას არ უცდია ეროვნული უმცირესობების ხმების მოზიდვა. ამ არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამების გაანალიზებისას გამოიკვეთა, რომ მხოლოდ ორ პოლიტიკურ გაერთიანებას „ქართულ ოცნებასა“ და „ახალ მემარჯვენეს“ ჰქონდათ თავიანთ საარჩევნო პროგრამებში ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული ცალკეული ქვეთავები. კოალიცია „ქართული ოცნების“ 72 გვერდიან პროგრამაში გამოყოფილი იყო ქვეთავი სახელწოდებით - „სამოქალაქო ინტეგრაცია და ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვა“, ხოლო „ახალი მემარჯვენის“ 108 გვერდიანი პროგრამის ერთ ქვეთავში განხილული იყო ეროვნული უმცირესობების საჭიროებები.

ყოველივე ეს გამოკვეთავს ტენდენციას, რომ პოლიტიკური პარტიებისთვის ეროვნული უმცირესობების თემა პრიორიტეტული არ არის.

„არაერთი საერთაშორისო ორგანიზაცია გარდაუვლად მიიჩნევს საარჩევნო სისტემის რეფორმას საქართველოში. საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდმა (IFES), USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში, შეიმუშავა საარჩევნო სისტემის რეფორმასთან დაკავშირებული რეკომენდაციები, რომლებიც ცვლილების აუცილებლობას გვთავაზობს. შერეული საარჩევნო სისტემა ისტორიული რელიკვიაა და, თუ პოლიტიკურ ელიტას სურს მიიღოს ფუნქციური სახელმწიფო, საარჩევნო სისტემა სრულად რეგიონულ მრავალმანდატიან პროპორციულ რელსებზე უნდა გადავიდეს“ (მარგველაშვილი, წიკლაური, 2017: 29)

დამოუკიდებელი საქართველოს საარჩევნო სისტემების ევოლუცია დიდ ისტორიას არ ითვლის. პირველ თავისუფალ არჩევნებს საფუძვლად დაედო საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის მიერ 1918 წლის 22 ნოემბერს მიღებული „დამფუძნებელი კრების არჩევნების დებულება“, რომელიც საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით, პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე 130 წევრის არჩევას (პარტიული სიებით) ითვალისწინებდა. 1990 წლის 28 ოქტომბერს გარდამავალი საპარლამენტო არჩევნები ხელმძღვანელობდა საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საპარლამენტო, არჩევნების შესახებ“, რომელიც 2021 წელს მიღებულმა საარჩევნო კოდექსმა ძალადაკარგულად სცნო, ხოლო თავად ეს კანონი ძალადაკარგულად გამოცხადდა 2011 წლის 27 დეკემბრის საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ (საარჩევნო ... 2014-2015 წ.წ.: 8-15).

მეოცე საუკუნის დასაწყისის საკანონმდებლო გამოცდილებით, იმ ეროვნულ უმცირესობას, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობდა და საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებისგან შედგებოდა ჰქონდათ ეროვნულ საბჭოში წარმომადგენლის ყოლის უფლება. საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისა და სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებას. სწორედ ამ დროს შეიქმნა ერობები, რომლებიც თვითმმართველობის მეორე დონეს წარმოადგენდა და მაზრებში ფუნქციონირებდა. 1918 წელს ჩატარებული ადგილობრივი თვითმმართველობის

არჩევნები დემოკრატიული, თავისუფალი და მრავალპარტიული იყო. მასში როგორც პარტიული, ისე არაპარტიული დამოუკიდებელი კანდიდატებიც მონაწილეობდნენ. აღსანიშნავია თბილისის მაზრის ყარაიაზის ოლქი, სადაც კენჭს სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები იყრიდნენ, ხოლო ამომრჩეველთა უმეტესობა მუსლიმი იყო, გამარჯვება დამოუკიდებელმა ქალმა კანდიდატმა - ფერი-ხანუმ სოფიევამ მოიპოვა. მაშინ არავინ იცოდა, რომ ეს ახალგაზრდა ქალი მსოფლიოში პირველი მუსლიმი ქალი იქნებოდა, რომელმაც დემოკრატიულ არჩევნებში კენჭი იყარა და გამარჯვებაც მოიპოვა. მისი გამარჯვება გვიჩვენებს, თუ რა ავტორიტეტი და გავლენა ჰქონდა თავის სოფელში, რომ მთელს სოფელს ხმა მიეცა მისთვის - ქალისთვის. ეს არის დემოკრატიული საარჩევნო კულტურის გამოვლინების უმაღლესი დონე.

იდეალური საარჩევნო სისტემის ფორმირება საკმაოდ რთული საკითხია. ქართული პოლიტიკური ელიტა არჩევანის წინაშე დგას, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ საარჩევნო სისტემის არჩევსას გათვალისწინებული და თანაბრად იყოს დაცული საქართველოს მოქალაქეთა უფლებები.

1990 წლის საპარლამენტო არჩევნები შერეული სისტემით გაიმართა - 125 კანდიდატი პროპორციული და 125 მაჟორიტარული წესით აირჩა. 4%-იანი საარჩევნო ბარიერი მხოლოდ ორმა პარტიამ გადალახა, მაჟორიტარული წესით კი მანდატები 5 პოლიტიკურ ერთეულზე გადანაწილდა. ყოველი მომდევნო არჩევნები იმავე პრინციპით იმართებოდა, და დღემდე რეალურად თითქმის არ შეცვლილა, რაც თავისთავად განაპირობებს უცვლელ ტენდენციებს, განსაკუთრებით ეროვნული უმცირესობების ჩართვის მხრივ.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა უმრავლესობა სისტემატიურად დადის არჩევნებზე, რადგან მიაჩნიათ რომ ეს მათი მოვალეობაა. თუმცა არ არიან დარწმუნებულები, რომ მათი ხმა გავლენას ახდენს არჩევნების შედეგებზე. სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება იმით აიხსნება, რომ წლების განმავლობაში არ სრულდება საარჩევნო დაპირებები და პოლიტიკური პარტიები მათთან კომუნიკაციას საარჩევნო პერიოდის დასრულებისთანავე წყვეტენ. ასევე წლების განმავლობაში არ იცვლება ადგილობრივი პოლიტიკური ელიტა, მიუხედავად იმისა თუ რომელი პოლიტიკური პარტია არის ხელისუფლებაში.

ახლანდელი საარჩევნო სისტემა ხელს არ უშლის უმცირესობების ჩართულობას პოლიტიკურ ცხოვრებაში, თუმცა არც უზრუნველყოფს მას. მაჟორიტარული სისტემა არაეფექტურია და უმეტეს შემთხვევაში იგი ხელისუფლებისთვის ძალაუფლების შენარჩუნების ინსტრუმენტია. ეროვნული უმცირესობების პოლიტიკურ ჩართულობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე საუბრისას პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში ყოველთვის ხელისუფლებასთან დაკავშირებული დეპუტატები არიან ჩართული. ხელისუფლებათა ცვლილების მიუხედავად მაჟორიტარული დეპუტატების კანდიდატები არ იცვლება. პროპორციული სისტემა ერთადერთი გზაა თანასწორობის უზრუნველყოფისა და ელექტორატის პოლიტიკური ჩართულობის უზრუნველსაყოფად. საარჩევნო სისტემის პროპორციული მოდელი ხელს შეუწყობს პოლიტიკური პარტიების განვითარებას, ისინი დაინტერესებული იქნებიან მუდმივი წარმომადგენლობები გახსნან რეგიონში.

აღსანიშნავია ისიც, რომ მოსახლეობის პოლიტიკური კულტურის ზრდის უმნიშვნელო ტენდენცია შეინიშნება - ამომრჩევლებმა ბოლო პერიოდში გადაწყვეტილების მიღების ჩვეულ რუტინას გადაუხვიეს და კანდიდატებთან შეხვედრებსა და მათი შეხედულებების გაცნობას ითხოვეს. სხვადასხვა ფაქტორის და უმეტესწილად ენობრივი ბარიერის გამო ეროვნული მედია საშუალებებიდან ინფორმაციას ვერ ღებულობენ. ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა მათ უქმნის განწყობას, რომ საქართველოს დანარჩენ მხარეებში საერთო სიტუაცია უკეთესია ვიდრე მათთან.

ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობაზე საუბრისას ყურადღება უნდა გავამახვილოთ ადგილობრივ თვითმმართველობაზე. რეგიონულ დონეზე მუნიციპალიტეტის საკრებულოებსა და მერიებში მეტ-ნაკლებად დაბალანსებულად არიან წარმოდგენილი ეთნიკური აზერბაიჯანელები და სომხები, რასაც ვერ ვიტყვით თბილისის მასშტაბით, სადაც მათი წარმომადგენლობა მცირეა. მიუხედავად იმისა, რომ დედაქალაქის მოსახლეობის არც თუ უმნიშვნელო ნაწილი ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელია. რეგიონებში ეროვნული უმცირესობები რაოდენობრივად, ასე თუ ისე, იკავებენ ადგილობრივი თვითმმართველობის წამყვან პოზიციებს. ქვეყნის საპარლამენტო ცხოვრებაშიც წარმოდგენილები არიან, თუმცა



უმცირესობების დეპუტატები თითქმის არასოდეს ერთვებიან აქტიურ პოლიტიკურ დისკუსიაში, შესაბამისად, საკანონმდებლო განხილვებსა თუ ზოგადად პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი მონაწილეობის ხარისხი მინიმალურია.

ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში სახელისუფლებო წარმომადგენლების არჩევნებში გამარჯვების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ისინი ხელისუფლებისადმი ნდობის გამოცხადებით გარკვეული დაცულობის შეგრძნებას იღებენ და სურვილი აქვთ სტატუს-კვოს შენარჩუნების. უკანასკნელ საარჩევნო პერიოდში გამოიკვეთა ახალგაზრდა თაობებს სხვა შეხედულებები და გამოჩნდა, რომ სამთავრობო პარტიას ბრმად აღარ უჭერენ მხარს.

საპარლამენტო ცხოვრებაში ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობის ხარისხი ყოველთვის მინიმალური იყო. ეროვნულ დონეზე საკითხის ინიცირებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის კუთხით მათი როლი უმნიშვნელოა. მათი უმრავლესობა არასდროს გამოსულა პარლამენტის სესიებზე იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ქართული ენა - ერთადერთი ენა, რომელზეც საქართველოს პარლამენტი მუშაობს - არ იცოდნენ და არ იციან. მათი სხდომებზე დასწრებაც უფრო ფასადური ხასიათის იყო და არის ვიდრე, საქმიანი. უმაღლეს არჩევით ორგანოებში მათი ჩართულობა ფორმალურად წარმოაჩენს პოლიტიკურ ცხოვრებაში ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობის ფაქტს.

იქ, სადაც ეთნიკური უმცირესობები მჭიდროდ ცხოვრობენ ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე მათი წარმომადგენლობა შედარებით მაღალია. დედაქალაქში კი, სადაც მოსახლეობის თითქმის 10% ეთნიკური უმცირესობებს მიეკუთვნება, მათი წარმომადგენლობა მუნიციპალურ დონეებზე მინიმალურია. თბილისის საკრებულოში ათწლეულებია უკვე დეპუტატი არ არის წარმოდგენილი ეთნიკური უმცირესობებიდან (კანდელაკი, 2020: 5). უმცირესობათა წარმომადგენლობის არასაკმარისი დონე პირდაპირ და უშუალო კავშირშია სამოქალაქო ცხოვრებაში მათი მონაწილეობის დაბალ დონესთან. ბოლო პერიოდში გამოიკვეთა უმცირესობათა სათემო ორგანიზაციების გააქტიურება, მაგრამ ეს ორგანიზაციები მაინც განცალკევებით დგანან ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების სისტემაში. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ეთნიკურ

პრობლემებზე ორიენტირებულ სათემო ორგანიზაციებში საკუთრივ ეთნიკური უმცირესობები ნაკლებად მონაწილეობენ.

განსხვავებული ტენდენციები და შედეგები გვაქვს ეთნიკურ უმცირესობათა ჩართულობის თვალსაზრისით სამოქალაქო და პოლიტიკურ სფეროებში. სამოქალაქო ჩართულობის თვალსაზრისით უკანასკნელი წლების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ეთნიკურ უმცირესობებს სახელმწიფოს მხრიდან პროცესებში მონაწილეობის შესაძლებლობები გააჩნიათ. ხელშეწყობილია კომუნიკაციის, კონსულტირებისა და ადვოკატირების ინსტიტუციური მექანიზმები და ამ თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს სახალხო დამცველის ოფისთან არსებული ეთნიკურ უმცირესობათა საბჭო. აღნიშნული საბჭო 2005 წლიდან ფუნქციონირებს, როგორც ხელისუფლებასა და ეთნიკურ უმცირესობებს შორის მთავარი საკონსულტაციო არხი. ის უფლებამოსილია გააჟღეროს ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებული ნებისმიერი პრობლემა და შეიმუშავოს რეკომენდაციები. ბოლო წლებში საბჭოს დანიშნულება და მანდატი კიდევ უფრო გაფართოვდა და მონიტორინგისა და შეფასების ფუნქციით აღიჭურვა. რის შედეგადაც საბჭო აქტიურად ახორციელებს შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების თითოეული პუნქტის მონიტორინგს.

მნიშვნელოვანი საკონსულტაციო ორგანოა ასევე აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებული ეთნიკურ უმცირესობათა სამოქალაქო ჩართულობაზე ორიენტირებული სტრუქტურა - „მეგობრობის სახლი“, რომელიც ბათუმის მერიის მიერ იქნა დაარსებული 2006 წელს და აერთიანებს აჭარის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ თითქმის ყველა ეთნიკურ გაერთიანებას. ბათუმის „მეგობრობის სახლი“ ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება და აქტივობების ძირითადი ნაწილი მიმართულია აჭარის ეთნიკური მრავალფეროვნების წარმოჩენასა და კულტურული თვითმყოფადობის დაცვაზე. ბათუმში მოქმედ „მეგობრობის სახლში“ 9 დიასპორაა წარმოდგენილი.

სამოქალაქო აქტივობის, საკუთარი პრობლემებისა და მიმდინარე გამოწვევების გამოხატვის შესაძლებლობა საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებს არ ეზღუდებათ. თუმცა, ეთნიკურ უმცირესობათა ორგანიზაციები და სათემო გაერთიანებები ეფექტურად მაინც ვერ ახორციელებენ საქმიანობას, რადგან

სამოქალაქო მონაწილეობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ფინანსურ მხარდაჭერაზე და სწორედ, ფინანსური რესურსების სიმცირიდან გამომდინარეობს მათი არამდგრადობაც.

ეთნიკურ უმცირესობათა მონაწილეობის პოლიტიკურ შემადგენელს რაც შეეხება, აქ სამოქალაქო ჩართულობისგან განსხვავებულ მდგომარეობას ვაწყდებით, რადგან მათი პოლიტიკური აქტივობა, მონაწილეობა და ჩართულობა ზოგადსახელმწიფოებრივ პოლიტიკურ პროცესებში დამოკიდებულია პოლიტიკურ პარტიათა და სხვადასხვა პოლიტიკურ ლიდერთა სუბიექტურ გადაწყვეტილებაზე და მათ კეთილ ნებაზე. პოლიტიკურ არენაზე ეთნიკურ უმცირესობათა არსებობას რომ გადავავლოთ თვალი, აღმოჩნდება, რომ მხოლოდ პოლიტიკური ნების არსებობა არასაკმარისია. ეთნიკური უმცირესობები ყოველი მოწვევის საქართველოს პარლამენტში არინ წარმოდგენილი, თუმცა მათი რაოდენობა და პროცენტულობა მუდმივად მერყეობს.

ეთნიკური უმცირესობების საპარლამენტო ცხოვრებაში მონაწილეობის თვალსაზრისით საინტერესო სურათს გვაძლევს 1990-1991 წლების მოწვევის უზენაესი საბჭოს შემადგენლობა. ეროვნული უმცირესობების წილი მაშინდელ საქართველოში 1989 წლის მოსახლეობის საყოველთაო საკავშირო აღწერის შესაბამისად 29,9 %-ს შეადგენდა, ხოლო მათი წილი უზენაეს საბჭოში - 3,2%-ს. 250 წევრიან უზენაეს საბჭოში 8 დეპუტატი იყო ეროვნული უმცირესობიდან - 2 აზერბაიჯანელი, 2 სომეხი, 2 რუსი, 1 ბერძენი და 1 აფხაზი.

1992-1995 წლების მოწვევის პარლამენტი 235 დეპუტატს ითვლიდა აქედან 6 დეპუტატი წარმოადგენდა ეროვნულ უმცირესობას - 2 სომეხი, 1 აფხაზი, 1 ბერძენი, 1 ქართველი ებრაელი და 1 რუსი.

1995-1999 წლების მოწვევის პარლამენტში კვლავ 235 დეპუტატი იყო და ამათგან 18 ეროვნული უმცირესობიდან - 5 სომეხი, 5 აზერბაიჯანელი, 3 რუსი, 1 ოსი, 1 აფხაზი, 1 ბერძენი, 1 ქართველი ებრაელი და 1 ქურთი/იეზიდო.

1999-2004 წლებში 235 დეპუტატიდან 17 ეთნიკური უმცირესობიდან - 7 სომეხი, 6 აზერბაიჯანელი, 2 აფხაზი და 2 ქართველი ებრაელი.

2002 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებით ეროვნული უმცირესობების წილი საქართველოში 16,25% შეადგენდა, ხოლო 2004-2008 წლის

მოწვევის პარლამენტში მათი წილი 4,7% იყო. 235 დეპუტატიდან 11 წარმოადგენდა ეროვნულ უმცირესობას - 5 სომეხი, 3 აზერბაიჯანელი, 2 ქართველი ებრაელი და 1 ოსი.


2008-2012 მოწვევის პარლამენტში 150 დეპუტატიდან 6 წარმოადგენდა ეროვნულ უმცირესობას 3 სომეხი და 3 აზერბაიჯანელი.

2012-2016 წლებში 150 დეპუტატიდან 8 ეთნიკური უმცირესობიდან - 3 სომეხი, 3 აზერბაიჯანელი, 1 ოსი და 1 ქურთი/იეზიდის.

2014 წლის მოსახელობის საყოველთაო აღწერის მიხედვით საქართველოში ეთნიკური უმცირესობების წილი 13,2%-ია, ხოლო მათი წილი 2016-2020 წლების მოწვევის პარლამენტში 7,3%-ს შეადგენს. 150 დეპუტატიდან 11 დეპუტატი ეთნიკური უმცირესობებიდან იყო - 4 აზერბაიჯანელი, 3 სომეხი, 2 აფხაზი, 1 ქურთი/იეზიდის და 1 ოსი. ეს მაჩვენებელი კი წინა მოწვევებისაგან განსხვავებით შედარებით უახლოვდება ქვეყანაში ეთნიკურ უმცირესობათა საერთო პროცენტულ მაჩვენებელს. ეს ფაქტი პოზიტიური დინამიკის შედეგია უფრო თუ შემთხვევითობა დასკვნის გამოტანა ჯერ ნაადრევია.

დამკვიდრებული პოლიტიკური პრაქტიკით, ასევე ჩანს, რომ წამყვანი პოლიტიკური პარტიები ნაკლებად არიან ორიენტირებულნი პარტიულ საქმიანობაში ეთნიკური უმცირესობების მოზიდვაზე. ამაზე მეტყველებს 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგები. რომლის ანალიზი პარტიული პოლიტიკის ჭრილში განახორციელა ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრმა. უმცირესობათა რაოდენობრივი მაჩვენებლები ნახსენებ არჩევნებში შემდეგნაირად გამოიყურება - 64 მუნიციპალიტეტიდან 21-ში მინიმუმ 1 კანდიდატი ეთნიკური უმცირესობის თემიდანაა არჩეული. აღნიშნულ 21 მუნიციპალიტეტში უმცირესობებს ჯამში 165 დეპუტატი წარმოადგენს. ქვემოთ მოცემული დიაგრამა აჩვენებს იმ საკრებულოების ეთნიკურ შემადგენლობას, რომლებშიც წევრების მინიმუმ 20% ეთნიკურ უმცირესობებს მიეკუთვნება. სულ ასეთი 8 მუნიციპალიტეტია, სადაც ეთნიკური უმცირესობები კომპაქტურად ცხოვრობენ.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობა საკრებულოებში (წყარო: ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრი)



თუმცა ეს დიაგრამა პროპორციულად არ ასახავს ამ რეგიონების ეთნიკურ შემადგენლობას. 2014 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით საქართველოში სულ 6 მუნიციპალიტეტია, სადაც ეთნიკური ქართველები უმცირესობაში იმყოფებიან: ახალქალაქი, ბოლნისი, დმანისი, მარნეული, ნინოწმინდა და წალკა. 2017 წლის არჩევნების შედეგად კი 3 მუნიციპალიტეტში - მარნეულში, ახალქალაქსა და ნინოწმინდაში ეთნიკური უმცირესობები ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლობით ორგანოებში უმრავლესობაში არიან.

რაც შეეხება ცენტრალურ დონეზე აღმასრულებელ ხელისუფლებას უმცირესობათა თემების ინტერესების გამომხატველი წარმომადგენლობა თითქმის არ გვხვდება. ეთნიკური უმცირესობები მხოლოდ საშუალო და დაბალი რგოლის პოლიტიკურ თანამდებობებს იკავებენ.

სომხებისა და აზერბაიჯანელების პოლიტიკური აქტივობის შედარებისას განსხვავებულ ვითარებას ვაწყდებით ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად

დასახლებულ რეგიონებსა და მუნიციპალიტეტებში. ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების შემთხვევაში მართვის სადავეები მთლიანად მინდობილია ადგილობრივი სომხური ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებისთვის, რომლებიც იკავებენ როგორც მერის, მერის მოადგილეების თუ სხვა საკვანძო თანამდებობებს. ქვემო ქართლის რეგიონის შემთხვევაში კი ადგილობრივი ეთნიკური აზერბაიჯანული თემი მხოლოდ ფრაგმენტულად ინაწილებს ადგილობრივ ხელისუფლებას. ახალქალაქისა და ნინოწმინდისგან განსხვავებით ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტებში ეთნიკურ აზერბაიჯანელებს არასოდეს დაუკავებიათ მერის თანამდებობა.

ეროვნულ უმცირესობათა სამოქალაქო და პოლიტიკური ჩართულობის ამაღლებას ისახავს მიზნად შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივა, რომელიც ითვალისწინებს საჯარო სექტორში ეთნიკურ უმცირესობათა სტაჟირების პრაქტიკის დანერგვას. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სხვადასხვა საჯარო დაწესებულებაში (სამინისტროები ადგილობრივი საჯარო უწყებები და სხვა) კონკურსის წესით შერჩეული ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ახალგაზრდების სტაჟიორად დასაქმება.

სამცხე ჯავახეთისა და ქვემო ქართლის კომპაქტურად დასახლებული მოსახლეობის უმეტესობა სახელმწიფო ენას, რომ ვერ ფლობს ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. ენის არ ცოდნა ობიექტურად ეღობება პოლიტიკურ და სამოქალაქო ცხოვრებაში უმცირესობების რეალურ მონაწილეობას და ამცირებს მათ შანსებს იყვნენ წარმატებულები. უმცირესობის წარმომადგენლები მსგავს რეგიონებში ნაკლებ ინფორმირებული არიან პოლიტიკური ცხოვრების თაობაზე. დამატებით სიძნელეებს აწყდებიან სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობაში და თავს უმრავლესობისგან გაუცხოებულად გრძნობენ. მეორე მხრივ, ის ფაქტი, რომ მოსახლეობის დიდი ჯგუფები ქართულ ენას ვერ ფლობენ ქართული მოსახლეობის გაღიზიანებასა და უნდობლობას იწვევენ, ჩნდება ეჭვი, რომ უმცირესობების წარმომადგენლები არასაკმარისად ლოიალურები არიან ქართული სახელმწიფოს მიმართ.

სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები სომხები თავიანთ ენას იდენტობის ყველაზე მნიშვნელოვან მახასიათებლად ასახელებენ, ამიტომ ქართული ენის დომინირებას და გავრცელებას რეგიონში ასიმილაციის წინაპირობად მიიჩნევენ. ასევე, გავრცელებული მოსაზრებით, სომხები ქართველებისა და თურქი მესხების რეგიონში დასახლებას არც თუ დადებითად ეკიდებიან. ისტორიულ სამშობლოში თურქი მესხების რეპატრაცია ოფიციალურ ვალდებულებად საქართველოს მთავრობამ 1999 წელს აიღო, ევროსაბჭოში გაწევრიანების შემდეგ დადგა აღნიშნული საკითხი დღის წესრიგში. საქართველოს დაეკისრა პასუხისმგებლობა შეექმნა სამართლებრივი ჩარჩო, რომლის მეშვეობითაც მესხები შეძლებდნენ ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებას, საზოგადოებასთან ინტეგრაციასა და საქართველოს მოქალაქეობის მიღებას. ევროსაბჭოს წინაშე აღებული ვალდებულებების მიუხედავად შევარდნაძის დროს მესხების რეპატრაციის კუთხით პრაქტიკულად არაფერი გაკეთებულა. საკანონმდებლო ბაზის შექმნაზე მხოლოდ 2007 წელს დაიწყო საქართველოს პარლამენტმა მუშაობა და მიიღო კანონი „რეპატრაციის შესახებ“. თუმცა კანონი ზედმეტად ბიუროკრატიულ ბარიერებს უწესებდა რეპატრაციის სტატუსის მაძიებლებს. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ საქართველო ამ პროცესს უყურებს როგორც საერთაშორისო საზოგადოების წინაშე აღებულ ვალდებულებას და არა როგორც ეროვნულ საქმესა და მორალურ იმპერატივს.

ევროკავშირის სპეციალური მრჩეველი საქართველოში თომას ჰამარბერგი თავის 2013 წლის ანგარიშში რეპატრაციის საკითხთან დაკავშირებით სწერს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს მესხეთის რეგიონში (დღევანდელი სამცხე-ჯავახეთი) სტალინის მიერ 1944 წელს მათ დეპორტაციამდე მცხოვრები მოსახლეობის რეპატრაციას. თუმცა, ბუნებრივია, რომ რეპატრიანტების დაბრუნებამ შეიძლება გარკვეული დამაბულობა გამოიწვიოს. ამიტომ აუცილებელია ყველა ძალისხმევის მიმართვა რთული ბიუროკრატიული პროცედურების გამარტივებისა და სწრაფი დამლევისაკენ, ასევე იმისაკენ, რომ უზრუნველყოფილი იყოს დაბრუნებულთათვის სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ინტეგრაციის პროგრამები. გარდა იმ პოზიტიური გავლენისა, რომელსაც მათი დაბრუნება იქონიებს ამ ადამიანებზე, ამ პროცესს უდიდესი სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. საქართველოს ხელისუფლებამ უნდა წარმოაჩინოს

მესხეთის მოსახლეობის რეპატრაცია როგორც სამაგალითო მოვლენა და დაამტკიცოს, რომ მას ხელეწიფება და აქვს ნება იმისა, რომ შეძლებისდაგვარად გამოასწოროს წარსულში ჩადენილი დარღვევები, მიუხედავად იმისა, თუ რა კონტექსტში მოხდა ეს დარღვევები. მიმდინარე საერთაშორისო/ევროკავშირის დაფინანსების გარდა, ამ მიზნისთვის უნდა გამოიყოს საჯარო სახსრებიც (ჰამარბერგი, 2013: 48).

ჯავახეთში მცხოვრები სომხებისგან განსხვავებით, რომლებიც პოლიტიკური საკითხებითაც არიან დაინტერესებულნი, ქვემო ქართლში მცხოვრები აზერბაიჯანელები მეტწილად ეკონომიკური პრობლემებით შემოიფარგლებიან. მათი მთავარი საზრუნავი მიწების განაწილების საკითხია, რადგან შემოსავლის ძირითადი წყარო აზერბაიჯანულ თემში სოფლის მეურნეობაა. 2005 წელს სადახლოს ბაზრის, კონტრაბანდის აკრძალვის მოტივით დახურვის შემდეგ აზერბაიჯანულ მოსახლეობას ვაჭრობის შესაძლებლობაც შეეზღუდა. საბაჟო წესების გამკაცრების შედეგად 2006 წელს აზერბაიჯანულმა მხარემ წითელი ხიდის ბაზარიც დახურა. ამ ბაზრობების დახურვამ აზერბაიჯანელები კიდევ უფრო დამოკიდებული გახადა მიწათმოქმედებაზე.

საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები აზერბაიჯანელებისა და სომხების მიდგომები, პოზიციები და დამოკიდებულებები ქართული სახელმწიფოს მიმართ ერთმანეთისაგან განსხვავებულია. თუმცა, ორივე ეთნიკური ჯგუფი ქართულ სახელმწიფოს უმეტესად სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გამო უჩივიან და არ თვლიან, რომ ეთნიკური კუთვნილების გამო დისკრიმინაციას განიცდიან. მიუხედავად ქართველებსა და ეროვნულ უმცირესობებს შორის არსებული მეგობრულ-მეზობლური ურთიერთობებისა, ეს არ შეიძლება საკმარისად ჩაითვალოს საჯარო პოლიტიკურ დონეზე ინტეგრაციისა და საერთო ინტერესების ჩამოყალიბების საქმეში.

პოსტსაბჭოთა საქართველოს სხვადასხვა ხელისუფალთა მხრიდან ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებაში მიდგომები განსხვავებულია. ზვიად გამსახურდიას დროინდელი ახალბედა დამოუკიდებელი საქართველოს ეპოქიდან მოყოლებული ბევრი რამ შეიცვალა ეთნონაციონალისტურ მიდგომებთან და რიტორიკასთან დაკავშირებით. ედუარდ შევარდნაძის დროს უმცირესობათა მიმართ შედარებით



მულტიკულტურული შეხედულებით მიდგომა მაინც ზედაპირული დარჩა, რადგან ეთნიკური პოლიტიკა ფასადურ ხასიათს უფრო ატარებდა, ვიდრე შედეგზე ორიენტირებულს. სასურველ შედეგს საზოგადოების მრავალფეროვან სოციალურ ჯგუფთან მიმართებაში, გარკვეული პოზიტიური ნაბიჯების მიუხედავად, ვერც მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებამ მიაღწია. „ქართული ოცნების“ მიერ ეროვნული უმცირესობების მიმართ გატარებული პოლიტიკა ფორმალურ დონეზე შეიძლება პროგრესზე ორიენტირებულ მცდელობად ჩაითვალოს, მაგრამ რეალურად მაინც ბევრი არაფერი შეცვლილა. დღესაც ეთნიკური უმცირესობები ქართულ საზოგადოებაში სრულფასოვნად ინტეგრირებული არ არიან. სახელმწიფო თეორიულად განაგრძობს ეთნიკური უმცირესობების მხარდაჭერას, მაგრამ სინამდვილეში ეს სიმბოლურ ხასიათს უფრო ატარებს ვიდრე პრაქტიკულს.

### თავი III

#### ეთნიკურ უმცირესობათა მდგომარეობა თანამედროვე

##### საქართველოში

მრავალეთნიკურ სახელმწიფოში, რომელიც საყოველთაოთ მიღებულ და აღიარებულ დემოკრატიულ პრინციპებს იზიარებს ეთნიკურ ჯგუფებს შორის, მშვიდობიანი თანაცხოვრების უზრუნველყოფა და შესაბამისად, ერი-სახელმწიფოს ჩამოყალიბება სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის განხორციელების გზითაა შესაძლებელი. სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში, ქვეყნის მოქალაქეები საერთო სამოქალაქო ფასეულობათა სისტემის მხარდამჭერები არიან, რომელიც მორგებული იქნება არა ერთ კონკრეტულ ეთნიკურ ჯგუფზე, არამედ მთლიანად სახელმწიფოზე.

ქართული სახელმწიფოებრიობის პირველივე ეტაპზე აღიარებული და ხაზგასმული იყო საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების უფლებები და როლი საზოგადოებაში. ამაზე ნათლად მეტყველებს 1921 წლის კონსტიტუცია სადაც ცალკე თავია მიძღვნილია ეროვნულ უმცირესობებზე. საბჭოთა უღელიდან თავის დაღწევის და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ 1995 წელს მიღებულ

კონსტიტუციაში ეროვნული უმცირესობებისთვის არ არის მიძღვნილი ცალკე თავი, თუმცა ნათლად ხაზგასმულია ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის დაუშვებლობა.

კერძო სფეროში ადამიანს არავინ უშლის თავი გამოავლინოს როგორც განსხვავებული ენის, რელიგიის, კულტურის მატარებელმა, მაგრამ, საჯარო სფეროში, ინდივიდის ეს განსხვავებულობა არ უნდა იყოს თვალშისაცემი. სახელმწიფო, და საზოგადოება თავისი მოქალაქის ეთნიკურ წარმომავლობაზე მეტად მის შესაძლებლობებს უნდა უთმობდეს ყურადღებას - ქვეყნის ყველა მოქალაქეს თანაბარი უფლებები და შესაძლებლობები უნდა ჰქონდეს. მაგრამ ასეთი იდეალური ლიბერალური შეხედულების რეალობაში დამკვიდრება მარტივი ნამდვილად არ არის.

მსგავსი ეთნიკური სიბრმავე შეიძლება გახდეს ასიმილაციის წინაპირობაა, რაც ნიშნავს, რომ ადამიანი აღარ არის განსხვავებული და ის ლაპარაკობს, იქცევა და გამოიყურება ისე, როგორც უმრავლესობის წევრები. ასიმილაციის შედეგად განსხვავებული კულტურის წარმომადგენელმა შეიძლება დაივიწყოს კიდევ თავისი უცხო წარმომავლობა, ან თავის ახალ იდენტობასთან შედარებით მეორეხარისხოდ ჩათვალოს. თუმცა, ასიმილაციის პრობლემა მარტო იმაში არ არის, რომ უმცირესობას შეიძლება არც სურდეს ასიმილირება ე.ი. არ სურდეს დაკარგოს თვითმყოფადობა და დომინანტ მასაში გაითქვიფოს, არამედ, პრობლემაა ისიც, რომ უმრავლესობის რიგები ძირითად შემთხვევაში არ არის გახსნილი „სხვების“ მისაღებად, მაშინაც კი, როცა მათ სურთ გახდნენ „ჩვენები“. მიუხედავად საყოველთაოდ აღიარებული ლოიალობისა ქართული საზოგადოება გარკვეულწილად ასეთი მაგალითია. ფაქტობრივად ქვეყანაში არ იზღუდება არავის უფლებები, თუმცა საზოგადოების მიმღებლობა განსხვავებული კულტურის მიმართ კონკრეტულ ჩარჩოებშია მოქცეული.

დასავლური, დემოკრატიული ქვეყნების უმრავლესობაში ითვლება, რომ ძალიან დიდი საფასურია ასიმილაციის მოთხოვნა თანაბარი უფლებების მიღების სანაცვლოდ. სწორედ ამიტომ, ასიმილაციისაგან განსხვავებული ცნების, რაღაც ახალის დამკვიდრება გახდა საჭირო და ასეთი ცნება გამოდგა ინტეგრაცია, რომლის თანახმადაც განსხვავებული წარმომავლობის ადამიანები უნდა გახდნენ მთელის ნაწილი და ამასთან ერთად განსხვავებულადაც დარჩნენ ე.ი. შეინარჩუნონ თავიანთი კულტურული იდენტობა და თვითმყოფადობა.

„ინტეგრაციის“ ცნება მხარეებს შორის შეთანხმებას ნიშნავს - ეს არის ერთიანობის, თანასწორობისა და თვითმყოფადობის უფლება. თანამედროვე საზოგადოებებს პრაქტიკულად არც აქვთ სხვა გამოსავალი, თუ არა ამ კომბინაციის მცდელობა. ეთნოსებს შორის ურთიერთობა მეტ-ნაკლებად პრობლემატურია ნებისმიერი მრავალეთნიკური საზოგადოებისთვის. დასავლური ქვეყნების შემწყნარებლური და ტოლერანტული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ დროთა განმავლობაში ეს პრობლემები მოგვარების ნაცვლად, უფრო მეტად მწვავედება.

საქართველოს შემთხვევაში პროცესების წარმართვა ყველა მხარეზეა დამოკიდებული - პოლიტიკურ ელიტაზე, ქართულ საზოგადოებაზე, ეთნიკურ თემებზე. ქართულმა საზოგადოებამ და ეთნიკურმა უმცირესობებმა მეტი ღიაობა უნდა გამოავლინონ ერთმანეთის მიმართ. ნებისმიერ ადამიანს, მისი ეთნოკულტურული საფუძვლებიდან დამოუკიდებლად საჯარო სფეროში მონაწილეობისა და კონკურენციის - სამუშაოს მიღების, კარიერის და სხვა ჩართულობის - სხვებთან თანაბარი შანსი უნდა ჰქონდეს. მეორე მხრივ კი იმ ადამიანთა ჯგუფებს, რომლებიც თავს განსხვავებულ ეთნიკურ, ნაციონალურ ჯგუფს აკუთვნებენ, სხვა ენაზე ლაპარაკობენ, სხვა რელიგია აქვთ, სხვებად სურთ დარჩენ და არ სურთ გაითქვიფონ უმრავლესობაში უნდა ჰქონდეთ ამის შესაძლებლობა. ეს მიზნები სრულებით ლეგიტიმური და გამართლებულია და არც ერთი მათგანის უფლებელყოფა არ შეიძლება, თუმცა სწორეთ მათი შეთავსება წარმოადგენს უმთავრეს პრობლემას.

კონკრეტული სახელმწიფოს მოქალაქეებში სამოქალაქო ცნობიერებისა და სამოქალაქო თვითშეგნების ჩამოყალიბება სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის შემადგენელი კომპონენტია, რადგან სამოქალაქო თვითშეგნებაში იგულისხმება საკუთარი და სხვისი უფლებების და მოვალეობების ცოდნა და დაცვა. სამოქალაქო თვითშეგნების არსებობა გულისხმობს სახელმწიფოში არსებული წესების და კანონების მორჩილებასაც. შესაბამისად, სამოქალაქო საზოგადოების წევრი თავად, შინაგანად უნდა გრძნობდეს კანონის დაცვის აუცილებლობას. რაც უფრო მეტია სახელმწიფოს მხრიდან მოქალაქეების კანონისადმი მორჩილებაზე იძულება მით ნაკლებია ამ საზოგადოებაში სამოქალაქო იდენტობის ხარისხი (სართანია, 2005: 5).

სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესი გულისხმობს სამოქალაქო თვითშეგნების ამადლებას არა მარტო ეთნიკურ უმცირესობებში, არამედ დომინანტ მოსახლეობაში. ქვეყანაში სამოქალაქო ინტეგრაციული პროცესების დინამიურ ხასიათს მნიშვნელოვნად განაპირობებს ეთნიკური უმრავლესობის მიერ ახალი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების აუცილებლობის გააზრება. შესაბამისად, სამოქალაქო ინტეგრაცია გულისხმობს ქვეყნის მოსახლეობის ყველა სოციალური ფენის, ყველა ეროვნების და სარწმუნოების წარმომადგენლის ჩართვას ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში.

სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის მიზანია ქვეყანაში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებში საერთო სამოქალაქო იდენტობის ჩამოყალიბება. ინდივიდი არ უნდა იყოს მხოლოდ მექანიკურად მიკუთვნებული კონკრეტული პოლიტიკური ერთობისადმი, არამედ მას უნდა გააჩნდეს ორგანული კავშირის გრძნობა დანარჩენი თანამოქალაქეებისადმი, ტერიტორიისადმი, სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი და ატრიბუტებისადმი.

საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესი შესამჩნევად დაიძრა 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ. ყველაზე მრავალრიცხოვანი უმცირესობებით, სომხებითა და აზერბაიჯანელებით, დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფოსა და საზოგადოების ურთიერთობის ინტეგრაციის პროცესმა გამოიღო როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური შედეგები. პოზიტიური თვალსაზრისით, ხელისუფლებამ დაიწყო ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც გამოიხატა გზებისა და სკოლის შენობების რეაბილიტაციაზე რეგიონებში, ასევე მიიღო ქმედითი ზომები უმცირესობათა ჯგუფებისთვის ქართული ენის სწავლების დონის ასამაღლებლად. მეორე მხრივ, ხელისუფლებამ თითქმის არაფერი მოიმოქმედა ავტორიტარული ძალების შესასუსტებლად და დემოკრატიის რეალური მეთოდების დასამკვიდრებლად.

საქართველოში კომუნიზმის შემდგომ სახელმწიფოებრივმა მშენებლობამ ვერ უზრუნველყო და ვერ შეძლო სახელმწიფოს ორი უმთავრესი ფუნქციის ფორმირება: ტერიტორიული სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა და საზოგადოების ერთიანობა.

ფაქტობრივად, დომინანტი და უმცირესობაში მყოფი ჯგუფები ერთ სოციალურ სივრცეში ორ, ერთმანეთისგან გაუცხოებულ, ჩაკეტილ და პარალელურ საზოგადოებებს ქმნიან, რომელთა შორისაც სოციალური მობილობის და კომუნიკაციის დონე დაბალია. ამას ემატება ის ფაქტიც, რომ კომპაქტურად დასახლებულ ეთნიკურ ჯგუფთა განსახლების არეალი ძირითადად სასოფლო ტიპის დასახლებებია და სუსტი ურბანიზაციით ხასიათდება. ურბანული ცენტრები კი თავისი არსით მობილობის მაღალ დონეს და ქმედით სოციალურ ურთიერთობებს უზრუნველყოფს. ის ეთნიკური ჯგუფები, რომლებიც შედარებით მსხვილ ურბანულ ცენტრებში არიან განსახლებულნი, ოღონდ დისპერსიულად (მაგ. თბილისში, ქუთაისში ან ბათუმში) ქართულ სახელმწიფოსთან ადაპტაციის უფრო მაღალი ხარისხით გამოირჩევიან. ეს თავის მხრივ აისახება ეთნიკურ უმცირესობათა ყოფასა და განწყობებზე. მით უმეტეს, რომ კომპაქტურად მცხოვრები უმცირესობები სასაზღვრო რეგიონებში მოსახლეობენ და პირდაპირი სახელმწიფო საზღვარი ჰყოფს საკუთარ ეთნიკურ სამშობლოსგან და მოცემულ ეთნიკურ სამშობლოსთან მათი ლოიალობა და კომუნიკაცია უფრო ინტენსიურია მათ პოლიტიკურ სამშობლოსთან შედარებით. პოლიტიკური სამშობლო, სამწუხაროდ ვერ ახერხებს მათში ეთნიკურ იდენტობასთან ერთად ძლიერი, სამოქალაქო იდენტობის ფორმირებას. (დუნდუა, 2009: 132-134 )

ეთნიკური გაუცხოება და შესაბამისად ეთნიკური პოლიტიკის მთავარი გამოწვევები რამდენიმე დონეზე არსებობს და არ მოიცავს მხოლოდ ერთ რომელიმე სფეროს. ეს არის სოციალური კარჩაკეტილობა და დაბალი მობილობა. თვალშისაცემია კულტურული და საინფორმაციო გაუცხოება. კულტურული მიღწევების მიმართ უინტერესობა ერთ კულტურულ სივრცეში, კულტურულად გაუცხოებული რამდენიმე ქვეკულტურის არსებობას იწვევს. ცხადია ასევე, სამოქალაქო და პოლიტიკურ-ინსტიტუციურ დონეზე გაუცხოება. სუსტი დემოკრატიული პოლიტიკური ინსტიტუტები ვერ ახერხებენ ეთნიკურ ჯგუფთა ერთიან საზოგადოებად გარდაქმნას. სუსტი დემოკრატიული პოლიტიკური ინსტიტუტების ტენდენციები, ვერ აყალიბებს მძლავრი პოლიტიკური მონაწილეობის და პოლიტიკური ჩართულობის საერთო სივრცეს.

კომპაქტურად დასახლებული ეთნიკური უმცირესობები, რომლებიც საკუთარი კულტურული იდენტობის შენარჩუნებას ცდილობენ, ნაკლებად სავარაუდოა, რომ კეთილგანწყობით შეხვდნენ საკუთარი კულტურული იდენტობის შესაძლო დაკარგვას. არც ეთნიკურად ქართველები იქნებიან მთლად სიმპათიით განწყობილები ეთნიკური უმცირესობების კულტურულად სრულ „ქართველიზაციაზე“. შესაძლოა მომავალში, მშვიდობიანი თანაარსებობის პერსპექტივებში, მოხდეს კიდევ ეთნიკური უმცირესობების კულტურული ასიმილირება ეთნიკურ ქართველებთან (როგორც ეს ხშირად მომხდარა კიდევ დისპერსიულად განსახლებული ეთნიკური უმცირესობების შემთხვევაში), მაგრამ მოცემულ ეტაპზე მკაცრად ასიმილაციისკენ სწრაფვა აშკარად ნაკლებად ლეგიტიმური იქნება მოსახლეობის უდიდესი ნაწილის წარმოდგენებში და იგი პრაქტიკულად ვერც განხორციელდება. მაგალითად, გასული საუკუნის 80-იან წლებში სომხების მიერ გვარების ქართულად გადაკეთებას არც თუ დადებითი შეფასება მოჰყვა ქართული საზოგადოების მხრიდან.

ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაციის პროცესი პირველ რიგში სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობით უნდა წარიმართოს და მასზე უნდა აიგოს შემდგომში მათი საჯარო-პოლიტიკურ სივრცეში ინტეგრაციის სტრატეგია. გაუცხოება და გახლეჩილობა უპირველესად სოციალური თანამშრომლობის და დაახლოების დონეზე არსებობს და სწორედ მისი შედეგია სამოქალაქო-პოლიტიკური ინტეგრაციის ნაკლებობა. სოციალური გახლეჩილობის და უნდობლობის პირობებში შეუძლებელია ეთნიკური უმცირესობების სრულფასოვანი ჩართულობა მოხერხდეს ქვეყანაში მიმდინარე პროცესში. სოციალური თანამშრომლობა და ინტეგრაცია წარმოადგენს იმ საფუძველს, რომლის გადალახვაც გაცილებით გაადვილებს ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ჩართულობას.

### 3.1 ეთნიკური უმცირესობათა ინტეგრაციის ინსტიტუციური

#### ჩარჩოს ფორმირება

მრავალეთნიკური სახელმწიფოების ერთი-ერთი უმთავრესი ამოცანაა ისეთი საერთო სივრცის შექმნა, სადაც ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა ეთნიკურ ჯგუფს მოცემული ქვეყნის მიმართ ლოიალობა და მისი თანაზიარობის ორგანული შეგრძნება გაუჩნდება. თუ კი საქართველოს სურს ქვეყნის სრულფასოვან, კონსოლიდირებულ, ლიბერალურ-დემოკრატიად ჩამოყალიბება მას მოცემულ პრობლემასთან გამკლავება მოუწევს. სხვა შემთხვევაში, სამომავლოდ შესაძლოა დაიშვას იმის ალბათობა, რომ ქვეყანაში კვლავ აღორძინდეს სეპარატისტული მოძრაობები, რამაც შესაძლოა სახელმწიფოებრიობის შემდგომი რღვევა გამოიწვიოს.

საქართველომ მისი პოსტკომუნისტური განვითარების გზაზე მრავალი განსაცდელი გამოსცა და საფრთხის შემცველი ეპოქა რეალურად, ჯერ კიდევ არ დასრულებულა. ასევე, მოწმე გახდა ძლიერი ეთნიკური დაძაბულობების, რომელმაც ორ შემთხვევაში ქვეყნის ფაქტობრივი ტერიტორიული დეზინტეგრაცია გამოიწვია. ამიტომაცაა, რომ ყოველი ახალი ეთნიკური საკითხის გააქტიურება, ქართული საზოგადოების უმრავლესობის მხრიდან ერთგვარ შიშნარევ რეაქციას იწვევს და არც თუ დადებითი განწყობების ჩამოყალიბებას განაპირობებს საკითხის მიმართ. ამიტომაც, ქართული პოლიტიკური ელიტა მეტად ფრთხილობს ეთნიკურ პოლიტიკასთან მიმართებაში და აღნიშნულის საფუძველზე მათი გაუბედაობაც საკმაოდ ხშირია. მიუხედავად ცალკეული პროექტებისა და მცდელობებისა, ძნელია მაინც იმის თქმა, რომ ქართული სახელმწიფო ეფექტურ პოლიტიკას აწარმოებს, ან ყოველ შემთხვევაში სახელმწიფო ცდილობს ეფექტური იყოს, მაგრამ მას ხელს უშლის მრავალი მიზეზი, მისი ეთნიკური მრავალფეროვნებისგან გამოწვეული პრობლემების გადასალახად. ამ თვალსაზრისით, ბოლო პერიოდში გარკვეული პოზიტიური ძვრები გამოიკვეთა.

კომპაქტურად დასახლებული ეთნიკური ჯგუფები, დისპერსიულად განსახლებული ეთნიკური უმცირესობების შემთხვევაში საქმე უკეთაა, ძალიან სუსტად არიან ინტეგრირებულნი ერთიან სამოქალაქო-პოლიტიკურ სივრცეში და პრაქტიკულად არ მონაწილეობენ პოლიტიკური ინსტიტუტების და სახელმწიფოებრიობის მშენებლობის პროცესში. ეთნიკური უმცირესობები, მაღალ

პოლიტიკურ რგოლში მიღებული გადაწყვეტილებების პასიური მიმღებები უფრო არიან, ვიდრე პოლიტიკური დღის წესრიგის ჩამოყალიბების აქტიური მონაწილეები.

საქართველოში ყველა საკანონმდებლო დონეზე უზრუნველყოფილია სამოქალაქო თანასწორობის ფორმალური მხარე და ქვეყანა მიერთებულია ყველა იმ ფუნდამენტურ საერთაშორისო საკანონმდებლო აქტს, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის საბაზისო უფლებების დაცვას, საქმე არსობრივად წინ წელი ტემპებით მიიწევს. ფაქტია, რომ მხოლოდ ფორმალიზებული სამოქალაქო თანასწორობა ვერ უზრუნველყოფს აქტიურ სამოქალაქო ჩართულობას და ინტეგრაციას, თუმცა მის გარეშე იგი საერთოდ წარმოუდგენელია.

საქართველოს 1918-1921 წლების ხანმოკლე დამოუკიდებლობამ გარკვეული კორექტივები შეიტანა ეთნიკური უმცირესობებისადმი დამოუკიდებულებაში. ქართულ ლიბერალურ შეხედულებებზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ არა თუ არცერთი ეთნიკური და რელიგიური უმცირესობის უფლება არ შელახულა, არამედ პირიქით, მათთვის 1921 წლის კონსტიტუციაში ცალკე თავიც კი იქნა დათმობილი. ხოლო უმცირესობებისთვის მინიჭებული უფლებები, თავისი არსით, იმ დროისთვის უდავოდ პროგრესული მოვლენა იყო.

1918-1921 წლების დემოკრატიული რესპუბლიკა პირველი შემთხვევაა საქართველოს ისტორიაში, როცა წარმოიქმნა თანამედროვე ტიპის ერი-სახელმწიფო. მაშინდელი კონსტიტუციონალიზმი ქმნიდა საყოველთაო თანასწორობის და საჯარო-პოლიტიკურ სივრცეში ჩართულობის ინსტიტუციონალურ საფუძვლებს. ეთნიკურ უმცირესობებს ეძლეოდათ უფლება მიეღოთ განათლება მშობლიურ ენაზე, აგრეთვე სამართალწარმოების დროს გამოეყენებინათ მშობლიური ენა, საკუთარ ენაზე გამოეშვათ ჟურნალ-გაზეთები. აგრეთვე, მაშინდელი ქართული რესპუბლიკა, ზოგიერთი ეთნიკური და კონფესიური ჯგუფის მიმართ ავტონომიების შექმნასაც ითვალისწინებდა (აფხაზეთის და სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიები).

1921 წლის კონსტიტუციისთვის მეტად საინტერესო დეტალია დამახასიათებელი ეთნიკური უმცირესობების უფლებათა თანასწორობასთან დაკავშირებით. კონსტიტუციაში გაცხადებულია, რომ ლეგიტიმურობის წყარო მთელი ერია - „ხელმწიფება ეკუთვნის მთელს ერს, პარლამენტი ამ კონსტიტუციის ფარგლებში ახორციელებს ერის ხელმწიფებას“ - 1921 წლის საქართველოს



კონსტიტუცია, თავი 4, მუხლი 52. ეს იყო პირველი შემთხვევა საქართველოს ისტორიაში, როდესაც ფორმალიზებულ დონეზე უკანა პლანზეა გადაწეული საზოგადოების ეთნო-კულტურული დიფერენციაცია და უპირატესობა სამოქალაქო კუთვნილებას ენიჭება. „ერი“ უფრო ადამიანთა დიდ სეკულარულ კრებულს გულისხმობდა, ვიდრე რაიმე ეთნიკურ და ბიოლოგიურად განსაზღვრულ ერთობას. ქართულმა „ერმა“ მძლავრი ეთნო-კულტურული დატვირთვა უფრო საბჭოთა დროს შეიძინა. (საქართველოს ...

<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4801430?publication=0> )

სამწუხაროდ, 1918-1921 წლების რესპუბლიკას არ დასცალდა მისი კონსტიტუციური იდეების რეალურ პრაქტიკაში დანერგვა. იგი საბჭოთა რუსეთის ანექსიამ და ბოლშევიზმმა შეაჩერა. ეროვნულ უმცირესობათა დაცვის და ეფექტური სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის განხორციელებისათვის პრინციპულად მნიშვნელოვანია გამართული ინსტიტუციური მექანიზმის არსებობა. აღნიშულმა მექანიზმმა და ინსტიტუციურმა ჩარჩომ უკანასკნელი წლების მანძილზე არაერთი ცვლილება განიცადა, რაც გავლენას ახდენდა ინტეგრაციის ზოგადი პოლიტიკის მდგრადობასა და ეფექტურობაზე.

პირველი მნიშვნელოვანი სისტემური ნაბიჯები ამ მიმართულებით გადაიდგა 2005 წელს, როდესაც მთავრობაში შეიქმნა სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი. სახელმწიფო მინისტრად კი წარმოშობით ოსი ეროვნების ზინაიდა ბესტაევა იქნა დანიშნული. ეს დანიშვნა მთავრობის მხრიდან ეროვნული თანხმობის საკითხში გადადგმული ნაბიჯი იყო, ასევე ოსების და ქვეყანაში მცხოვრები ყველა არაქართველი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლების მიმართ კეთილი ნების გამოხატვაზე მიანიშნებდა. ახლადშექმნილ სამინისტროს დაევალა სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეთნიკურ უმცირესობათა ჩართულობის პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, მის უფლებამოსილებებში ასევე შედიოდა შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოს მოწესრიგება. თუმცა მიუხედავად ასეთი უფლებამოსილებებისა, რაც ცალსახად იმედისმომცემი ნაბიჯი იყო მთავრობის მხრიდან ინტეგრაციის პრობლემატიკის მოგვარების თვალსაზრისით, სახელმწიფო მინისტრის აპარატი ვერ იქცა ქმედით და ეფექტურ ორგანოდ, რომელიც სრულ კოორდინაციას გაუწევდა ინტეგრაციის პოლიტიკას. ნაცვლად მანდატით

გათვალისწინებული ძირითადი მოვალეობისა, სახელმწიფო მინისტრის აპარატი ძირითადად დაკავებული იყო 1990-იან წლებში სამხრეთ ოსეთის და საქართველოს სხვა ტერიტორიებიდან იძულებით გასახლებული ოსების საკითხის შესწავლით და მათი დაბრუნებისათვის შესაბამისი პირობების შექმნით (ეთნიკური ... 2019:13).

ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაციის თვალსაზრისით სახელმწიფო მინისტრის აპარატის არაეფექტური მუშაობა მინიმალური დაფინანსებით იყო გამოწვეული, მისი წლიური ბიუჯეტი შეადგენდა მხოლოდ 200 000 ლარს. ამავე დროს შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობების გარდა სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარუმატებელი საქმიანობა აიხსნება მისი მეტწილად სიმბოლური ხასიათით, რაც რეალურად გამოხატავდა მხოლოდ სახელმწიფოს თეორიულ მზადყოფნას დაკავებულიყო ეთნიკური უმცირესობების პრობლემატიკით და მოეპოვებინა უმცირესობათა კეთილგანწყობა. მინისტრის თანამდებობაზე ოსი ეროვნების წარმომადგენლის დანიშვნამ პოზიტიური როლი შეასრულა ამ თვალსაზრისით, თუმცა თავიდანვე ცხადი იყო, რომ ზინაიდა ბესტაევა, რომელსაც არ ჰქონდა პოლიტიკური გამოცდილება ინტეგრაციულ საკითხებზე მუშაობის კუთხით, ვერ შეძლებდა გაძლოდა ინტეგრაციის პოლიტიკას და შეექმნა მდგრადი ინსტიტუციური ჩარჩო-მექანიზმი. საბოლოო ჯამში აპარატი გაუქმდა 2007 წლის ნოემბერში.

ინტეგრაციული პოლიტიკის ეფექტურ განხორციელებაზე პასუხისმგებლობა, 2008 წლის ივნისში, ახლადდაარსებულ რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს დაეკისრა. ამ უწყების შექმნამდე კი, ეთნიკური უმცირესობათა სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემატიკა აღმასრულებელ ხელისუფლებაში არც ერთი სამსახურის პასუხისმგებლობის ქვეშ არ ყოფილა. წელიწად ნახევარზე მეტი ეს საკითხი უგულებელყოფილი იყო.

ეთნიკურ უმცირესობათა სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულებით, განსხვავებით მისი წინამორბედი სტრუქტურისა გაცილებით ფართო მანდატით სარგებლობდა რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, რაც უწყების სტრუქტურულ მოწყობაშიც აისახა. სამინისტროს ბაზაზე ჩამოყალიბდა ორი ადმინისტრაციული ერთეული - სამოქალაქო ინტეგრაციის სამმართველო და

ეთნიკურ უმცირესობათა საკითხების სამმართველო. რომლებიც უშუალოდ იყვნენ პასუხისმგებელი კულტურული მრავალფეროვნების და ინტეგრაციის პოლიტიკაზე.

სამინისტროს მთავარ მიღწევას პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯები ერთიანი, უნიფიცირებული სამთავრობო პოლიტიკის განსაზღვრისათვის ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებაში. კერძოდ, 2009 წლის 8 მაისს საქართველოს მთავრობამ პრემიერ ნიკა გილაურის ხელმძღვანელობით მიიღო N348 განკარგულება „შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“, სწორედ ესაა პირველი ყოვლისმომცველი დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს უმცირესობათა მიმართ პოლიტიკას და განსაზღვრავს სახელმწიფოს ინსტიტუციურ ჩარჩოს.

შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია და სამოქმედო გეგმა შემუშავდა ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციისა (რეატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ, 2005 წელი) და „შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 აგვისტოს №639 განკარგულების საფუძველზე. მისი ძირითადი მიზანია დემოკრატიული, კონსოლიდირებული და საერთო ღირებულებებზე დაფუძნებული სამოქალაქო საზოგადოების შექმნის ხელშეწყობა, რომელიც მრავალფეროვნებას თავისი ძლიერების წყაროდ მიიჩნევს და ყველა მოქალაქეს უზრუნველყოფს საკუთარი იდენტობის შენარჩუნებისა და განვითარების შესაძლებლობით. (<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2091642?publication=0>)

შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია განსაზღვრავს სახელმწიფო სტრატეგიასა და ამოცანებს ექვსი ძირითადი მიმართულებით: კანონის უზენაესობა; განათლება და სახელმწიფო ენა; მედია და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა; პოლიტიკური ინტეგრაცია და სამოქალაქო მონაწილეობა; სოციალური და რეგიონალური ინტეგრაცია; კულტურა და თვითმყოფადობის შენარჩუნება. სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს კონკრეტულ ღონისძიებებსა და პროგრამებს ეროვნული კონცეფციის სტრატეგიული მიმართულებების მიხედვით, რომლებიც მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში უნდა

განხორციელდეს. სამოქმედო გეგმის შესაბამისი კომპონენტების განხორციელების ვალდებულება ეკისრება მასში მითითებულ კონკრეტულ სახელმწიფო უწყებებს.

სამოქმედო გეგმის განხორციელებას მონიტორინგს უწევს შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული საბჭო, რომელიც საჭიროებისამებრ შეიმუშავებს რეკომენდაციებს სამოქმედო გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებით და განიხილავს წინადადებებს სამოქმედო გეგმაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

ეთნიკურ უმცირესობათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულებით გარკვეული ცვლილებები დაფიქსირდა 2012 წელს საპარლამენტო არჩევნების შედეგად ხელისუფლების შეცვლის შემდეგ. ცვლილებები შეეხო უმცირესობების მიმართ არსებულ ინსტიტუციური მართვის მექანიზმებს. ცვლილება განიცადა აღნიშნულ სფეროში წარმმართველი სტრუქტურის სახელწოდებას, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს სახელი გადაერქვა და ეწოდა შერიგების და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი. თუმცა სახელწოდების შეცვლის მიუხედავად არსებითი ცვლილებები პოლიტიკის და პრინციპების დონეზე ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებაში არ განხორციელებულა. ახალმა მთავრობამ განაგრძო 2009 წელს მიღებული კონცეფციით და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება. კონცეფციის მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ კი მთავრობამ 2015 წელს მიიღო დადგენილება ტოლერანტობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული სტრატეგიის და ახალი ხუთწლიანი გეგმის მიღების შესახებ. ამას გარდა შენარჩუნებულ იქნა სამთავრობო უწყებათაშორისო კომისია, რომლის შემადგენლობა კიდევ უფრო გაფართოვდა, კომისიის შეხვედრების რაოდენობა კი კიდევ უფრო ინტენსიური გახდა. სახელმწიფოს ახალი ხედვით სტრატეგიული მიზნები ოთხი ძირითადი მიმართულების გარშემოა გაერთიანებული: თანაბარი და სრულფასოვანი მონაწილეობა სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში; თანაბარი სოციალური და ეკონომიკური პირობებისა და შესაძლებლობების შექმნა; ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება; ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის შენარჩუნება და ტოლერანტული გარემოს უზრუნველყოფა. სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში გაწერილია ხუთი წლის მანძილზე

სხვადასხვა კონკრეტული ღონისძიებების ჩამონათვალი შესაბამისი პასუხისმგებელი უწყებების მითითებით. სტრატეგიით ასევე გათვალისწინებულია ყოველი კალენდარული წლის ბოლოს შემდეგ წლის მანძილზე განსახორციელებელი ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებაც. დოკუმენტი ასევე აყალიბებს განხორციელების ანგარიშგებისა და შეფასების მექანიზმებს, რომლის მიხედვითაც ყოველწლიურად მზადდება შესრულების ანგარიში, ასევე გათვალისწინებულია შუალედური შეფასების დოკუმენტის შემუშავება.

დამტკიცებული სტრატეგიული დოკუმენტი ითვალისწინებს უფრო მეტ ინტერაქციას უმრავლესობასთან, რადგან სამოქალაქო ინტეგრაცია არის პროცესი, რომელშიც ჩართულია მთელი საზოგადოება, მისი თითოეული წევრი. სტრატეგიის მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს ისეთი საკითხების გათვალისწინება, როგორებიცაა მცირერიცხოვან და მოწყვლად ეთნიკურ უმცირესობათა მხარდაჭერა. დოკუმენტით სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, რომ მოახდენს მცირერიცხოვან და მოწყვლად ეთნიკურ ჯგუფთა საგანმანათლებლო და სამართლებრივი საჭიროებების დაკმაყოფილებას, ასევე ამ ჯგუფების ენების სწავლების დანერგვას სასწავლო დაწესებულებებში. სტრატეგიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლეა გენდერული ასპექტების გათვალისწინება. კერძოდ სახელმწიფოს ვალდებულებას წარმოადგენს ეთნიკურ უმცირესობას მიკუთვნებულ ქალთა უფლებების დაცვა, ასევე მათი საჭიროებებისა და ინტეგრაციის უზრუნველყოფა.

საქართველოს ამჟამინდელი მთავრობის ფუნქციონირების დროს უმცირესობათა ინსტიტუციური მართვის სფეროში მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო პოლიტიკის გამიჯვნა ეთნიკურ უმცირესობებსა და რელიგიურ უმცირესობებს შორის. ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაციის კომპონენტს როგორც აღვნიშნეთ კოორდინაციას უწევს სახელმწიფო მინისტრის აპარატი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში. მთავრობის სხვა სტრუქტურებიც სწორედ ამ უწყების კოორდინაციის ქვეშ მოქმედებენ. რაც შეეხება რელიგიურ მრავალფეროვნებას და რელიგიურ უმცირესობათა პრობლემატიკას, ამ სფეროს კურირებას და კოორდინაციას უწევს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, რომელიც მთავრობის განკარგულებით 2014 წელს შეიქმნა და ევალება სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკის მართვა.

2000-იანი წლებიდან დღემდე მთავრობის მხრიდან უმცირესობების ინსტიტუციური მართვის პოლიტიკაში არაერთი ცვლილება განხორციელდა. სახეზე გვაქვს საკანონმდებლო და სამართლებრივ რეგულაციებში ასახული ინსტიტუციური მდგრადობისკენ და ეფექტურობისაკენ ორიენტირებული ტენდენცია და გამოკვეთილი სამთავრობო ხედვა. მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია უწყებათაშორისო კოორდინაცია და თანამშრომლობა. თუმცა, ნებისმიერი პოლიტიკის წარმატებით გატარების ეფექტურობაზე გავლენას ახდენს მთავრობის მხრიდან შესაბამისი პოლიტიკის განხორციელებაში ფინანსური მხარდაჭერა. ეთნიკურ უმცირესობათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის პრიორიტეტულობა ასახული არ არის საბიუჯეტო დონეზე ფინანსურ უზრუნველყოფაში.

### **3.2 ეთნიკურ უმცირესობათა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა**

საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში უმცირესობების მონაწილეობის ამსახველი მონაცემები არ გაგვაჩნია. ქვეყანაში მოღვაწე ყველაზე წარმატებულ და მსხვილ ბიზნესმენტა შორის უმცირესობების წარმომადგენლები ცოტანი არიან. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები ეკონომიკური თვალსაზრისით უარესად ცხოვრობენ, ვიდრე ქართველები. სხვადასხვა სოციოლოგიური კვლევა გვაჩვენებს, რომ საქართველოს მთელ მოსახლეობას, ეროვნულობისაგან დამოუკიდებლად, პირველ რიგში ისეთი პრობლემები აწუხებს, როგორებიცაა: უმუშევრობა, შემოსავლების დაბალი დონე, სოციალური ინფრასტრუქტურის სისუსტე და ა.შ. ამ მხრივ ეთნიკურ ჯგუფებს შორის არსებითი განსხვავება ძნელად შეინიშნება. თვალნათელია, რომ ეთნიკური უმცირესობების პრობლემების სიმძიმის ცენტრი მხოლოდ ეკონომიკის სიბრტყეში არ დევს, პრობლემის ბირთვი სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემაა, რასაც საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობის ნაკლებობა იწვევს.

საქმე გვაქვს საზოგადოების სამოქალაქო და პოლიტიკური ცხოვრებისაგან ეთნიკური უმცირესობების საერთო გაუცხოების გამოკვეთილ ტენდენციასთან. საჯარო დისკუსია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რა პირობებში უნდა იარსებონ სამოქალაქო სივრცეში სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ადამიანებმა, ჩვენს ქვეყანაში თითქმის არ წარმოებს.

ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კონსტიტუციის V მუხლის III პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია, თანაბრად იზრუნოს ქვეყნის მთელი ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის. (კონსტიტუცია

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>) საქართველოს შრომის კოდექსის 2.3 მუხლის მიხედვით, შრომით ურთიერთობაში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური ან ეროვნული კუთვნილების მიხედვით ( საქართველოს შრომის კოდექსი <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1155567?publication=19>). დისკრიმინაცია ადამიანის როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი შევიწროება, რომელიც მიზნად ისახავს მტრული, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს, ასევე, ისეთი პირობების შექმნას, რომლებიც აუარესებს ადამიანის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით. გამონაკლისია ისეთი შემთხვევა, როდესაც განსაკუთრებული მოპყრობა გამომდინარეობს სამუშაოს არსიდან და ემსახურება კანონიერი მიზნის მიღწევას.

ევროპული ჩარჩო-კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ მიღებულია 1995 წელს სტრასბურგში, საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულია 2005 წლის ოქტომბერში და ძალაშია 2006 წლის 1 აპრილიდან. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე კონვენცია მოქმედებს მხოლოდ იმ ტერიტორიაზე, რომელზეც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქცია ვრცელდება. აღნიშნული კონვენციის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ხელმომწერი ქვეყნები იღებენ ვალდებულებას, უზრუნველყონ ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილი პირების კანონის წინაშე თანასწორობა და კანონის



<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1244853?publication=0>).

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და 2015-2020 წლების სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი მიზანი და ამოცანაა ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელთათვის თანაბარი სოციალური და ეკონომიკური პირობებისა და შესაძლებლობების შექმნა. მთავრობის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში ხაზგასმულია, რომ საქართველოს კანონმდებლობით დაცულია ყველა მოქალაქის სოციალურ-ეკონომიკური თანასწორობა. თუმცა, გარკვეული მიზეზების გამო - სახელმწიფო ენის არცოდნა, რეგიონის გეოგრაფიული მდებარეობა, სოციალური და პოლიტიკური მონაწილეობის დაბალი დონე, არსებობს საშიშროება, რომ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები აღმოჩნდნენ უთანასწორო პირობებში - საკუთარი ეკონომიკური უფლებების რეალიზებისა და სოციალური პოლიტიკით სარგებლობის თვალსაზრისით.

ეროვნული უმცირესობების საკითხებში ეუთოს უმაღლესი კომისრის ლუბლიანას რეკომენდაციის თანახმად, საზოგადოებაში წარმატებული ინტეგრაციისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე თანაბარ პირობებში საზოგადოების ყველა წევრის ეფექტიან სოციალურ და ეკონომიკურ მონაწილეობას. ეუთოს წევრმა სახელმწიფოებმა თითოეულ ინდივიდს, განურჩევლად მისი ეკონომიკური კუთვნილებისა, თანაბარი შესაძლებლობა უნდა მიანიჭონ ეკონომიკაში წვლილის შეტანის, რესურსებითა და ქვეყნის საერთო სიკეთეებით სარგებლობის მხრივ.

საქართველოში ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების მდგომარეობა მძიმეა და მათი დასაქმების დამაბრკოლებელი ბარიერები არსებობს როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში. ქვემო ქართლის რეგიონში სიღარიბის პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა მარნეულის, ბოლნისისა და გარდაბნის რაიონებში, სწორედ იქ, სადაც ეთნიკური აზერბაიჯანელები კომპაქტურად ცხოვრობენ. 2014 წელს, სამხრეთ კავკასიაში გაეროს ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისრის ოფისის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული კვლევის თანახმად, ეკონომიკური პირობები არახელსაყრელია ჯავახეთშიც - ეთნიკური სომხებით დასახლებულ რეგიონებში, რასაც ხელს უწყობს მუშახელის პროფესიული უნარ-ჩვევების



ნაკლებობა, ენობრივი ბარიერი საჯარო სამსახურის დასაწყებად, კერძო სექტორის სიმცირე და ნეპოტიზმი. ქართული ენის ბარიერი და ბიზნესის სფეროსთან დაკავშირებული ახალი ინფორმაციისადმი შეზღუდული ხელმისაწვდომობა ადგილობრივ მეწარმეებს არახელსაყრელ მდგომარეობაში აგდებს - მათ უჭირთ საკუთარი მცირე ბიზნესის გაფართოება და მსხვილ, არაადგილობრივ საწარმოებს კონკურენციას ვედარ უწევენ. ეკონომიკური პრობლემების გამო მოსახლეობის დიდი ნაწილი რეგიონს ტოვებს და სამუშაოდ რუსეთში ან ისტორიულ სამშობლოში მიემგზავრებიან.(ბოგიშვილი, ოსეფაშვილი, 2017: 88).

საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის 2010-2014 წლების მონაცემებით სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში ეკონომიკური საქმიანობის ბრუნვის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი წარმოდგენილია დამამუშავებელი მრეწველობის, ვაჭრობის, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტის სექტორში. მათი დასაქმების ძირითადი არეალი სკოლა, საბავშვო ბაღი და ადმინისტრაციული სტრუქტურებია, ასევე ვაჭრობა - ყიდიან თავიანთ ან სხვის ნაწარმს ბაზარში, მოსახლეობის მცირე ნაწილი ფლობს საკუთარ მაღაზიებს. რაც შეეხება დასაქმების სხვა სფეროებს - პოლიცია, ბანკები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები და საავადმყოფოები ძირითადად დედაქალაქიდან და საქართველოს სხვა რეგიონებიდან მიწვეული პერსონალი მუშაობს, რადგან მათ კარგი განათლება აქვთ და ქართული ენაც კარგად იციან. დასაქმების კიდევ ერთი ხელშემშლელი ფაქტია ის, გარემოება, რომ რეგიონით დაინტერესებული ინვესტორები თავიანთ პროექტებში ძირითადად, თავიანთ კადრებით უზრუნველყოფენ შესასარულებელ სამუშაოებს. სამწუხაროდ, რეგიონის მოსახლეობის კვალიფიკაციის დონეც არ შეესაბამება მოთხოვნებს და გადამზადებას საჭიროებს - ადგილობრივები ტექნიკურ სპეციალობებს ძირითადად არაპროფესიული წესით ეუფლებიან. ადგილობრივი მოსახლეობისთვის შესაფერისი ვაკანსიების გამოცხადება არ ხდება, ადგილობრივები მოთხოვნილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებენ და სახელმწიფო ენას ვერ ფლობენ. განათლების ნაკლებობისა და სახელმწიფო ენის არცოდნის გამო სამუშაოს მაძიებლები მნიშვნელოვან ბარიერებს აწყდებიან ანაზღაურებადი სამუშაოების ძებნისას.

ადგილობრივების დასაქმების ძირითადი სფერო მიწათმოქმედება, მესაქონლეობა და ვაჭრობაა. თუმცა ადგილობრივი მიწის საკუთრებაში განაწილებასთან დაკავშირებით მოსახლეობას გარკვეული პრობლემები აქვს. არსებობს ადამინები რომლებსაც საკუთრებაში 100 ჰექტარზე მეტი აქვთ და არიან ისეთები, რომლებსაც 1 ჰექტარიც არ გააჩნიათ. მიწის დამუშავებას აფერხებს რეგიონებში წყალთან დაკავშირებული პრობლემა. წყალზე რომ არ იყოს დიდი გადასახადები მიწის დამუშავების მეტი მოტივაცია და შესაძლებლობა ექნებათ. იმ ფონზე როცა სახელმწიფოს არ ძალუძს ფაბრიკა-ქარხნების აშენება და ხალხის დასაქმება, მიწის დამუშავებით ეკონომიკური შემოსავლის თვალსაზრისით ადგილობრივების პრობლემა მეტ-ნაკლებად მოგვარდება. (ბოგიშვილი, ოსეფაშვილი, 2017:96)

სოფლის მეურნეობის პროდუქტებიდან აღნიშნულ რეგიონებში ძირითადად კარტოფილი მოჰყავთ, თუმცა მისი რეალიზაცია საკამოდ პრობლემურია გლეხებს თავად უხდებათ მყიდველის მოძიება, რადგან კარტოფილის გაყიდვა რაიმე ორგანიზაციული წესით არ ხდება. ამასთან ადგილობრივ პროდუქტს სერიოზულ კონკურენციას უწევს უცხოეთიდან შემოსული კარტოფილი. პრობლემის გადაწყვეტილება შესაძლებელია თუ სახელმწიფო თავად შეიძენს ახალქალაქის კარტოფილს საკუთარი სტრუქტურებისთვის, მაგალითად ჯარისა და პატიმრებისთვის. ადგილობრივი სხვა ხილი და ბოსტნეული ბითუმად გააქვთ საქართველოს დანარჩენ რეგიონებში.

სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების სათავე რეგიონების ცენტრისგან იზოლირებაა - პოლიტიკურ სტრუქტურებში წარმომადგენლების არქონის გამო ცენტრში ადგილობრივების საჭიროებების შესახებ ნაკლები ინფორმაცია. ეს ყველაფერი კი ხელს უშლის რეგიონს ფეხი აუწყოს სოფლის მეურნეობასა და წარმოებასთან დაკავშირებულ სიახლეებს.

წარმოდგენილ რეგიონებში ძირითადად განვითარებულია ვაჭრობაზე ორიენტირებული მცირე და საშუალო ბიზნესი. ამავე დროს, აქაური ტრადიციული სოფლის მეურნეობა და წარმოება არ შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს. ინდ.მეწარმედ დარეგისტრირებას ადგილობრივები იმიტომ გაურბიან, რომ ქართულ ენაზე დოკუმენტაციის გამართულად შედგენა არ შეუძლიათ. ასევე, რეგიონში ცოტაა

ისეთი ბუღალტერი, ვინც თანამედროვე საფინანსო ელექტრონულ სისტემებთან მუშაობას შეძლებს. რეგიონებს სჭირდება თანამედროვე განათლების მქონე ბუღალტრები და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სპეციალობების წარმომადგენლები (ვეტერინარები, აგრონომები და ა.შ). სახელმწიფომ უნდა წახალისოს ახალგაზრდები, რათა მათ სწორედ ეს მოთხოვნადი დარგები აირჩიონ და არა პრესტიჟულად აღქმული პროფესიები. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეტაპზე დაუსაქმებლები მაინც არ რჩებიან ის სტუდენტები, რომლებმაც უმაღლესი სასწავლებელი თბილისში დაამთავრეს და უკან დაბრუნდნენ - ქართული ენის ცოდნის გამო ისინი ძირითადად სკოლებსა და თვითმმართველობების სტრუქტურებში საქმდებიან. (ბოგიშვილი, ოსეფაშვილი, 2017:105)

ადგილობრივები ნაკლებად ინფორმირებულები არიან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამა „აწარმოე საქართველო“-ში შესახებ, რომელიც მეწარმეებზეა გათლილი და მათ ახალი საწარმოების შექმნასა და არსებულის გაფართოებაში ეხმარება. სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელია ინფორმაციის მოპოვება და საჭირო ფორმულირების შევსება, რომელიც ძირითადად ქართულ ენაზეა შესაძლებელი. თავს იჩენს კვლავ ენის ბარიერი. სახელმწიფო პროგრამებთან დაკავშირებული სიახლეები, ჩვეულებრივ, მხოლოდ სოციალურად აქტიურ ადამიანებამდე აღწევს და პროგრამებშიც მუდმივად ერთი და იგივე ადამიანები ხვდებიან. მაგალითად, ფერმერებისთვის ნერგებით, სასუქითა და ტექნიკით დახმარება.

ბიზნესის გაფართოების თვალსაზრისით საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში სოფლის მეურნეობასა და სხვა დარგებში გაცვლითი პროგრამების დანერგვა და განვითარება ხელს შეუწყობს სოციალური ურთიერთობების გაღრმავებას. რეგიონებს შორის გაცვლითი პროგრამები გაუადვილებს და გაუმარტივებს საქართველოს არაქართველ მოსახლეობას ქართული ენის შესწავლასა და ხელს შეუწყობს გამოცდილების გაზიარებას საქართველოს სხვადასხვა რეგიონის მოსახლეობას შორის. ასეთი რეგიონების მოსახლეობას მეტი ურთიერთობა და კავშირი სჭირდება დანარჩენ საქართველოსთან.

სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში გარკვეული ინდუსტრიული ცენტრების შექმნაა საჭირო, რომელიც მოქალაქეთა ეკონომიკურ აქტივობას წახალისებს და მეტ კერძო სამეწარმეო ინიციატივას გააჩენს. ეს მოვლენა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის იქნება ცალსახად სასარგებლო იქნება. თავის მხრივ, ეთნიკური უმცირესობებიც გაცილებით მეტ სარგებელს მიიღებენ და საქართველო იქნება მათთვის არა მხოლოდ უბრალოდ საცხოვრებელი ადგილი, არამედ ეკონომიკური სარგებლიანობის მიღების წყაროც. ქვეყნის ეკონომიკური სივრცე საკუთარ მოქალაქეებს უნდა სთავაზობდეს სოციალურ სიკეთეებს და კეთილდღეობას.

ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში განსაკუთრებით იმ დარგების განვითარება უნდა მოხდეს, რომელიც კონკრეტული რეგიონისთვისაა აუცილებელი. პროფესიულ განათლებას ეთნიკური უმცირესობები უპირველესად საკუთარ სამშობლოში უნდა ღებულობდეს და არა სხვა ქვეყნებში, როგორც ეს ხშირად ხდება საქართველოს რეალობაში. კადრების მომზადება უნდა დაემყაროს რეგიონების ადგილობრივ მოთხოვნილებებს ამ შემთხვევაში მისი საჭიროება და მასში ჩართულობის სურვილი გაცილებით მაღალი იქნება. ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში უნდა წახალისდეს ურბანიზაციის განვითარება, რადგან ფაქტობრივად ნატურალური მეურნეობის პირობების მქონე სასოფლო დასახლებები უფრო მეტ სოციალურ მობილობას დაეფუძნონ, რათა მათი სოციალური კომუნიკაციის არეალი გაფართოვდეს. უმაღლესი განათლების ცენტრების ფილიალების გახსნასა და გაძლიერებას ურბანიზაციისა და ინტეგრაციის საკითხში მეტად მძლავრი და დადებითი როლის შესრულება შეუძლია.

ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის საკითხთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში ჩართვის ხელშეწყობისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინფორმაციაზე მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ეროვნული უმცირესობების საკითხებში ეუთოს უმაღლესი კომისრის 2012 წლის ლუბლიანას 48-ე რეკომენდაცია ყურადღებას ამახვილებს ინტეგრაციის პროცესისთვის მედიის ორ მნიშვნელოვან ფუნქციაზე. პირველი - უმცირესობების წარმომადგენელთათვის სწორედ მედია უნდა იყოს ის საკვანძო ფორუმი, რომელიც

საშუალებას მისცემს მათ განახორციელონ თავთავიანთი უფლებები, მაგ. თავისი ენის გამოყენებისა და კულტურის განვითარების უფლება; და მეორე - მედია, როგორც ინფორმაციის მიღება-გავრცელების საშუალება, არსებით როლს უნდა ასრულებდეს იმ გარემოს განმტკიცებაში, რომელიც ხელს უწყობს კულტურათმშობის დიალოგსა და ურთიერთგაგებას. გარდა ამისა მედია უნდა გაემიჯნოს შეუწყნარებლობას და დაუპირისპირდეს მის გავრცელებას საზოგადოებაში, აგრეთვე ცრუ რწმენებსა და უარყოფით სტერეოტიპებს. (ბოგიშვილი, წიკლაური 2017: 133)

„სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიითა და 2015-2020 წლების სამოქმედო გეგმით“ გათვალისწინებულია ეროვნული უმცირესობებისთვის მედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება. თუმცა პრობლემა იყო ის, რომ რეგიონული და ნაციონალური ტელევიზიებით ყოველდღიური საინფორმაციო გადაცემების გაშვების შესახებ ხშირ შემთხვევაში არაინფორმირებული იყო ქვემო ქართლისა და არც სამცხე-ჯავახეთის რაიონების მოსახლეობა. აღნიშნული რეგიონის მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდებას ის ფაქტიც აფერხებდა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის სატელევიზიო სიგნალი სრულად ვერ ფარავდა ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთს. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა არაერთხელ შეცვალა საინფორმაციო პროგრამის ფორმატი, ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში ადგილობრივ მცხოვრებთა ინტერესი საინფორმაციო გადაცემების მიმართ მაინც დაბალია. სახელმწიფო ენის არცოდნის გამო კი ცენტრალური საინფორმაციო საშუალებები მათთვის ნაკლებად ხელმისაწვდომია ამიტომაც ისინი ძირითადად რუსული, აზერბაიჯანული, თურქული და სომხური არხების მეშვეობით იღებენ ინფორმაციას. ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში ნაკლებად პოპულარულია როგორც ქართული ტელევიზია ისე, ქართული პრესა და რადიო.

„სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიითა და 2015-2020 წლების სამოქმედო გეგმაში“ ხაზგასმულია, რომ სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის წარმატებული მიმდინარეობისთვის განსაკუთრებული როლი ენიჭება მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ეროვნულ უმცირესობათა ჩართულობა ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე პროცესებში და მათთვის საინტერესო თემატიკის სათანადოდ გაშუქება. ამავე დროს, არ უნდა დაუშვას

სიძულვილის ენის გამოყენება და გავრცელება. ამ სტრატეგიის ფარგლებში სახელმწიფო თანამშრომლობს მედია ორგანიზაციებთან, რათა მათ ერთობლივად შეუწყონ ხელი საზოგადოებრივი მაუწყებლის პოპულარიზაციას რეგიონებში. უპირველესად საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს როგორც ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ ეროვნულ უმცირესობათა ინფორმირებულობა, ისე მთლიანად ქვეყნის საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდა ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებულ საკითხებზე. საზოგადოებრივ მაუწყებელს მოეთხოვება ეროვნულ უმცირესობათა პრობლემატიკის გაშუქებისას მაღალი პროფესიული სტანდარტებით ხელმძღვანელობა

საქართველოში მაუწყებლობა რეგულირდება „მაუწყებლის შესახებ“ კანონით, რომელიც 2004 წელს ამოქმედდა. სადაც მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული ვალდებულება სათანადო პროპორციით განათავსოს უმცირესობების ენაზე, უმცირესობების შესახებ და უმცირესობების მიერ მომზადებული პროგრამები.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილების „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ მიხედვით მაუწყებელმა თავი უნდა შეიკავოს ისეთი მასალის გამოქვეყნებისგან, რომელიც გააღვივებს სიძულვილს ან შეუწყნარებლობას სხვადასხვა განსხვავებების საფუძველზე. (საქართველოს...  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/82792?publication=0> )

სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში ადგილობრივების დიდმა ნაწილმა არც კი იცის, რომ საზოგადოებრივ მაუწყებელზე მათთვის ხელმისაწვდომ ენაზე საინფორმაციო გადაცემა არსებობს. ისინი ინფორმაციას ძირითადად ერთმანეთისგან იღებენ. ასეთი ინფორმაცია კი სხვადასხვა ინტერპრეტაციას იძენს, დეფორმირდება და როგორც წესი, სახეცვლილი და დამახინჯებულია.

ეროვნული უმცირესობებისთვის მნიშვნელოვანია მეტი ინფორმირებულობა საკუთარი უფლებების, მიმდინარე რეფორმების, ახალი კანონმდებლობის, საავტომობილო ჯარიმების შესახებაც კი. შეიმჩნევა ტენდენცია, რომ ქართული ენის შესწავლით ახალგაზრდა თაობა მეტ-ნაკლებად დაინტერესებულია. ისინი ფიქრობენ, რომ რაკი საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობენ, ვალდებულებიც არიან სახელმწიფო ენა იცოდნენ. თუმცა არის შემთხვევები, როდესაც თვითონ ქართული ენის მასწავლებლებმა არ იციან ქართული სათანადო დონეზე. ისინი საერთაშორისო

ამბების შესახებ უფრო უკეთ არიან ინფორმირებულები, ვიდრე საქართველოში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. ვინც ქართული ენა იცის მას მიუწვდება ხელი კიდევ საინფორმაციო საშუალებებზე და არც არის ინფორმაციის ვაკუუმში. ენის ცოდნა ეხმარება რეგიონის მკვიდრს გაეცნოს საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას. საქართველოს მოქალაქეობა ავალდებულებს მათ წარმოდგენა ჰქონდეთ იმ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე რომლის მოქალაქეებიც არიან.

ქართულენოვან მედიასივრცეში ეროვნული უმცირესობების შესახებ წარმოდგენილი ზედაპირული ინფორმაცია საქართველოს სხვა რეგიონებში მცხოვრებ მოქალაქეებს სტერეოტიპულ წარმოდგენას უქმნის მათზე. ძირითადად, უმცირესობებს უარყოფითი ასპექტით წარმოაჩენენ, რადგან უმეტესწილად საუბარია ადრეულ ქორწინებებზე, მკვლევლობებსა და გაყრაზე, და არა რეგიონის არსებით პრობლემებზე, როგორებიცაა - მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური ან მიწასთან დაკავშირებული საკითხები, უმუშევრობა, მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა. უმრავლესობასა და უმცირესობას შორის მეტი ურთიერთობა უნდა იყოს. მეტი ინტერკულტურული პროექტები უნდა შეიქმნას, რითაც შესაძლებელი იქნება არსებული სტერეოტიპების დაძლევა.

სახელმწიფო ენის ცოდნა, ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმირებულობა, განათლება და ქვეყნის სხვა რეგიონებთან კავშირი ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებაში ინტეგრაციის გასაღებიცაა. არამართო უმცირესობები იღებენ შეზღუდულ ინფორმაციას დანარჩენ საქართველოზე, არამედ საქართველოს სხვა რეგიონებსაც მწირი ინფორმაცია მიეწოდებათ აღნიშნულ რეგიონებში არსებული მდგომარეობის შესახებ. ამგვარ ურთიერთგაუცხოებაში კი დიდი წვლილი მიუძღვის ეროვნულ მედიასაშუალებებს. ქართული მედია ძირითადად მხოლოდ ორ შემთხვევაში აქცევს ყურადღებას აზერბაიჯანელ ეროვნულ უმცირესობებს - ეს არის ნოვრუზ ბაირამის დღესასწაული და რაიმე სკანდალური მოვლენა. ასეთმა ნეგატიურმა კონტექსტმა კი შესაძლოა არსებული სტერეოტიპული დამოკიდებულება კიდევ უფრო გააღრმავოს.

საზოგადოებრივ მაუწყებელს 9 რეგიონული კორესპოდენტი ჰყავს, მათ შორის, ერთი რუსთავში, რომელიც ქვემო ქართლის მოვლენებს აშუქებს და ერთი

ახალციხეში, რომელიც სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მუშაობს. საზოგადოებრივი მაუწყებლის ძალისხმევა ეროვნული უმცირესობების ინფორმირების მიმართულებით საკმარისი არ არის. პრობლემაა თვითონ მაუწყებლის რეიტინგიც. შეთავაზებული 15 წუთიანი საინფორმაციო გამოშვება უმცირესობათა მშობლიურ ენებზე ზედმეტად ზედაპირულია და ხშირად უინტერესოც. პრობლემური თემაა ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ქართულენოვანი ჟურნალ-გაზეთების გავრცელება. კვლავ არის ენობრივი ბარიერის პრობლემა. სახელმწიფო ენის შესწავლა ბალიდანვე უნდა დაიწყოს, რადგან ორენოვანი განათლება სკოლამდელი ასაკიდან უფრო ეფექტურია. სკოლებში თავის მხრივ მასწავლებლების ნაკლებობაა, სახელმწიფო ენის სათანადო დონეზე არცოდნა მათთვისაც დაბრკოლებაა, პედაგოგის პროფესიის პოპულარიზაცია და ამით ახალგაზრდების დაინტერესება უნდა მოხდეს. (ბოგიშვილი, წიკლაური 2017: 159-160)

მნიშვნელოვანი პრობლემაა ადგილობრივი თვითმმართველობების დონეზე არსებული სახელმწიფო ენის პრობლემა. სახელმწიფო ენის მნიშვნელობა დადგენილია რეგლამენტით და ეს რეგლამენტი ყოველდღიურად ირღვევა, რადგან ადგილობრივ თვითმმართველობებში საჯარო დისკუსიები ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების მშობლიურ ენებზე მიმდინარეობს და არა სახელმწიფო ენაზე. საქართველოს სახელმწიფო ენაზე საუბარი სახელმწიფო დაწესებულებებში სახელმწიფოებრივი პრობლემაა.

ჯერჯერობით ვერ მოხერხდა ყველასათვის მისაღები ისეთი კონცეფციის შემუშავება, რომლის საფუძველზეც ეროვნული უმცირესობები თავს სრულფასოვან მოქალაქეებად იგრძნობენ. ქვეყნის უმრავლესობაში კი ეტაპობრივად ყალიბდება ისეთი ცნობიერება, რომ ეროვნული უმცირესობები ქვეყნის სრულფასოვანი, თანასწორუფლებიანი მოქალაქეები უნდა იყვნენ. ყველაზე მნიშვნელოვანი სფეროები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია ინტეგრაციული პროცესის დაჩქარება არის განათლება, სპორტი, კულტურა და ყველა ის სფერო, რომლებიც მაქსიმალურად დაეხმარება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს გააქტიურებაში.

მიმდინარე საინფორმაციო ხელმისაწვდომობის პოლიტიკა საკმარისი ნამდვილად არ არის, საჭიროა უმრავლესობასა და უმცირესობას შორის წარმოქმნილი საინფორმაციო უფსკრულის ამოვსება ერთმანეთთან აქტიური დიალოგისა და



კომუნიკაციის საშუალებით, ამის მისაღები საშუალება კი საზოგადოებრივ მაუწყებელზე ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების ხშირი მიწვევა და ღია დისკუსიების გამართვაა, როგორც მათი რეგიონისათვის, ისე მთლიანად ქვეყნისათვის მნიშვნელოვან და პრობლემურ საკითხებზე.

### 3.3 განათლება და სახელმწიფო ენა

სახელმწიფოს ფარგლებში და სახელმწიფოთა შორის მიგრაცია ათწლეულებს ითვლის, თუმცა, არასოდეს ყოფილა ისეთი ხშირი და სწრაფი, როგორც თანამედროვე სამყაროშია. სათანადოდ წარმართული სამოქალაქო განათლების საფუძველზე მოსწავლეს კულტურულ, ეროვნულ, რეგიონალურ და გლობალურ იდენტობებს შორის ერთგვარი ფაქიზი წონასწორობა უნდა ჩამოუყალიბდეს. განსხვავებულის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებაზე ორიენტირებული რეფორმა უნდა წარიმართოს არა მხოლოდ ისეთ სკოლებში, რომელშიც ეთნიკური და სხვა სახის მრავალფეროვნება სახეუა, არამედ გამოკვეთილი მონოკულტურული გარემოს მქონე სასწავლებლებშიც. სკოლა, რომელიც რეფორმირებულია პლურალიზმისა და თანასწორობის პრინციპებზე, თავად ხდება უფრო ფართო ხასიათის საზოგადოებრივი და სოციალური რეფორმის დისტრიბუტორი.

საქართველო, ისტორიულად და დღესაც, მრავალეთნიკური ქვეყანაა. არსებული მრავალფეროვნების ასახვა გასათვალისწინებელია სასწავლო პროცესში და მართალია, გათვალისწინებულია იმ მხრივ, რომ 2020-2021 სასწავლო წლის მონაცემებით საქართველოში 200-ზე მეტი არაქართულენოვანი სკოლა და შერეული ენობრივი სექტორები ფუნქციონირებს, თუმცა უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს ამ სკოლებში მოსწავლეებისთვის განათლების მოწოდების ხარისხი.

დღესდღეობით ყველა თანხმდება სასწავლო გარემოში მრავალფეროვნების დადებით მხარეებსა და ინტერკულტურული განათლების საჭიროებაზე. მრავალფეროვნების საგანმანათლებლო პარადიგმა ხაზს უსვამს, რომ მრავალფეროვნება სასარგებლოა, როგორც უმრავლესობის, ასევე უმცირესობების

კულტურული ჯგუფის მოსწავლეთათვის. მრავალფეროვნება „ამდიდრებს“ სასწავლო გარემოს. სწორედ ეს მოსაზრებაა ყველაზე მკაფიო არგუმენტი ინტერკულტურული განათლების მხარდასაჭერად. მრავალფეროვან გარემოში ინტერკულტურული განათლების ელემენტების გამოყენებით მოსწავლეს უვითარდება: მრავალმხრივი ხედვა, კონფლიქტის თავიდან არიდების უნარი, საერთო ღირებულებების მიმართ პატივისცემა. (ტაბატაძე, ნაცვლიშვილი 2008: 16-17)

საქართველომ დამოუკიდებელი საგანმანათლებლო პოლიტიკის განხორციელება საკუთრივ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, მხოლოდ 1990-იანი წლებიდან დაიწყო. ხოლო 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მოსულმა ხელისუფლებამ განათლების რეფორმების კუთხით ბევრი ახალი ნაბიჯი გადადგა.

საკანონმდებლო თვალსაზრისით - საქართველოს კონსტიტუციის 27.1-ე მუხლი იცავს ყველა მოქალაქის უფლება, მიიღოს განათლება და აირჩიოს განათლების ფორმა. ( საქართველოს კონსტიტუცია -

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>) საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისთვის განათლების მიღების თანაბარ შესაძლებლობას და თანაბარ ხელმისაწვდომობას ზოგადი განათლების შესახებ კანონის 9.1 მუხლიც ადასტურებს. ( საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=90>)

განათლების მიმართულებით რეფორმების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პერიოდი იწყება 2006 წლიდან, როცა ხორციელდება სკოლების ოპტიმიზაცია. ეს პროცესი შეეხო მთელი ქვეყნის მასშტაბით საჯარო სკოლებს და შემცირდა როგორც ქართულენოვანი, ისე არაქართულენოვანი, ან ორ სექტორიანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები. სკოლები, რომლებიც მოსწავლეთა მცირერიცხოვნობით ხასიათდებოდა, შეაერთეს სხვა სკოლებთან. ოპტიმიზაციის შედეგად, 456 არაქართულენოვანი სკოლის რაოდენობა თავდაპირველად 408-მდე შემცირდა (მეხუზლა, 2009 : 12).

საქართველოში ზოგადი განათლების მიღება ქართულენოვანი სკოლების გარდა შესაძლებელია სომხურენოვან, აზერბაიჯანულენოვან და რუსულენოვან სკოლებსა და სექტორებში. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან აქტიური თანამშრომლობის შედეგად მოპოვებულ ინფორმაციაზე

დაყრდნობით 2020-2021 სასწავლო წლის მონაცემები ასეთია (სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა - უფროსის მ/შ - 19/02/2021 წერილი - MES 3 21 00000127851) :

1. არაქართულენოვანი სკოლები/სექტორები:

მოსწავლეების და სკოლების რაოდენობა 2020-2021 სასწავლო წლის მდგომარეობით				
	შერეული ენობრივი სექტორებით		არაქართულენოვანი სკოლები	
სექტორი	სკოლების რაოდენობა	მოსწავლეების რაოდენობა	სკოლების რაოდენობა	მოსწავლეების რაოდენობა
აზერბაიჯანული	119	25530	79	15308
გერმანული	1	153	1	153
ინგლისური	2	638	0	0
რუსული	59	14401	11	4900
სომხური	131	13245	117	12789

2. არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების რაოდენობა რეგიონების მიხედვით:

არაქართულენოვანი სკოლების რაოდენობა სექტორების და რეგიონების მიხედვით					
რეგიონი	აზერბაიჯანული	გერმანული	ინგლისური	რუსული	სომხური
აფხაზეთი					
აჭარა				8	1
გურია					

თბილისი	3	1	2	22	3
იმერეთი				1	
კახეთი	10			4	1
მცხეთა- მთიანეთი					
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი					
სამეგრელო-ზემო სვანეთი				3	
სამცხე-ჯავახეთი				7	103
ქვემო ქართლი	106			14	23
შიდა ქართლი					

### 3. არაქართულენოვანი კერძო სკოლების რაოდენობა

რეგიონი	აზერბაიჯანული		რუსული		სომხური	
	სულ	წმინდა	სულ	წმინდა	სულ	წმინდა
აჭარა			2			
თბილისი			7			
სამცხე-ჯავახეთი						
ქვემო ქართლი	1					

წარმოდგენილი მონაცემები არც თუ მცირეა საქართველოსთანა პატარა ქვეყნისთვის. არსებული მულტიეთნიკური გარემოს გათვალისწინებით, ქართველი

და არაქართველი მოსწავლეები ზოგადი განათლების მიღების და ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, სხვადასხვა გამოწვევების წინაშე დგანან.

დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში აუცილებელია ქვეყნის თითოეული მოქალაქე თანაბარ პირობებში გრძნობდეს თავს. ქვეყნის საერთო კეთილდღეობისთვის საჭირო და სავალდებულოცაა უმცირესობების წარმომადგენლები ინტეგრირებულნი იყვნენ უმრავლესობასთან. სამოქალაქო ინტეგრაციის უპირველესი საწყისი განათლებაა, სკოლა კი უმნიშვნელოვანესი სოციალური ინსტიტუტია ამ მიმართულებით. სკოლამ უნდა შესთავაზოს მოსწავლეებს განათლების ისეთი მიდგომები რომლის საშუალებითაც მოსწავლეების მხრიდან მრავალფეროვნება აღქმული და გაგებული იქნება ძლიერების წყაროდ და არა საზოგადოების დანაწევრების გამომწვევად. ამ მოტივით ინტერკულტურული განათლების აქტიურად განხილვა, თითქმის ბოლო ორი ათწლეულია დაიწყო. თავდაპირველად გამოიკვეთა ინტერკულტურული განათლების ორი მიდგომა - უმცირესობათა უფლებების დაცვა და უმცირესობათა ინტეგრაციის ხელშეწყობა. თუმცა, ორივე პოსტულატის განხორციელებისას ინტერკულტურული პოლიტიკის სამიზნე ჯგუფი მხოლოდ უმცირესობების წარმომადგენლები იყვნენ, რაც რეალურად სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. ამ პოლიტიკის მიზნობრივი ჯგუფი უმცირესობებთან ერთად აუცილებლად უნდა იყვნენ უმრავლესობის წარმომადგენლები, რადგან შეუძლებელია უმცირესობების უფლებების დაცვა და მათი საზოგადოებაში ინტეგრაცია უმრავლესობის წარმომადგენელთა ინტერკულტურული მგრძობელობის გაღვივების გარეშე. ასევე, ინტერკულტურული განათლების პოლიტიკის მიღმა არ უნდა დარჩნენ უმრავლესობაში მყოფი ქართველი მოსწავლეები, ამით სახელმწიფოც კარგავს შანსს იყოს წარმატებული ურთიერთდამოკიდებულ საერთაშორისო სივრცეში. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ინტერკულტურული განათლების პოლიტიკის სამიზნე ყველა ინდივიდი გახდეს.

ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მე-4-ე მუხლის მე-3-ე პუნქტის მიხედვით, იმ მოქალაქეებს, რომელთათვისაც ქართული მშობლიური ენა არ არის, უფლება აქვთ სრული ზოგადი განათლება მიიღონ თავიანთ მშობლიურ ენაზე, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პროგრამის შესაბამისად.

ფუნქციონირებს კიდევ სკოლები, რომელთა სწავლების ენა სხვადასხვაა, ან რამდენიმე ენოვანი სექტორი აქვთ, ძირითადად, წმინდა სომხური, წმინდა აზერბაიჯანული, ქართულ-აზერბაიჯანული, ქართულ-რუსული და ქართულ-სომხური.

საქართველო მრავალეთნიკურთან ერთად მრავალენოვანი ქვეყანაა, რომლის მოსახლეობის დაახლოებით 13%-სათვის ქართული ენა მშობლიურ ენას არ წარმოადგენს. ამ მხრივ გამოკვეთილია სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონები, სადაც ეთნიკურად სომხები და აზერბაიჯანელები კომპაქტურად ცხოვრობენ და ქართულ ენას ძალიან ცუდად ფლობენ. უკანასკნელი გარემოება ამ უმცირესობათა ჯგუფების ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციას მნიშვნელოვნად აფერხებს და ასევე, მათთვის განათლების ხელმისაწვდომობასთან მიმართებაში ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს.

უახლესი ისტორიიდან გამომდინარე საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში ქართული ენის ცოდნა ეროვნული უმცირესობებისთვის პრიორიტეტს არ წარმოადგენდა, რადგან რუსული ენა გამაერთიანებელი ენის ფუნქციას ასრულებდა უმრავლესობისა და უმცირესობათა ურთიერთობაში. ზოგადი განათლება უმცირესობათა ენებზეც იყო ხელმისაწვდომი. საბჭოთა კავშირის დაშლისას ეროვნული უმცირესობების ძირითადი ნაწილი ქართულს ძალიან დაბალ დონეზე, სწორედ ამ მიზეზების გამო ფლობდა. განსაკუთრებით ეს ეხებოდა მათ, ვინც ცხოვრობდნენ ეროვნულ უმცირესობათა მიერ მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში. შესაბამისად, ქართულის როგორც სახელმწიფო ენის არცოდნა ხარისხიანი განათლებისა და ეფექტიანი ინტეგრაციის მთავარი ხელშემშლელი ფაქტორია.

არაქართულენოვან სკოლებში აუცილებელია დროულად და ეფექტურად დაინერგოს ბილინგვური განათლება სისტემა. ორენოვანი განათლების ეს მოდელი სასწავლო პროცესში ორი ენის გამოყენებას შესაძლებლობას ითვალისწინებს. წარმოდგენილი მიდგომა მშობლიური ენის შენარჩუნებასთან ერთად სახელმწიფო ენის შესწავლის შესაძლებლობას ქმნის. განათლების ასეთი ფორმა მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას, ისე ფლობდეს სახელმწიფო და მშობლიურ ენებს, რომ ორივეზე შეეძლოს კომუნიკაცია და მათი პრაქტიკაში გამოყენება.

ხარისხიან განათლებაზე წვდომის თვალსაზრისით, სხვადასხვა გამოწვევის წინაშე დგანან არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეები და ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წვდომა საგანმანათლებლო რესურსებზე. უმთავრესი პრობლემებია სახელმძღვანელოებისა და კვალიფიციური პედაგოგების საკითხი.

2006-2007 წლებში საქართველოს არაქართულენოვან სკოლებს სახელმძღვანელოები სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან ეგზავნებოდათ, რაც სირთულეს ქმნიდა სასწავლო პროცესში. ვინაიდან, ეს სასწავლო მასალა საქართველოში მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს არ შეესაბამებოდა, მოსწავლეებს უჭირდათ ერთიანი ეროვნული გამოცდების მინიმალური მოთხოვნების დაკმაყოფილება (მეხუზლა, 2009:27) გადაწყდა სახელმძღვანელოების თარგმნა სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს სახელმძღვანელოების ბეჭდვისა და მოსწავლეთათვის უსასყიდლოდ გადაცემის პროცესი ჯერ კიდევ არ ჰქონდა დასრულებული, არაქართულენოვან სკოლებში ახალი თარგმნილი სახელმძღვანელოებით სწავლება ყველა კლასში სავალდებულო გახდა. ოჯახების ნაწილმა ვერ შეძლო ახალი სახელმძღვანელოების შეძენა, შესაბამისად, მოსწავლეთა ნაწილს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სავალდებულო საგნების სახელმძღვანელოები არ ჰქონდა. მათი ნაწილი სწავლას სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან გამოგზავნილი წიგნებით განაგრძობდა, რადგან მათ უფასოდ იღებდნენ. მოსწავლეთა ნაწილს კი არც ძველი სახელმძღვანელოები ჰქონია და არც ახალი“. (დალაქიშვილი, 2020: 20) არსებული მიდგომა მეთოდოლოგიურად გაუმართავია და მნიშვნელოვან პრობლემას ქმნის საგანმანათლებლო პროცესში.

აღსანიშნავია, ასევე, აზერბაიჯანული და სომხური ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოების საკითხი. ბოლო 20 წელია, წიგნები მეზობელი ქვეყნებიდან შემოდის, და საქართველოს საგანმანათლებლო სისტემას არ შეესაბამება. 2019 წლის მდგომარეობითაც, არაქართულენოვან სკოლებში სასწავლო პროცესი, ახალი ეროვნული სასწავლო გეგმისთვის შეუსაბამო, 2011 წელს გრიფირებული სახელმძღვანელოებით მიმდინარეობს. სამინისტრომ ტენდერი გამოაცხადა წიგნების შესაქმნელად, თუმცა, სახელმძღვანელოების თარგმნის ხარისხის გამო, წარუმატებლად დასრულდა (სახალხო დამცველის აპარატი, 2019:381).

თარგმანის რედაქტირებისას აღმოჩენილი ხარვეზები აუცილებელს ხდის სახელმძღვანელოების ავთენტურობის გადამოწმებას. 2019 წლის მონაცემებით, არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეები ისევ ძველი წიგნებით განაგრძობენ სწავლას (გორგაძე, 2020: 9).

სახალხო დამცველის 2019 წლის ანგარიშში ვკითხულობთ, რომ მულტილინგვური (ბილინგვური) სწავლების მოდელზე საუბარი საქართველოს განათლების სისტემაში ბოლო ათწლეულია მიმდინარეობს. თუმცა გაწეული ძალისხმევის მიუხედავად, ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად კვლავ რჩება ორენოვანი სახელმძღვანელოები, ეფექტიანი სწავლების მოდელის შემუშავება, სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნა და მულტილინგვური პედაგოგების მომზადება (სახალხო დამცველის აპარატი, 2019: 381).

სახელმძღვანელოებთან ერთად არაქართულენოვან სკოლებში მწვავე პრობლემად დგას კვალიფიციური მასწავლებლების საკითხი. პრობლემა კომპლექსურია და ჯეროვან რეაგირებას მოითხოვს სახელმწიფოსა და შესაბამისი უწყებების მხრიდან. არაქართულენოვან სკოლებში „პროფესიულ განვითარებასთან და სერტიფიცირების პროცესთან დაკავშირებული პრობლემების გარდა, არაქართულენოვან სკოლებში სერიოზულად დგას მასწავლებელთა საკადრო პრობლემა რამდენიმე მიმართულებით: მასწავლებელთა „დაბერების“ პრობლემა, რომელთა ჩართვაც პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის სქემაში პრობლემატურია; სხვადასხვა საგნობრივი მიმართულების მასწავლებელთა დეფიციტი და ასაკი; ქართული ენის მასწავლებელთა პრობლემა, რომლებიც ვერ ფლობენ სახელმწიფო ენას; კონკურენციის არარსებობა მასწავლებლებს შორის - უმაღლეს სასწავლებლებში მომავალი მასწავლებლების მოუმზადებლობის გამო“ (ტაბატაძე, გორგაძე, 2015: 12).

დღევანდელი საგანმანათლებლო სისტემები გვამლევს, ერთი მხრივ, არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეებს, რომლებიც სრულად არ არიან ინტეგრირებულნი სახელმწიფოს საზოგადოებრივ, პოლიტიკურ თუ კულტურულ ცხოვრებაში და მეორე მხრივ, ქართულენოვანი სკოლის კურსდამთავრებულებს, რომლებიც მზად არ არიან იცხოვრონ მულტიკულტურულ გარემოში და არ იჩენენ ტოლერანტობას განსხვავებული კულტურული ჯგუფის წარმომადგენელთა მიმართ.



ვფიქრობთ, ზოგადი ხასიათის პრობლემის დასაძლევად მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება არაქართულენოვანი სკოლების რეფორმა და მათი ქართულ საგანმანათლებლო სისტემაში სრული ინტეგრაცია.

საზოგადოება ნაკლებად არის ინფორმირებული ინტერკულტურული განათლების თაობაზე და საჭიროებაზე. შესაძლოა ზოგჯერ ინტერკულტურული განათლება ანტიპატრიოტულ განათლებასთანაც ასოცირდებოდეს და ინტერკულტურული განათლებისაკენ გადადგმული ნაბიჯები სოციალური თუ პოლიტიკური თვალსაზრისით არ იყოს მიმზიდველი. მაგრამ აუცილებელია ამ მიმართულებით თანმიმდევრული ნაბიჯების გადადგმა. ზოგადი ხასიათის პრობლემის დასაძლევად მნიშვნელოვანია: არაქართულენოვანი სკოლების რეფორმა და ქართულ საგანმანათლებლო სისტემაში სრული ინტეგრაცია.

მრავალფეროვანი სასწავლო გარემო და ინტერკულტურული განათლების ასპექტები ასახულია განათლების სფეროს სახელმწიფო პოლიტიკის ყველა მნიშვნელოვან დოკუმენტში. მაგრამ არსებული მრავალფეროვნება უფრო ღრმა გაანალიზებას მოითხოვს. აგრეთვე, იმ პრობლემების წარმოჩენა, რომლებიც თავს იჩენს, როცა საქმე დეკლარირებული ინტერკულტურული განათლების პოლიტიკის საკითხების პრაქტიკაში რეალიზაციაზე მიდგება.

საქართველოს მთავრობის მიერ განათლების სფეროში გატარებული პოლიტიკა ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებაში აშკარად თანხვედრაში მოდის მულტიკულტურალიზმის ზოგად კონცეფციასთან, რომლის ერთ-ერთ გამოვლინებად ეთნიკურ უმცირესობათა სასკოლო განათლების მხარდაჭერაა. ამ პოლიტიკის ფარგლებში სახელმწიფო აგრძელებს არაქართულენოვანი სკოლების და არაქართულენოვანი სექტორების ფუნქციონირებას. მართალია არაერთმა არაქართულენოვანმა სკოლამ (განსაკუთრებით რუსულენოვანმა) ოპტიმიზაციის პროცესის შედეგად არსებობა შეწყვიტა, თუმცა იქ სადაც ამის მზარდი მოთხოვნა არსებობს, სახელმწიფო ინარჩუნებს მსგავსს სკოლებს.

განათლებისა და ენის მიმართულებით სახელმწიფოსთვის ურთულეს გამოწვევად რჩევა ისეთი დაბალანსებული პოლიტიკის განხორციელება, რომელიც ერთის მხრივ ხელს შეუწყობს სახელმწიფო ენის სწავლებას ყველა მოქალაქისათვის,

ხოლო მეორეს მხრივ უზრუნველყოფს უმცირესობათა ენების სწავლებას, რათა ქვეყნის ლინგვისტური მრავალფეროვნება იქნეს დაცული და მხარდაჭერილი.

ეთნიკურ უმცირესობათა პოლიტიკური ჩართულობის უზრუნველყოფის გარდა უკანასკნელი წლების მანძილზე უმწვავეს პრობლემას წარმოადგენს ხარისხიანი განათლების შეთავაზება ეთნიკური უმცირესობებისათვის, რაც უშუალოდ არის დაკავშირებული პოლიტიკური მონაწილეობის ეფექტურობასთან. ამ თვალსაზრისით პოლიტიკის მთავარ გამოწვევას წარმოადგენს ქართული ენის გავრცელება უმცირესობათა შორის ისე, რომ სრულფასოვნად შენარჩუნებულ იქნას ეთნიკურ უმცირესობათა ლინგვისტური თავისებურებები. აღნიშნულ სფეროში პოლიტიკის წარმმართველი და შესაბამის სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი ძირითადად განათლების და მეცნიერების სამინისტროა. ეთნიკური უმცირესობებისათვის განათლების საკითხების პრიორიტეტულობა სამინისტრომ ჯერ კიდევ 2004 წლიდან მოახდინა, როდესაც დაიწყო კონცეპტუალური და პროგრამული მიდგომები ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებზე. თუმცა აღნიშნული პოლიტიკის მთავარი ხარვეზი მისი არამდგრადობა და არასტაბილურობა იყო, რაც გამოიხატებოდა მიდგომების და მეთოდების ხშირ ცვლასა და არათანმიმდევრულობაში.

ეთნიკურ უმცირესობათა სამოქალაქო ჩართულობასა და ინტეგრაციასთან დაკავშირებული სხვა სფეროებისაგან განსხვავებით განათლების სფეროში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საშეღავათო პრაქტიკას და ეგრეთ წოდებულ პოზიტიურ დისკრიმინაციას აქტიურად მიმართავს. საშეღავათო პოლიტიკის ნაწილია 2012 წლიდან დაწესებული უმაღლეს სასწავლებლებში ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებული აბიტურიენტების ჩარიცხვის პრაქტიკა, რაც ითვალისწინებს უმცირესობათა ენებზე მხოლოდ უნარ-ჩვევების ჩაბარებას, რის საფუძველზეც აბიტურიენტი ირიცხება სახელმწიფო ენის ერთწლიანი მომზადების კურსზე, რომლის წარმატებით დასრულების შემდეგ კი მას საშუალება აქვს ქართულ ენაზე მიიღოს სრული საბაკალავრო განათლება ქართულ უმაღლეს სასწავლებელში. 2012 წლიდან უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხული უმცირესობების რაოდენობას და შესაბამის დინამიკას თუ გადავავლებთ თვალს, აშკარად სახეზე გვაქვს ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში უმცირესობათა რაოდენობის მკვეთრი მატება.

საგანმანათლებლო პროგრამებში განხორციელებული რეფორმების შედეგად (მაგალითად, 2003 წლიდან დღემდე არაქართულენოვანი სტუდენტის რაოდენობა 300-დან 2000-ზე გაიზარდა). ამგვარი საგანმანათლებლო რეფორმების შედეგად მოხდა უმცირესობებს შორის ქართული ენის ცოდნის ზრდა.

ნებისმიერ საზოგადოებაში, სწორად წარმართული საგანმანათლებლო პროცესების წყალობით შესაძლებელია ისეთი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება, სადაც სოციუმის ყველა წევრი პატივს სცემს ერთმანეთს, ერთმანეთის კულტურას, რელიგიას თუ სხვა ღირებულებებს და ერთად აშენებენ ქვეყნის უკეთეს მომავალს. საქართველო ხომ მისი ყველა მოქალაქის სამშობლოა, სამშობლოს სიყვარული კი ნამდვილი სიყვარული უნდა იყოს და არავითარ შემთხვევაში ფსევდო და ყალბი. საგანმანათლებლო სისტემამ უნდა შეძლოს ამგვარი დამოკიდებულების გაღვივება ყველა მოსწავლეში, რადგან ყოველივე ადამიანურს პიროვნების განვითარების ადრეულ სტადიაზევე ეყრება საფუძველი. მართალია, მთავარ მიზნამდე მისასვლელი გზა შორია, მაგრამ მთავარია მოძრაობა დასახული მიზნისკენ, თუნდაც ნელი სვლით, მაგრამ უწყვეტად. უმთავრესი იარაღი კი ამ გზაზე მოძრაობაში განათლებაა.

## დასკვნები

- ქართული სახელმწიფოსთვის სიახლე არ არის მრავალეთნიკურობა. აქ დამკვიდრებულ ეთნიკურ უმცირესობათა საბაზისო უფლებები არასოდეს არ იზღუდებოდა, ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია დავით აღმაშენებლის ცნობილი გადაწყვეტილება - თბილისის არაქართველ მოსახლეობასთან დაკავშირებით. საქართველოში ისტორიულად არც ეთნიკური ნიშნით დევნას ჰქონდა ადგილი. პირიქით, ზოგჯერ საკუთარი სამშობლოდან დევნილი ეთნიკური ჯგუფები საქართველოში პოულობდნენ თავშესაფარს. არაქართული ეთნიკური ჯგუფებიც, თავის მხრივ, ფლობდნენ სახელმწიფო ენას და შეეძლოთ შეენარჩუნებინათ საკუთარი ენა, რელიგია, კულტურა და ტრადიციები. ქართველი ერი განსხვავებული ჯგუფების მიმართ თავისი შემწყნარებლური ხასიათით ოდითგანვე გამოირჩეოდა. XX საუკუნეში ეთნიკურ ნიადაგზე წარმოშობილი დესტაბილიზაცია განზრახ პროვოცირებული საბჭოთა პოლიტიკის „წყალობით“ მივიღეთ.
- საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, რომელიც ერთმანეთისგან განსხვავებულ ერთა უზარმაზარ „ერთობას“ წარმოადგენდა (და ამ „ერთობის“ შემადგენელი ნაწილი იყო საქართველოც) - „თავისუფალ ერთა მძლე კავშირი ძმური“ - მოჩვენებითი ინტერნაციონალიზმის ხანად შეიძლება შეფასდეს, სადაც შეგნებულად იყო უგულვებელყოფილი ეთნიკური ხასიათის პრობლემები. სწორედ ამიტომ, საბჭოთა კავშირის რღვევის პროცესში, მთელი ძალით იფეთქა ეთნიკურმა ნაციონალიზმმა და საბჭოთა ეპოქის დასაწყისში გამიზნულად ჩადებული ნელი მოქმედების ეთნიკური „ნაღმები“ ერთბაშად ამოქმედდა.
- საქართველო რთული თანმხლები პროცესებით, საბჭოთა ეპოქაში თითქმის 70 წელი იმყოფებოდა. ქვეყნის უახლეს ისტორიაში XX საუკუნის 80-იან წლებში წინააღმდეგობებით აღსავსე პროცესები მიმდინარეობდა, რომელშიც ჩართული იყო ქართული საზოგადოების თითქმის ყველა ფენა. 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებითა და 1991 წლის 9 აპრილს დამოუკიდებლობის გამოცხადებით, საქართველოს ისტორიაში ახალი ეტაპი იწყება.

➤ საბჭოთა საქართველოში ეთნიკური საკითხები ნაკლებად აქტუალური იყო. ფორმით ფედერაციულ, მაგრამ შინაარსით უნიტარულ სახელმწიფოში ერთაშორის ურთიერთობის საკითხები ცენტრის ინტერესების შესაბამისად, ხშირად ძალისმიერი მეთოდების დემონსტრირებით წყდებოდა. ასეთმა პოლიტიკამ შექმნა და დააკონსერვა არაერთი სუბიექტური თუ ობიექტური პრობლემა, რომლებმაც დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ჩვენი ქვეყანა ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა, რომელთა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო მრავალეთნიკურ სახელმწიფოში მშვიდობიანი ურთიერთობების შენარჩუნება დომინანტ და განსხვავებულ კულტურულ ჯგუფებში. პოსტსაბჭოთა პერიოდში ძველი სამოქალაქო იდენტობის - საბჭოთა კავშირის მოქალაქის ჩანაცვლება აუცილებელი იყო ახალი სამოქალაქო იდენტობით - საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, რაც სრულიად ახალი მიდგომებისა და ხედვების ჩამოყალიბებასა და გააზრებული პოლიტიკის განხორციელებას მოითხოვდა.

➤ ეთნიკურ უმცირესობათა მიმართ განსხვავებული დამოკიდებულება შეინიშნება პოსტსაბჭოთა საქართველოს სხვადასხვა ხელისუფლებათა პერიოდში. ზვიად გამსახურდიას სახელმწიფოს სათავეში ყოფნის დროს ქართულმა ნაციონალურმა პროექტმა, რომელიც ეთნიკურ ხასიათს ატარებდა გარკვეული სამოქალაქო მახასიათებლები შეიძინა. შევარდნაძის ე.წ. „სტაბილურობის“ ეპოქა ეთნიკური უმცირესობების მიმართ უფრო ფასადური ხასიათის იყო ვიდრე კომპლექსური და საქმით რეალური. შევარდნაძის ხელისუფლების პერიოდში მსხვილი ეთნიკური ჯგუფებით დასახლებული სამცხე-ჯავახეთი და ქვემო ქართლი ე.წ. პოლიტიკურ ნაკრძალებად გადაიქცა.

➤ საქართველოში თანდათან ეთნიკური ნაციონალიზმი გადავიდა სამოქალაქო ნაციონალიზმის რელსებზე. ქვეყანაში მრავალეთნიკური საზოგადოების არსებობისთვის ლეგალური და კონსტიტუციური საფუძვლები შეიქმნა - მიღებულ იქნა კანონი მოქალაქეობის შესახებ, საქართველოს კონსტიტუციაში გაკეთდა ჩანაწერები ეთნიკურ უმცირესობათა შესახებ, ეროვნულობის გრაფა ამოღებულ იქნა პირადობის დამადასტურებელი

მოწმობიდან, რაც აშკარად ინკლუზიური ხასიათის გამოვლინებაა ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებაში.

➤ საქართველოში ეთნიკურ ნიადაგზე წარმოშობილ კონფლიქტებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ერთეულებში ადამიანური მსხვერპლი, იძულებით გადაადგილებულთა დიდი ნაკადი და ტერიტორიული დანაკარები მოჰყვა. აფხაზეთისა და ოსების გარდა საქართველოში მცხოვრებ სხვა ეთნიკურ უმცირესობებთან შეიარაღებულ დაპირისპირებას არ ჰქონია ადგილი, თუმცა ერთ სახელმწიფოში მცხოვრები განსხვავებული კულტურების მატარებელი ადამიანების ურთიერთგაუცხოება დღემდე თვალშისაცემია. გასული საუკუნის ეთნოკონფლიქტების გათვალისწინებით აუცილებელია ამ გაუცხოებისა და გახლეჩილობის აღმოფხვრა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ორივე ეთნოსის - აფხაზეთისა და ოსების წარმომადგენლები მშვიდობიანად თანაცხოვრობენ ქართველებთან, რაც სამომავლოდ ამ ხალხებს შორის პრობლემების მშვიდობიანი მოგვარების იმედს იძლევა.

➤ საქართველოს მუდმივი და მდგრადი განვითარებისთვის აუცილებელია, რომ ქვეყანაში მცხოვრები სხვადასხვა კულტურები ერთმანეთს ნდობითა და პატივისცემით ეპყრობოდნენ. საქართველოს, როგორც მოწესრიგებული პოლიტიკური ერთეულის და როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს თანამედროვე, დასავლურ სამყაროსთან დაახლოების უპირველესი და უმთავრესი წინაპირობა ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობაშია. იმისთვის, რომ საქართველოს მთლიანობა და განუყოფლობა მიღწეულ იქნას, საჭიროა მშვიდობიანი დიალოგის დაწყება მხარეებს შორის და სწავლა თანაარსებობის ისეთი ფორმის, რომელშიც კონფლიქტში მონაწილეები თანხმდებიან აღიარონ ერთმანეთის მოთხოვნები, საკუთარი ძირითადი ინტერესების დათმობის გარეშე. რეალურია, რომ კონფლიქტის წყარო იოლად არ აღმოიფხვრება, მაგრამ აგრესია, რომელიც კონფლიქტის გაღვივებას უწყობს ხელს შესუსტდება. ეტაპობრივად ჩაეყრება საფუძველი დაყოფილი საზოგადოების გაერთიანებას. სუვერენული სახელმწიფოს შიგნით გაყინული კონფლიქტების არსებობა და

მომავლის გაურკვევლობა მძიმე მდგომარეობაში აყენებს საქართველოს სახელმწიფოს და ეს საკითხები ჯაჭვურ რეაქციაშია ერთმანეთთან.

➤ ერთი შეხედვითაც კარგად ჩანს, რომ საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები და განსაკუთრებულად ისინი, რომლებიც მჭიდროდ ცხოვრობენ ერთად, ვერ განიცდიან სახელმწიფოსთან სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ იდენტობას. მათი უმეტესობა იზოლირებულია ქართული საზოგადოებისაგან. სხვადასხვა მიზეზთა შორის წამყვანია ენობრივი ბარიერი. საბჭოთა პერიოდის კომუნიკაციის გამაერთიანებელმა რუსულმა ენამ ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად დაკარგა პოზიციები, ხოლო სახელმწიფო ენა უმცირესობებმა არ იციან. აქედან გამომდინარე, ეთნიკური უმცირესობები ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებზე სრულყოფილად ინფორმირებულები არ არიან. თვით უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოშიც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლის ყოფნას ფორმალური ხასიათი აქვს. სუსტი პოლიტიკური ჩართულობის კიდევ ერთი განმაპირობებელი ფაქტორია პოლიტიკური პარტიების პასიურობა. თავიანთ პარტიულ პროგრამებში ეთნიკური უმცირესობებისათვის მნიშვნელოვან საკითხებს ზედაპირულად განიხილავენ ან ყურადღებას საერთოდ არ უთმობენ.

➤ მართალია, ეთნიკური ჯგუფები ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის უმცირესობას შეადგენენ თუმცა ზოგიერთ რეგიონებში ისინი მონოკულტურულ გარემოს ქმნიან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოებში უმრავლესობასაც შეადგენენ. ქართული სახელმწიფოს ისტორიულ რეგიონებში მსგავსი შემთხვევები ცალსახად ყურადსაღებია. საჭიროა ინტეგრაციული პროცესების ისე წარმართვა, რომ უმრავლესობისა და უმცირესობების ინტერესები იყოს გათვალისწინებული და დაცული. საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა, ინტეგრაციული პროცესების ინტენსიური დამკვიდრებითა და გაღრმავებით მიმართული უნდა იყოს ქვეყნის საზღვრისპირა რეგიონებში მკვიდრი მოსახლეობის მხარდაჭერისკენ. ეს კი თავის თავში გულისხმობს სახელმწიფო პოლიტიკის წარმართვას ისე, რომ ეთნიკური უმცირესობების მიმართ ნდობა გაიზარდოს ქართულ

მოსახლეობაში და თავად უმცირესობების წარმომადგენლებსაც გაუჩნდეს მეტი ინტერესი ინტეგრაციული პროცესების მიმართ.

➤ საქართველოში მცხოვრები სომხები და აზერბაიჯანელები, ზოგადად ქართული სახელმწიფოებრიობის იდეისაგან გაუცხოებულები არ არიან და საქართველოს თავიანთ პოლიტიკურ სამშობლოდ მიიჩნევენ. მდგრადი დემოკრატიული გარემოს შექმნა და ინსტიტუციური განვითარება ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა ჩვენი ქვეყნისთვის. რადგან სწორედ დემოკრაციას შეუძლია ჩამოაყალიბოს მოქალაქეებს შორის მზაობა ისეთი საერთო თანაცხოვრების, რომელშიც მეტ-ნაკლებად თითოეული ინდივიდის ინტერესები იქნება გათვალისწინებული. მხოლოდ დემოკრაციას შეუძლია მშვიდობასა და თანასწორობაზე დამყარებული საერთო სივრცის შექმნა ქვეყანაში.

➤ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებში განსხვავებულია სამოქალაქო ინტეგრაციის ხარისხი. სამოქალაქო იდენტობის განცდა ძლიერია ქალაქებში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებში, რომლებიც უფრო აქტიურად არიან ჩართული სხვა თანამოქალაქეებთან ურთიერთობაში და არ აქვთ კარჩაკეტილი ცხოვრების წესი. ეთნიკური ჯგუფების იმ ნაწილში, რომლებიც ფლობენ სახელმწიფო ენას სამოქალაქო იდენტობის განცდა უფრო მაღალია და რადგან მათ აქვთ შესაძლებლობა ამ ენაზე მიიღონ განათლება და ინფორმაცია. ინტეგრაციული პროცესების გასაუმჯობესებლად უპირველესი ხელშემწყობი წინაპირობაა სწორად წარმართული სახელმწიფო რეფორმები დაწყებული საგანმანათლებლო სისტემით და ინფრასტრუქტურულით დამთავრებული. საქართველო, როგორც სახელმწიფო, თანაბრად უნდა ზრუნავდეს თითოეულ მოქალაქეზე. ამ მიმართებით ერთ-ერთ უპირველეს გამოწვევად კვლავ რჩება სახელმწიფო ენის დაუფლებისა და გამოყენების საკითხი.

➤ ვფიქრობთ, აუცილებელია აქტიური დიალოგი საქართველოს მოქალაქეებს - ქართველ უმრავლესობასა და ეროვნულ უმცირესობებს შორის, რადგან ორივე მხარემ ჯეროვნად უნდა გააცნობიეროს და გაიაზროს, რომ უმრავლესობა და უმცირესობა ერთად ქმნიან ქვეყნის მტკიცე და ძლიერ



საზოგადოებას, რომ ისინი ერთი სახელმწიფოს წარმომადგენლები არიან. სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის გაუმჯობესება სწორედ მათ ერთმანეთთან დიალოგს, ერთმანეთის პრობლემებზე საუბარს გულისხმობს.

➤ აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ ძალიან დიდი გამოწვევების წინაშე ჩვენი ქვეყანა. ვცხოვრობთ ურთულეს გეოპოლიტიკურ რეგიონში, აღსადგენი გვაქვს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა, გლობალიზაციის პროცესი უდავოდ საფრთხის შემცველია ჩვენისთანა მცირერიცხოვანი ერისთვის. ასეთი მასშტაბური პრობლემების მოგვარება დროის მცირე მონაკვეთში შეუძლებელია. საერთოდ, ასეთი ხარისხის პრობლემათა გამკლავება მხოლოდ განათლებულ და კონსოლიდირებულ საზოგადოებას ხელეწიფება. ხანგრძლივი დროის განმავლობაში ეროვნული უმცირესობები იზოლირებულნი იყვნენ საქართველოს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი პროცესებისგან. სახელმწიფომ ბოლო წლებში ბევრი ახალი პროექტი შეიმუშავა ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციისა და მულტიკულტურული საზოგადოების გაძლიერების კუთხით. მიღწეულია მნიშვნელოვანი შედეგები, მაგრამ ეს მაინც არაა საკმარისი. სასურველია ამ მიმართულებით საკანონმდებლო ბაზის უწყვეტი სრულყოფა, განსაკუთრებით კი მეტი ეფექტიანობა როცა საქმე უკვე დეკლარირებული დოკუმენტების რეალობაში განხორციელებას ეხება.

### *გამოყენებული ლიტერატურა:*

1. აბაშიძე ზვიად, ეთნიკური ურთიერთობების პერსპექტივები საქართველოში, უმცირესობების საკითხი საქართველოში. სსიპ. პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2010
2. აბაშიძე თამარ, ერი სახელმწიფოს მშენებლობის საკითხი პოსტსაბჭოთა საქართველოში (1990-2003 წ.წ.), უმცირესობების საკითხი საქართველოში. სსიპ. პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2010
3. ანჩაბაძე გიორგი, აფხაზები, ეთნოსები საქართველოში, საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა გამოსაცემად მომზადებულია საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის მიერ. თბილისი, 2008
4. ალექსაია სულხან, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების კონფლიქტების ანატომია, თბილისი, 2012
5. ბახია-ოქრუაშვილი სალომე, აფხაზთა ეთნოგენეზის საკითხისათვის, მემატთანე, თბილისი, 2000
6. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გამომცემლობა საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1973
7. ბლუაშვილი უჩა, პოლიტიკური პარტიები და ეროვნული მოძრაობა საქართველოში 1988-1991წწ თბილისი, 1994
8. ბოგიშვილი დიანა, წიკლაური ანა - „ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ეროვნული უმცირესობებისთვის“ ეროვნული უმცირესობების ინეგრაცია საქართველოში - პოლიტიკის ნარკვევები - 2017
9. ბოგიშვილი დიანა, ოსეფაშვილი ირინა - „საარჩევნო სისტემები და ეროვნული უმცირესობები“ ეროვნული უმცირესობების ინეგრაცია საქართველოში - პოლიტიკის ნარკვევები - 2017
10. გვენეტაძე ედიშერ - „საქართველოს უახლესი ისტორიის დოკუმენტური მასალები“ თბილისი 2011
11. გვერდწითელი მ, მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვს, თბილისი , 1990

12. გორგაძე ნათია, სტრატეგიული მიზანი 3. ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება. ანგარიშში, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგები 2017-2018. თბილისი: სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი, ეროვნულ უმცირესობათა საბჭო, 2020
13. დალაქიშვილი მარიამ, ირემაშვილი ნინო, ეთნიკური უმცირესობების მიმართ განათლების პოლიტიკის სისტემური გამოწვევები - ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) 2020;
14. დუნდუა სალომე, აბაშიძე ზვიად - „ეთნიკური და რელიგიური იდენტობის საკითხები და სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემები საქართველოში“, თბილისი. 2009
15. ეთნოსები საქართველოში, საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა გამოსაცემად მომზადებულია საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის მიერ - 2008
16. ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის კვლევა, 2019
17. ვაჩნაძე მერაბ, გურული ვახტანგ, საქართველოს ისტორია XX საუკუნე - სახელმძღვანელო ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის - თბილისი 2003
18. ზურაბიშვილი დავით, ერთი საზოგადოება მრავალი ეთნოსი, ეთნიკური მრავალფეროვნება და სამოქალაქო ინტეგრაცია საქართველოში, მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი. თბილისი, 2003
19. თურმანიძე ოთარ, ბათუმი - წარსული და თანამედროვეობა. ბათუმი, 2019
20. თოთაძე ანზორ, ოსები საქართველოში მითი და რეალობა. თბილისი, 2006
21. თოიძე ლევან, როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. თბილისი, 1991
22. თოფჩიშვილი როლანდ, საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები. თბილისი, 1997

23. თოფჩიშვილი როლანდ, კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია. თბილისი, 2007
24. თოფჩიშვილი როლანდ, ქართველთა ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის პრობლემები. თბილისი, 2008
25. თოფჩიშვილი როლანდ, ეთნიკური და რელიგიურ კონფესიური ურთიერთობები და ეთნოლოგიური მეცნიერება. ეთნიკური და რელიგიურ-კონფესიური ურთიერთობანი საქართველოში: ისტორია და თანამედროვეობა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2013
26. კარალიძე ჯემალ, აჭარა 1878-1903 წლებში, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური ვითარება. ბათუმი 2009
27. კახიშვილი ლევან, კონკურენცია ეთნიკური უმცირესობების ხმებისთვის საქართველოში, 2017 წლის ადგილობრივი არჩევნები, პოლიტიკური ნარკვევი, ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრი, თბილისი 2018
28. კომახია მამუკა, აზერბაიჯანელები (თანამედროვე მდგომარეობა) ეთნოსები საქართველოში, საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა გამოსაცემად მომზადებულია საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის მიერ. თბილისი, 2008
29. კანდელაკი სალომე, ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია საქართველოში: პოლიტიკური ჩართულობის ბარიერები, პოლიტიკის დოკუმენტი №16, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი. თბილისი, 2020
30. ლომსაძე შოთა, სამცხე-ჯავახეთი (XVIII საუკუნის შუაწლებიდან XIX საუკუნის შუაწლებამდე), თბილისი 1975
31. ლორქთიფანიძე მარიკა, აფხაზები და აფხაზეთი. თბილისი, 1990
32. მაისაშვილი ხათუნა, ეროვნული იდენტობის რეპრეზენტაცია 1990-1991 წლების ქართულ ბექდურ მედიაში. თბილისი, 2010
33. მაისურაძე გურამ, საქართველოს სომხური მოსახლეობის ისტორიის საკითხები (IV-XVIIIსს.). თბილისი, 1999
34. მარგველაშვილი ქრისტინე, წიკლაური ანა, საარჩევნო სისტემები და ეროვნული უმცირესობები. ეროვნული უმცირესობების ინეგრაცია საქართველოში - პოლიტიკის ნარკვევები - 2017

35. მაცაბერიძე მალხაზ, საქართველოს პრეზიდენტების საინაუგურაციო სიტყვები 1991-2004 წლებში. თბილისი, 2007
36. მეხუზლა სალომე, ედინ როშე, განათლების რეფორმა და ეროვნული უმცირესობები საქართველოში. უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი (ECMI) თბილისი, 2009
37. მაგლობლიშვილი სოფრომ, მოგონებანი, თბილისი 1938წ.
38. ნათმელაძე მაყვალა, დაუშვილი ალექსანდრე, საქართველოს უახლესი ისტორია. თბილისი, 2004
39. ნოდია გია, საქართველოს მრავალეთნოსურობა, ფაქტი, მასთან მიმართება და მოსაზრებები პოლიტიკური სტრატეგიისათვის, ერთი საზოგადოება , მრავალი ეთნოსი, ეთნიკური მრავალფეროვნება და სამოქალაქო ინტეგრაცია საქართველოში. მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი. თბილისი 2003
40. საარჩევნო სისტემები. დამხმარე სახელმძღვანელო საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებისთვის, საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი 2014-2015
41. სართანია დავით, სამოქალაქო თვითშეგნების ფორმირების საადმინისტრაციო-საგანმანათლებლო ამოცანები. ს.ს. ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი. ისტორიის კვლევისა და სწავლების მეთოდისათა ლაბორატორია. თბილისი, 2005
42. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები ტომი I, თბილისი, 2003
43. სიამაშვილი გია, იდენტობა, ისტორია, ნაციონალიზმი, უმცირესობების საკითხი საქართველოში, პოლიტოლოგიის ინსტიტუტი. თბილისი, 2010
44. სონდულაშვილი ავთანდილ, 9 აპრილის სისხლიანი ტრაგედია. თბილისი, 1999
45. სონდულაშვილი ავთანდი, ეროვნულ უმცირესობათა კულტურა საქართველოში. თბილისი, 2002

46. სურგულაძე აბელ, სიორიძე მალხაზ, პორტო-ფრანკო ბათუმში. ბათუმი, 1996
47. ტაბატაძე შალვა, გაბუნია კახა, ოძელი მარიკა, რეკომენდაციები ეროვნულ უმცირესობათადაცვის მიმართულებით ენობრივი პოლიტიკის შემუშევებისთვის. თბილისი, 2008
48. ტაბატაძე შალვა, ნაცვლიშვილი ნათია, ინტერკულტურული განათლება. თბილისი, 2008
49. ტაბატაძე შალვა, გორგაძე ნათია, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი, ეთნიკურ უმცირესობათა სკოლების მასწავლებლების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდისათვის. პოლიტიკის დოკუმენტი . თბილისი, 2015
50. უითლი ჯონატან, საქართველოში სამცხე-ჯავახეთის და ქვემო ქართლის რეგიონებში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების ინტეგრაცია; მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის ხუთი წელი - EHMI-ის სამუშაო მოხსენება № 44, სექტემბერი 2009;
51. ფირანიშვილი თეონა, ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა. სახელმძღვანელო - ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) 2019
52. ლეონტი მროველი, ცხოვრება მეფეთა ქართველთა, ქართლის ცხოვრება, ტომი I. თბილისი, 1955
53. ქინქლაძე ოთარ, მწუხრისა და განკითხვის ჟამი. თბილისი, 1990
54. ხინჩაგაშვილი შოთა, რელიგიური და კულტურული იდენტობის პრობლემები კავკასიის ხალხებში, პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2007
55. ჯავახიშვილი ივანე, დემოგრაფიული პროცესები და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი რუსეთ-საქართველო-სომხეთის ურთიერთობებში (XIX-XXსს.) თბილისი, 1998
56. ჯანიაშვილი ლავრენტი, აზერბაიჯანელები. ეთნოსები საქართველოში, საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა, გამოსაცემად მომზადებულია საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის მიერ. თბილისი, 2008

57. ჯანელიძე ოთარ, საქართველოს ახალი და თნამედროვე ისტორია, თბილისი 2009
58. ჯაოშვილი ვახტანგ, საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში. თბილისი, 1984.
59. ჯაოშვილი ვახტანგ, საქართველოს მოსახლეობა, თბილისი , 1996.
60. ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა. ქართლის ცხოვრება, ტომი I, თბილისი, 1955
61. ჰამარბერგი თომას, საქართველო გარდამავალ პერიოდში 2013
- არქივი:*
62. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (შემოკლებით აცსა) ფონდი 6, აღწერა 1, ს.194
- უცხოური ლიტერატურა:*
63. Анчабадзе З. - Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв.) Сухуми, 1959
64. Анчабадзе З. - Очерк этнической истории Абхазского народа. Сухуми 1976
65. Ахаладзе Л. - Эпиграфические памятники Абхазии: Разыскания по истории Абхазии/Грузия: Тбилиси 1999г. ст. 363-375
66. Бгазба Х. - Из истории письменности в Абхазии. 1967
67. Киладзе В. Таварткиладзе Г. - Батумъ, 1906. «Батум и его окрестности. К 25-летию присоединения гор. Батума к Российской Империи».
68. Лисовский В. - Чорохский край, Тифлисъ, 1887 г.
69. Пайчадзе Г. - Абхазия в составе Российской империи (1810-1917гг.): Разыскания по истории Абхазии/Грузия: Тбилиси 1999г. ст. 215-239
70. De Waal, T. (2010). The Caucasus: An Introduction. 1 ed. Oxford: Oxford University Press.
71. Jones S. F. (2013). Georgia: A Political History since Independence
72. Lutsevych, O. (2013). How to Finish a Revolution: Civil Society and Democracy in Georgia, Moldova and Ukraine. London: CHATHAM HOUSE
73. Koiava Revaz (2016, March 1). GEORGIAN NATIONAL NARRATIVES ON CONFLICTS: 1991-2012

74. Matsaberidze David - The Role of Civic Nationalism in Transformation Ethnic Politics of the post-Soviet Georgia. Tbilisi: European Centre for Minority Issues (ECMI) – 2014;
75. Zurcher, C. (2007). Post-Soviet Wars: Rebellion, Ethnic Conflict and Nationhood in the Caucasus. New York: NY University Press

*ინტერნეტ მასალები:*

76. გურამ შარაძე „ეროვნების რეკვიზიტები“  
<https://guramsharadze.wordpress.com/devnili/erovnebis-rekviziti/>
77. საქართველოს კონსტიტუცია -  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36> )
78. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური -  
[http://census.ge/files/results/Census%20Release\\_GEO.pdf](http://census.ge/files/results/Census%20Release_GEO.pdf)
79. საქართველოს კანონისზოგადი განათლების შესახებ  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=90>
80. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2019 -  
<https://ombudsman.ge/res/docs/2020040215365449134.pdf>
81. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო - ჩვენი ქალაქი - მოძიებულია 13 აპრილი 2021 - <https://batumicc.ge/index.php?l=1&menu=23>
82. ბათუმის მერია - ჩვენი ქალაქის ისტორია - მოძიებულია 13. 04. 2021 ინტერნეტ მისამართი - <https://batumi.ge/ge/?page=show&sec=2>
83. საქართველოში მრავალფეროვნების პირველი კვირეული - მოძიებულია 25 მაისი 2021 - <https://www.coe.int/ka/web/tbilisi/-/the-first-diversity-week-to-be-organised-in-georgia>
84. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 მარტის N6 დადგენილება - მოძიებულია 30 მაისი 2021  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5136889?publication=0>
85. ქალაქ ბათუმის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის N26 დადგენილება - მოძიებულია 30 მაისი 2021  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4104110?publication=0>



86. მეგობრობის სახლი - მოძიებულია 25 მაისი 2021 [http://bart.ge/band\\_12](http://bart.ge/band_12)
87. სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიითა და  
2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმა  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2958879?publication=0>
88. ცენტრალური საარჩევნო კომისია <https://cesko.ge/>
89. 1921 წლის საქართველოს კონსტიტუცია  
<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4801430?publication=0>
90. 1918 წლის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი  
<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4801451?publication=0>
91. საქართველოს შრომის კოდექსი  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1155567?publication=19>
92. საქართველოს კანონი მოქალაქეობის შესახებ - ინტერნეტ მისამართი  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/32596?publication=20>
93. შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და  
სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2091642?publication=0>
94. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება - ჩარჩო  
კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1244853?publication=0>
95. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილება  
„მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ დამტკიცების თაობაზე  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/82792?publication=0> )  
*ვიდეო მასალა*
96. გოგოლიშვილი ოთარ - ბათუმის უცნობი ისტორია  
<https://www.youtube.com/watch?v=pEMkGpTAY5U&t=990s>